

1977/2

# თეატრალური



# პიესები

3

1977



საქართველოს თეატრალური საზოგადოება



თბილისი  
ბიჭვინთის ქ.

# თეატრალური უნივერსი

3

1977

მბიბი-0360ბი

15595



თბილისი

ქ. შარქისი სთ. სპ. სსრ  
სახელმწიფო სკოლა



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

რედაქტორი

ერეკია ქარელიშვილი

პასუხისმგებელი მდივანი

გურამ ბათიაშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ნოდარ გურაბანიძე,  
ოთარ მგაჩი,  
ვასილ კიკნაძე,  
ზადრი კობახიძე,  
ლილი ლომთათიძე,  
ვახტანგ მართვთელიშვილი,  
ნინო შვანგირაძე,  
გიორგი ციციშვილი,  
დომიტრი ჯანაღია,

რედაქციის მისამართი:  
თბილისი-380007  
პირველი ქ. № 11-ა  
ბელეფონი  
99-90-96

2021



# ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუცია

„განაგრძობდა რა აღმშენებლობითა საქმიანობას, — ნათქვამია კონსტიტუციის პროექტში, — საბჭოთა უზრუნველყო ქვეყნის სწრაფი და ყოველმხრივი განვითარება, სოციალისტური წყობილების სრულყოფა. განმტკიცდა მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის კავშირი, სსრ კავშირის ერთობა და ეროვნებების მეგობრობა, შეიქმნა საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ერთიანობა, რომლის წამყვანი ძალაა მუშათა კლასი“. ამჟინა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება მძლავრი საწარმოო ძალებით, მოწინავე მეცნიერებით და კულტურით. ამ განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში „ყველა სოციალური ფენის დაახლოების, ყველა ერისა და ეროვნების იურიდიული და ფაქტიური თანასწორობის საფუძველზე იშვა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი“.

**დღეს** მთელი პროგრესული კაცობრიობა უდიდესი ინტერესით ეცნობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტს, რომელშიც მთელი სისრულით აისახა ჩვენს ქვეყანაში მომხდარი ღრმა ცვლილებები, ცვლილებები, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს შეეხო. პროექტი მტკიცედ ეყრდნობა მექვიდრობითს საფუძველს, ინარჩუნებს და ანვითარებს ჯერ კიდევ ვ. ი. ლენინის მიერ დასახულ სოციალისტური ტიპის კონსტიტუციის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს.

საბჭოთა ხალხმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციიდან მოყოლებული შემოქმედებითი შრომისა და თავდადებული პატრიოტული ბრძოლის რთული და სახელოვანი გზა გაიარა, მოახდინა უღრმესი სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნები, ბოლო მოელო კლასობრივ ანტაგონიზმსა და ეროვნულ შუღლს, დაამკვიდრა წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება და მშრომელთა მისების ნამდვილი დემოკრატია.

სწორედ ამ ისტორიულ ცვლილებათა საფუძველზე კონსტიტუციის პროექტში სსრ კავშირი გამოცხადებულია სოციალისტურ საერთო-სახალხო სახელმწიფო და საბჭოებსაც შესაბამისად ეცვლებათ სახელწოდება, „მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს“ კონსტიტუციის მიღების შემდეგ ეწოდებათ „სახალხო დეპუტატთა საბჭოები“.

ამხანაგმა კ. ი. ბრენევემა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე კონსტიტუციის ახალი პროექტის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში აღნიშნა, რომ „საერთოდ ეროვნულ-სახელმწიფო წყობილების საკითხების გადაწყვეტა პროექტში უზრუნველყოფს მრავალეროვანი კავშირის საერთო ინტერესისა და მისი წარმომქმნელი თითოეული რესპუბლიკის ინტერესების ნამდვილ დემოკრატიულ შეხამებას, უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ყოველმხრივ აყვავებასა და განუხრელ დაახლოებას“.

ახალი კონსტიტუციის პროექტი ზედმიწევნით ასახავს საბჭოთა ხალხების ოირსშესანიშნავი და წარმატაცი ცხოვრების მთელ არსს, მის სიღრმესა და სილამაზეს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად წარმოშობილ ხალხთა მეგობრობას, ერთმანეთისადმი სიყვარულსა და პატივისცემას, ერებისა და ეროვნებათა და მათი კულ-



ტურების განუხრელ განვითარებას, დედანის მნიშვნელობას ყველა ერის ცხოვრებაში, ადამიანის უფლებათა კიდევ უფრო გაფართოვებას.

„საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ — ამბობს ლ. ი. ბრეჟნევი — იმ სიახლის მითვარი მიმართულება, რომელსაც პროექტი შეიცავს, სოციალისტური დემოკრატიის გაფართოება და გაღრმავება“.

ახალი კონსტიტუციის პროექტით გათვალისწინებულია ყველა პირობის შექმნა მეცნიერების, ტექნიკის და მხატვრული შემოქმედების თავისუფალი განვითარებისათვის. 47-ე მუხლში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ „სსრ კავშირის მოქალაქეებს კომუნისტური მშენებლობის მიზნების შესაბამისად გარანტირებული აქვთ მეცნიერული, ტექნიკური და მხატვრული შემოქმედების თავისუფლება... სახელმწიფო ქმნის საამისოდ საჭირო მატერიალურ პირობებს, ხელს უწყობს ნებაყოფლობით საზოგადოებებსა და შემოქმედებით კავშირებს“. კანონის ძალა ენიჭება სახელმწიფოს განუხრელ ზრუნვას საზოგადოების სულიერ ღირებულებათა დაცვისა და გამრავლებისათვის, საბჭოთა ადამიანების კულტურული დონის ასამაღლებლად მათი ფართო გამოყენებისათვის, პროფესიული ხელოვნებისა და ხალხური მხატვრული შემოქმედების განვითარებისათვის.

საბჭოთა ადამიანები, მსოფლიოს მოწინავე საზოგადოება განსაკუთრებული კმაყოფილებით ხვდებიან კონსტიტუციის პროექტში ასახულ თანამიმდევრულ ლენინურ სამშვიდობო პოლიტი-

კას, ხალხთა უშიშროების განმტკიცებისა და ფართო საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკას.

განვლილი წლების მანძილზე რადიკალურად შეიცვალა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა, შეიცვალა მსოფლიოს არენაზე ძალთა შეფარდება, შეიქმნა მძლავრი სოციალისტური თანამეგობრობა, არსებითად შესუსტდა კაპიტალიზმის პოზიციები, მისი გავლენის სფეროები და ბოლო მოეღო სსრ კავშირის კაპიტალისტურ გარემოცვას, რასაც ბუნებრივად ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტისა და გავლენის უმაღალითო ზრდა მოჰყვა. და არ შეიძლება ყოველივე ამას სრულყოფილი ასახვა არ ეპოვა ახალ კონსტიტუციაში. ახალი კონსტიტუციის განხორციელება ისტორიულ როლს შეასრულებს ჩვენს ქვეყანაში კომუნისმის განხორციელების საქმეში და „ღრმა და ხანგრძლივ გავლენას მოახდენს ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთაც“ (ლ. ბრეჟნევი).

ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს მშრომელები ერთსულოვანი მოწონებით ხვდებიან ახალი კონსტიტუციის პროექტს. მისი საერთო სახალხო განხილვა გადაიქცა მძლავრ სტიმულად ახალი შემოქმედებითი აღმავლობისა, თავდადებული პატრიოტული შრომისა, —ღირსეულად შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს.

ვამრავლოთ მიღწევები, შევქმნათ მეტი მატერიალური და სულიერი დოვლათი!

**მუხლი 27.** სახელმწიფო ზრუნავს საზოგადოების სულიერ ღირებულებათა დაცვისა და გამრავლებისათვის, საბჭოთა ადამიანების კულტურული დონის ასამაღლებლად მათი გამოყენებისათვის.

სსრ კავშირში ყოველანაირად ეწყობა ხელი პროფესიული ხელოვნებისა და ხალხური მხატვრული შემოქმედების განვითარებას.

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტიდან.



## მუშისა და შრომის ერთობა

სპპ XXV ყრილობამ, რომელმაც საბჭოთა ხალხის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პრობლემები განიხილა, უკრადღება გაამაზვილა ხელოვნების მუშაკებისა და შრომითი კოლექტივების ურთიერთკავშირზე, დღეს, როდესაც ასე განვითარდა ჩვენი საწარმოო ტექნიკა, ახალ მიჩნევის დაეუფლა მეცნიერება და აქამდე გაუგონარ სიმაღლეებს აღწევს, აუტოლებულია სახელოვან მეცნიერთათ, შრომითი კოლექტივითან. ამ დაახლოების ორმაგი სარგებლობის მოტანა შეუძლია — ბევრ ინფორმაციას ღებულობს წარმოების შრომით პროცესებს მოწყვეტილი ხელოვანი და ტექნიკური ხელოვნების წვდომის მეოხებით სულიერად მაღლებმა შრომელი კაცი, ეცნობა ხელოვნების ახალ მიღწევებს, ხელოვან ადამიანებთან ურთიერთობა კიდევ უფრო აკეთილშობილებს და ამდიდრებს მას.

ამ გარემოებებმა განაპირობეს საქართველოს თეატრალური საზოგადოებისა და ენგურბესის მშენებელთა დაახლოება. ამ დაახლოებას 1977 წლის 14 იანვარმა — ქართული თეატრის დღესასწაულმა ჩაუყარა საფუძველი. ეს დღესასწაული საზეიმო ვითარებაში ჩატარდა ზუგდიდში. 15 იანვარს კი ზეიშმა ჭვარჭენში გადაინაცვლა. თეატრის გამოჩენილმა მოღვაწეებმა იმ დღეს დაათვალიერეს ენგურბესის მშენებლობა; შედეგად ჭვარჭენის კულტურის სასახლეში გამართა თეატრის მოღვაწეთა და ენგურბესის მშენებელთა შეხვედრა. ამ შეხვედრაზე დიპ. ალექსიძემ თქვა:

— ჩვენ უნდა მოვიფიქროთ, რაიმე უნდა ვიღონოთ რომ უფრო დაუახლოვდეთ ამ უდადღესი მშენებლობის მონაწილეებს.

გავიდა სულ რამდენიმე თვე და სიტუაცია მდებარეობს. თეატრალური საზოგადოებაში მონახული იქნა ურთიერთგაცნობის, დაახლოების ფორმები — საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ ითავა შეფომა აიღოს ენგურბესის მშენებლობაზე.

ეს მიტად გონივრული გადაწყვეტილებაა, ეს არის კავშირი შრომისა და მუშისა, რომელიც თავის კეთილ ნაყოფს უსათუოდ გამოიღებს გამოიღებს, როგორც ხელოვნების მუშაკთათვის ისე მშენებლებსათვის.

და აი, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავისათვის მზადების დღეებში დაინიშნა პირველი შეხვედრა. 25 და 26 ივნისს საქართველოს თეატრალური საზოგადოება, მთელი თბილისის არტისტული საზოგადოებრიობა ენგურბესის სახელოვან მშენებლებს მასპინძლობდა. დილადრიან თბილისის რკინიგზის ვოვალზე თავი მოიყარეს გამოჩენილმა მასპინძლებმა, რეჟისორებმა, თეატრმშობლებმა, თეატრალური საზოგადოების მუშაკებმა. მატარებელ ზუგდიდ-თბილისის ჩამოყენენ ენგურბესელთა წარმომადგენელი რომელთაც ხელმძღვანელობს ენგურბესის პარტიული კომიტეტის მდივანი ანკორ შიტიანაძე. მასპინძლები გულწრფელი სიხარულით ხვდებიან სახელოვან მშენებლებს.

### 3. ი. ლენინის ძეგლთან


დღის 12 საათია, ენგურბესელები და ქართული თეატრის მოღვაწენი თავს იყრიან ლენინის მოედანზე, ოქტომბრის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ძეგლთან. სსრკ სახალხო არტისტს, თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარეს პროფესორ დიმიტრი ალექსიძეს და ენგურბესის მშენებლობის უფროსის მოადგილეს ომარ ხალაიძეს ვ. ი. ლენინის ძეგლთან მიაქვთ გვირგვინი, რომელზეც სწერია: „ოქტომბრის ბელადს ვ. ი. ლენინს საქართველოს თეატრალური საზოგადოებისა და ენგურბესის მშენებლებისათვის“.

### მასპინძლის სახლში

ლენინის მოედნიდან სტუმრები და მასპინძლები მასპინძლის სახლისაკენ მიემართებიან. აქ ეწყობა შეხვედრა, რომელსაც შესავალი სიტყვით ხსენს დ. ალექსიძე. იგი ამბობს:

— დღეს განსაკუთრებული დღე ვაქვს, აზხანაგებო! ჩვენს მშობლიურ ეკლავში — მსახიობის სახლში, რომელიც დიდი საბჭოთა მასპინძლის აკაკი ხორავას სახელს ატარებს, ვხვდებით ენგურბესის მშენებლებს, გმირული სულიკეთების ადამიანებს. აკაკი ხორავას ეუთუნის ფრაზა: „თეატრიდან გასული ადამიანს უნდა სჯეროდეს, რომ მას შეუძლია გმირი გახდეს“, თქვენი ღირსება, ძვირფასო მეგობრებო, ის განლაგი, რომ ბევრი თქვენგანი პოტენციური გმირია, ყოველი თქვენგანი უიღვის საბჭოურ საქმეს ემსახურება და ამიტომ მიმართებათ მე თქვენი ბედნიერ ადამიანებად.

იანვარში მე ვიყავი ენგურბესზე, ნახე ეს უღადესი, მე ვიტყუე უნიკალური ნაგებობა ჩვენი დროისა. მანამდე ბევრი წაშკივთა თქვენს შრომაზე, მაგრამ როცა წუალებეშ გაუყვანილ გვირახებში ვხვით გვიარტ მრავალი კომპიტირი, თვალწაოლევი დაინახე ნაყოფი თქვენი შრომისა, დაინახე, თუ რა საქმეს ემსახურებოთ თქვენ, მაშინ გადაწყვიტეთ, რომ ჩვენ კიდევ



უფრო უნდა დავუახლოვდეთ ერთმანეთს, უფრო უკეთ, უფრო კარგად უნდა შევიცნოთ და შევისწავლოთ ერთმანეთი.

და აი, დღეს საფუძვლით ეყრება ჩვენს მეგობრობას. ამ მეგობრობით ჩვენ შეგვიძლია ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება, როგორც თეატრის მოღვაწეებისათვის, ისე ინჟურების მშენებლებისათვის. დღეს ჩვენი შევიწროებით იმი-სათვის, რომ ოფიციალურად, ხელშეკრულებით გავაფორმოთ ჩვენი მეგობრობა. ეს მეგობრობა დღეს იწყება და არასოდეს არ უნდა დამთავრდეს, არ უნდა დასთავრდეს ინჟურების ექსპლუატაციის შესვლის შემდეგაც, რადგან ჩვენთვის მთავარია ადამიანები, ინჟურებსზე კი ადამიანები მუდამ იქნებიან.

დღეს მინდა საზეიმოდ ვცნობოთ, რომ თეატრალური საზოგადოება ინჟურებსს სარქარად გადასცემს საკონცერტო რიოვს. შემდეგ და აღიქმები კოხულობს საზეიმო ხელშეკრულების ტექსტს. სიტყვას იღებს ზ. ფაშაიშვილის სახ. ოპერა. სა და ბალეტის თეატრის დირექტორი ირაპალი შარაძე. იგი ამბობს:

— დღეს მართლაც, განსაკუთრებული დღეა ჩვენ გვახარებს მუშისა და შრომის, ხელოვნება და მშენებელთა ასეთი დაახლოება, ამ დაახლოებას უღიადესი მნიშვნელობა აქვს უკველი ჩვენ-განისათვის, ოპერისა და ბალეტის თეატრის კოლექტივმა გადაწყვიტა ჩვენი მეგობრობის, ჩვენი ურთიერთკავშირის განმტკიცების ნიშნად ინჟურების კოლექტივის გადასცეს რიოვად. სსრკ სახალხო არტისტი ზურაბ ბაგრატიონი ამბობს:

— მინდა გამოვთქვა ჩემი აღფრთოვანება თქვენთან შეხვედრით, აქ უმცირესი ნაწილი ხართ იმ დიდი არმიისა, რომელიც ინჟურებსს აშენებს, ამიტომ გთხოვთ გადასცეთ ჩვენი სახლი თქვენს მეგობრებს, იმიო, ვინც თქვენს გვირდით აშენებენ ამ უნიკალურ ნაგებობას. ინჟურებს არ დავიშურებთ, რათა კარგად დავუახლოვდეთ ერთმანეთს. რაში უნდა გამოიხატოს კონკრეტულად ეს დაახლოება? მე მზად ვარ თუნდაც უხალხო დღეებში შევექმნა ერთი პატარა ჭაფუფი, რომელიც სისტემატურად ჩამოვა თქვენთან და გამართავს კონცერტებს, როგორც კელეტურის სახლში, ისე საამშენებლო მოედ-ნებზე, გვირაბებში.

ხელოვნების დამსახურებელი მოღვაწე, რუსეთის სახელმწიფო თეატრის დირექტორი ან-ტონ შარაძე ამბობს: „აქვე დღესაც შეხვედრის მნიშვნელობაზე და დავაჟა“:

— რუსეთის თეატრის დიდი სტრუქტურა აქვს ახლო შემოქმედებითი კონტაქტის ჰქონდეს ინ-ჟურების მშენებლებთან. იქნებ ამ კონტაქტს ასეთი სახეც ე მივცეთ — რუსთაველებმა თავის უკველი ახალი კარგი სპექტაკლის პრემიერა სწორედ ჯვარცხენში გამართონ. მაგრამ უფრო აქ კარგ თოსნობას დავჩერდებით, უფრო-ლოცს დღეებში ჩვენი დასის ერთი ნაწილი ჩამოვა თქვენთან და ვაჩვენებთ თავის სპექტაკლს „რას იტყვის ხალხი!“

სიტყვა უძლეო თეატრალური საზოგადოების პასუხისმგებელ მდივანს, პარტორგანიზაციის მდივანს კომი ნინიას შვილი:

— ჩვენი შეხვედრა მეტად მნიშვნელოვან, მთელი საბჭოთა ხალხისათვის ღირსსახაროვარ დღეებში ტარდება. ახლა უკველი იქტობრის 10 წლისთავისათვის ვეშალებით, ამ შუადღეს ნიშნით მიმდინარეობს ეს შეხვედრაც. ახლახან

უკველამ მოვისმინეთ საზეიმო ხელშეკრულების ტექსტი, გავიგეთ, თუ რომელი მხარე არის რე-სულობის, თეატრალური საზოგადოების პარ-ტიული ორგანიზაცია უკველავრს გააქვს იმისათვის, რომ ამ ხელშეკრულების ჩინებული პუნქტები მხოლოდ ქალაქის საკუთრება არ ღარჩეს და მაქსიმალურად შესრულდეს.

დრამატურგი გიორგი შხაშვილი ამბობს: — არავის და არავფრის არ შეუძლია ისეთი დიდი სიხარული მოუტანოს ადამიანებს, რო-გორც ხელოვნებას, არავინ არ არის ამ დიდი სიხარულის ღირსი ისე, როგორც შრომელი კაცი. თქვენ თქვენი შრომით იმსახურებთ ამ სიხარულის უფლებას, ამიტომაც არის, რომ თქვენ გეკუთვნით უკველავრის ის, რასაც ჩვენ ვქმნით. ამიტომ არის, რომ ჩვენთვის ასე ძვირ-ფასია თქვენი აზრი ჩვენს ქმნილებებზე.

თეატრალური საზოგადოების სარქარად-სა-გამომცემლო განყოფილების გამგე, ხელოვნ-ების დამსახურებელი მოღვაწე ლილია ცხი-ძინაძე ამბობს:

— ცხადია, უკველი წინა, რომელსაც ჩვენ ვა-მოცემთ, იქნება იგი პესა, მონოგრაფია, მო-გონებები თუ ანბონები, ინჟურებსს გადასცე-სეკუთვნი იხე, როგორც უკველი შრომელს, მაგრამ დღიდან ჩვენს მიერ გამოცემული წიგ-ნები ავტორის ავტოგრაფით დამშვენებული გა-დევცემა ინჟურების ბიბლიოთეკას.

თბილისში სტუდენტულ მოუფი კევის მსახიობის სახლის დირექტორი მარტ ნინაძე:

— მიუხედავად იმისა, რომ მე არ მესმის თქვენი უნა, მაინც კარგად ვხვდები, თუ რა ხდება დღეს აქ, ამას ვგებულობ თეატრალურ მოღვაწეთა სახეებზე, თქვენი თვალებით, ძვირ-ფასო ინჟურებსებზე, ამიტომაც მუშის ჩემი თბილისელი კოლეგებისა, მშურის, რომ მეო აქეთ ასეთი მშენიერი მსახიობის სახლი, მშურის, რომ შეუძლიათ მსახიობის სახლ-ში ასე მოიაზრონ მუშისა კლასი და აქე საფუელდაგულოდ ესაუბრონ მას. ეს ძალიან კარ-გი ურთიერთობაა და მწამს, რომ ორივე მხარეს გამაღიდებინ.

„მეგობრობის თეატრის“ დირექტორი მიხა-ილ ჯოჯაშა:

— დღეს აქ დადებული საზეიმო ხელშეკრუ-ლება ბევრ ისეთ მუხლს ითვლისწინებს, რე-მელიც პირდაპირ მეგობრობის თეატრს ეხება. ჩვენ სიახლოვებით და სიახლოვის გრძობით შე-ვასრულებთ ამ ხელშეკრულების უკველი მუხლს. შევეცდებით თქვენთან ჩამოვიყვანოთ ის თეატ-რალური კოლექტივები, რომლებიც მოსოვი-დან, ლინენგარდიდან თუ მოკვირე რესპუბ-ლიკებიდან გვეყვებიან. ასეთ ინჟურების მშე-ნებლებისათვის ხელმისაწვდომი გახდება სა-ბჭოთა თეატრალური ხელოვნების მოღვაწეთა შემოქმედება.

რესპუბლიკის სახალხო არტისტი დიმიტრი მშვილცი ამბობს:

— მე მტკიცედ მწამს, რომ ინჟურების სა-ქართველოს ახალი მუხა, ნათელი, კაჟაშა მუხე, ამ მუხის შემოქმედებითი თეატრს ხართ, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, ამიტომაც ხართ უკვე-ლანი ასე ღამწანი, ასე შემართულნი, ასეთი ვაჟკაცურნი. მე შემომავს წინადადება რომ თეატრალური საზოგადოების ბაზაზე ინჟურ-ებსზე გავხდეთ კულტურის სახალხო უნივერსი-ტეტი, ჩრმელიც ამაღლებს მშენებელთა იდე-ურ-ესთეტიკურ დონეს.



თბილისი, ვ. ი. ლენინის ძეგლთან გვირგვინი მოაქვთ ენგურტყვის მშენებლებს და თეატრალურ მოღვაწეებს

დრამატურგი ვურამ ბატიანიშვილი ამბობს: — ჩვენ ჯერ კიდევ იანვარში თქვენთან ყოფნისას დავეუფლა თქვენი საქმიანობის მიმართ აღფრთოვანებისა და პატივისცემის გრძნობა. ამიტომაც თეატრალური საზოგადოება განსაკუთრებულად ეშხადებოდა თქვენს დასახეულად, გვინდა, რომ ამ შეხვედრამ, რომელიც ერთგვარ საზეიმო ხასიათს ატარებს, გამოიღოს პრაქტიკული ნაყოფი და ჩვენ კონკრეტულ ვიგრძნით, დავინახოთ იგი იმ საქმეებში, რომლებსაც ერთობლივად გავაკეთებთ.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ბადრი კობახიძე ამბობს: — დიდი ხანია ამ დღისათვის ვეშხადებით, ვეშხადებოდით განსაკუთრებული პასუხისმგებლობის გრძნობით, ალბათ, ამიტომაც იყო რომ ველუადვით, ჩვენთან ბევრი მსოფლიოში გამოჩენილი თეატრალური კოლექტივი ჩამოსულა, მაგრამ ამჟერად განსაკუთრებული სტუმრები გვყავს. ამ განსაკუთრებულობას თქვენი შრომით საქმიანობის ხასიათი განაპირობებს. სწორედ ამ განსაკუთრებულობის გამო გვინდა შეგობრობა თქვენთან.

ახლახან გავეცანით ხელშეკრულებას. ვფიქრობ, ყველაფერი გათვალისწინებულია მასში. თუ ცხოვრება კიდევ ახალ პრობლემებს დასვათ, ჩვენის მხრივ მზად ვართ შევასრულოთ ყველაფერი, რადგან ღრმად მწამს ჩვენი დამეგობრება ორივე მხარესათვის იქნება სასარგებლო.

სიტყვა ეძლევა ენგურტყვის პარტიული ორგანიზაციის მდივანს ანზორ ჰოთინაშვილი:

— დღევანდელი დღე — ამბობს იგი — არ არის უბრალო, რიგითი დღე. უცვლელი ჩვენგანე განსაკუთრებულ სიხარულს გინიცდის, ამ სიხარულთან ერთად

ერთად ერთად მღელვარებაც გვეუფლება; ჩვენი უზარმაზარი თორმეტათასიანი კოლექტივი მთელი სამშობლოს ყურადღების ცენტრშია მოქცეული, ამ კოლექტივის ბევრი წევრი საგმარო საქმეებს ჩადის და უღერხად საპასუხისმგებლო საქმიანობას ეწევა. ჩვენ იზვიათად გვიგრძენია ისეთი სითბო, ისეთი ყურადღება, როგორც ეს დღეს აქ დაგვხვდა. მე მჭერა — ეს სითბო, ყურადღება და პატივისცემა ჩვენი მუშების მამაცურმა შრომამ განაპირობებს, ისინი მართლაცაა, მამაცურ შრომას ეწევიან. ჩვენი კოლექტივი, ჩანსალი კოლექტივია, ეს არის კოლექტივი, რომელიც ერთგულად, პატიოსნად ემსახურება თავის საქმეს, სწორედ ეს ერთგულება და პატიოსნება აგებს ენგურტყვის. შეიძლება დღეს ყველაფერი ისე თვალბილული არ იყოს, მაგრამ გაივლის დრო და ენგურტყვისი დარჩება სიამაყედ ერისა, რომელმაც იგი ააგო. სწორედ ითვითაა, რომ ენგურტყვისი უნიკალური ნაგებობაა, მაგრამ იგი უნიკალურია არა მხოლოდ, როგორც საინჟინრო ნაგებობა, იგი უნიკალურია ადამიანთა ურთიერთობით. დღეადან ჩვენ მეგობრებად ვითვლებით. ამიტომაც გვინდა რომ ეს მეგობრობა არამარტო ჩვენთვის, ენგურტყველებისათვის იყოს სასარგებლო, არამედ თქვენთვისაც, დღეს ძნელია თქმა იმისა, თუ კონკრეტულად რა სახეს მიიღებს, რით გამოიხატება იგი, მაგრამ გული გვინდა რომ მეგობრებსლებმა თავიანთი ცვალი დაამჩნიონ თეატრის მუშუკათა ცხოვრებას.

მეგობრობა შეხვედრა დამთავრებულია, ენგურტყვის მშენებლები ეცნობიან მსახიობის სახლის სცენას, მათურებელთა დარბაზს, მათ ინტერესით დაათვალიერებ ლატვიის თეატრალურ მხატვართა გამოფენა, რომელიც მსახიობის სახლის სავამოყენო დარბაზშია მოწყობილი.

## რუსთაველის სახ. სააღმშრომლო თეატრში.

მსახიობის სახლიდან მეგობრული შესვენებები რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრში ვრცელდება. ამ გამორჩენილი, საქვეინოდ აღიარებული თეატრის მსახიობები მზურვალ ტაშით ეგებებიან მშენებელთა გამოჩენას. თეატრის დიდ სარეპეტიციო დარბაზში შეხვედრას ხსენს თეატრის პარტიული ორგანიზაციის მდივანი, რუსუბელიის სახალხო არტისტთა მრეწველთა კომიტეტი.

— დღეს ორი დიდი კოლექტივი ხვდება ერთ-მანეთს — ამბობს იგი. — მართალია, თქვენ უფრო მრავალრიცხოვანი ხართ, ჩვენო ძვირფასო სტუმრებო, მაგრამ ჩვენ მაინც ერთი კეთილშობილური მისია ადამიანებზე, ვემსახურებით იმას, რასაც დამაინსპირაციოა. ადამიანის სიყვარულით, ადამიანის პატივისცემითაა განმსჭვალული ჩვენ-ჩვენი საქმიანობა.

სიტყვა ეძლევა რუსთაველის თეატრის დირექტორს სპაპი ბაქრაძეს, რომელიც მშენებლებს მოკლედ უამბობს რუსთაველის თეატრის მიერ განვლილ შემოქმედებით გზაზე, ახლახანს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკასა და მექსიკაში წარმატებით ჩატარებულ გასტროლებზე და დასძენს:

— ჩვენი დიდი წარმატებები გვაქვს, როგორც შინ, ისე გარეთ, ეს წარმატებები კიდევ უფრო მეტს გვავალდებს, გვავალდებს უფრო ღრმად ჩვენდევით თანამედროვეობას, შევისწავლოთ და ავსახოთ იგი.

ენგურბისის მშენებლობის სამმართველოს უფროსის მოადგილე ომარ სალარქიძე ამბობს:

— დღის სასოებით და მოწინააღმდეგეობით ამ ტაძარში, ამ თეატრთან ჩვენი ცხოვრება გააკავშირებს, რამდენჯერ ვმდგარართ რიგში მილითების სალარქიძე, რომ თქვენი ხელოვნება გვენახა და კიდევ ერთხელ დავმტკბარობით: ახლა კი თქვენი ხელოვნებით ტკბობა მხოლოდ ტელევიზორის მეშვეობით თუ შეგვიძლია. ჩვენ მძიმე სამუშაოებს ვასრულებთ. ფიქრებზე მასალებთან გვაქვს საქმე. იქნებ ყოველივე ამის გამოც იყოლ რომ ლაპარაკი ნაკლებ გუხერხება. მაგრამ ერთი რამ კი შემოძლია გითხრათ — თქვენი ხელოვნების სითბო იქაც თან გვდევს. ჩვენ ყოველდღიურად თავდევნილებულ შრომას ვიწვევით, დიდი საქმე კეთდება ინგურბისზე. თქვენმა ხელოვნებამ, კარგად და-

წერილობა წიგნებმა, კარგად დადგმულმა სავეტალებმა უნდა აჩვენოს ხალხს ჩვენი შრომა. ჩვენთან კი გრანდოზული რამ ხდება — სახლი ენგურბისის 12000 ადამიანი აშენებს. მშენებლობის ბოლოს მწყობარში ჩადგება პირველი აგრიგატი, ხოლო 1979 წლის დასაწყისში — მეორე აგრიგატი. ასე რომ შორს აღარ არის ის დღე, როცა საქართველოს ხელოვნური მშენებლობის ქვეყნები იქნება.

დ. სალარქიძე ამბობს:

— დღეს ჩვენი მნიშვნელოვანი ხელშეკრულება დადებულია. ამით ჩაეყარა საფუძველი ჩვენს ურთიერთობას, ეს ურთიერთობა დიდხანს გაგრძელდება. ჩვენ ახლა რუსთაველის თეატრში ვიშროვებით, თეატრში, რომელიც უდიდეს საქმეს აკეთებს. მას შეუძლია დიდი როლი შეაგროვოს ჩვენს ურთიერთობაში, ჩვენს მიერ გადებული ხილით თქვენთან მოკლედ რუსთაველი სა თუ სხვა თეატრები. თუ თქვენი, ამ დიდი მშენებლობის მოსწავლე ადამიანის ცხოვრების თემაც მოვა თეატრში, ამით თეატრი მხოლოდ მოვიტებს.

რესპუბლიკის სახალხო არტისტი, მარგანიშვილის სახ. პრემიის ლაურეატი რამაზ ჩხიკვაძე ამბობს:

— ომარ სალარქიძე ძალიან ზოგადად დაგვიხატა, თუ რა ხდება ენგურბისზე და ჩვენთვის ცხადია რაოდენ დიდი საქმე კეთდება დღევანდელ საქართველოში. მე მგონია, თქვენი საქმიანობით უნდა ამაყობდეს ყოველი ქართველი, უნდა ამაყობდეს იმ საოცრებით, რომელიც თქვენი ქმნით. თქვენცა და ჩვენც ერთ დიდი მიზანს ვემსახურებით — ჩვენ-ჩვენი საქმიანობით ვასახელოთ ჩვენი ქვეყანა. აი, ახლახანს ჩვენ დიდი გასტროლები გვიქონდა ვერბოპისა და ამერიკის კონტინენტებზე. უხერხულია საკუთარ თავზე ლაპარაკი და ბევრს არც ვილაპარაკებ, მაგრამ ერთი რამ კი უსათუოდ უნდა გითხრათ — ჩვენი ქვეყანა არ შეგვირცხვინია. მას პინძლებს გავაცანით ჩვენი ხალხი, გავაცანით, თუ რით ხუნთქავს შრომისმოყვარე ქართველი ხალხის კულტურა.

მაგრამ თუ ჩვენი ასე იოლად დავდივართ უცხოეთში, არ უნდა გავივირდეს წელიწადში ორჯერ მაინც ჩამოვიდეთ თქვენთან, რათა იქ ავდივალ ვაჩვენოთ ჩვენი ხელოვნება იმ სა-



შეხვედრის მონაწილეთა ერთი ჯგუფი.



ა. ქიტიანია და ი. ხარჩი-  
ლაია საჩუქრებს გადას-  
ცემენ დ. ალექსიძეს.

ოცობის შემქმნელთ, რომელსაც ენგურაქსი  
შევი.

სიტყვა ეძღვევა რესპუბლიკის სახალხო არ-  
ტისტ ბიზნის ბეგეშვიძეს. იგი ამბობს:

— მე კარგად მახსოვს ენგურაქსის მშენებ-  
ლობის დაწყება. მაშინ დავთვალე რის ადგი-  
ლები, მას შემდეგ წლები გავიდა, რამდენაზე  
წელიწადში კამხალიც ჩადგება მწიბრში და  
მთავარი ის არის, რომ ამ მშენებლობაზე გაი-  
წარდა არა მხოლოდ სამუშაოთა მოცულობა,  
გაიწარდა მუშათა კლასი, წევობრივად ამაღლ-  
დნენ აღმნიშვნა, რომლებიც კამხალს აგებენ.  
ჩვენი სამილირე კი სწორედ ეს აღმნიშვნე გა-  
ლავან. ჩვენ განსაკუთრებული ინტერესით ვა-  
დევნებთ თავს თქვენს მშენებლობას. თითქ-  
მის ყველაფერი წამოკითხავს, რაც ამ წლებში  
თქვენს აღმნიშვნეზე დაიწერა და მინდა გისურ-  
ვოთ წარმატებები, გისურვოთ რომ თქვენი ნა-  
ხელავი საუკუნეებში დარჩეს, როგორც ძველი  
ჩვენი დროისა.

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ბი-  
რის წიფშვილი ამბობს:

— დასავლეთ საქართველოში ორიოდ დღე-  
თაც რომ ჩავიდა, უსათუოდ ავღაჯარ ენგურ-  
აქსის მშენებლობაზე, რადგან ამ მშენებელთა  
შორის ბევრი მეგობარი მეგულება, მე მიუყარს  
ეს აღმნიშვნე თავისი თავდაუსჯივლი შრომის  
გამო. ამიტომ ვურჩევ ჩემს ამხანაგებს ნახონ  
ეს მშენებლობა. მე ვამყობ თქვენით ძვირფა-  
ნი მეგობრები, ვამყობ და მიხარია, რომ ასე-  
თი საოცრება, როგორც ენგურაქსია, ჩვენიან  
შენდება.

ანზორ ქიტიანია სიტყვა გამსჭვალულია მალ-  
ღებების გრძნობით იმ დიდი თეატრალური კო-  
ლექტივის მიმართ, რომელმაც ასე თბილად  
მიიღო ენგურაქსელები.

სალამო ენგურაქსის მშენებლებმა ფილარმო-  
ნიის დიდ საკონცერტო დარბაზში ნახეს კალ-  
მანის ოპერეტა „მარია“, ოდესის მუსიკალურ-  
ი თეატრის მსახიობთა შესრულებით.

როდესაც მკურთხელებს აცნობენ რომ დღეს  
სექტაკლი ესწრება ენგურაქსის მშენებელთა  
ერთი ჭკუფიო, მთელმა დარბაზმა ოვაციები  
გაუშარა მშენებლებს.



ბ. კობახიძე საჩუქარს გადასცემს  
პეტრე უგულავას.

მე იენის სტუმრები ეცნობდნენ თბილისის  
ღირსშესანიშნაობებს. მათ გულდასმით დაათვა-  
ლიერეს წ. ფალაშვილის სახ. ოპერისა და ბა-  
ლიეტის თეატრის განახლებული შენობა, ხოლო  
შემდეგ მარტორაინიანის სახ. სახელმწიფო თე-  
ატრში დაესწრნენ კ. ბუჩიძის პიუბის „ეზოში  
ავი ძაღლია“.


სექტაკლის დაწყების წინ ავანსცენაზე გმო-  
დის რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი  
თეატრის პარტორაინიანის მდივანი ბი-  
ტბიშვილი. იგი ამბობს:

— ძვირფასო მკურთხელებო, დღეს ჩვენი თე-  
ატრის სექტაკლი განსაკუთრებულად შეიძლე-  
ბა ჩაითვალოს. იგი ეძღვნება ენგურაქსელ მშე-  
ნებლებს, რომლებიც თეატრში გვეწვავნენ. მარ-  
ტორაინიანის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ-  
ი თეატრი გულწრფელად მიესალმება მშენებ-  
ლებს, უსურვებს მათ წარმატებას თავის სასა-  
ხელო შრომით საქმიანობაში.

სექტაკლის შემდეგ თბილისის ვოვლარ-  
თავი მოიყარეს ქართული თეატრის მოღვაწეებ-  
მა, ისინი ავილობდნენ მშენებლებს, რომლებსაც  
თან მიქონდათ სიბოზ ხელოვნებასთან შეხვედ-  
რისა.

# მიქელანჯელო დიდი იუბილეს

ზამისი ბადალბეილი



ზურბაიჩანის სს რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ზურბაიჩანის თეატრალური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე

## დიადი ოპსონგები და ზურბაიჩანული თეატრი

მინისში ქუთაისში ჩატარდა ახალგაზრდა მსახიობთა შემოქმედებითი ანგარიში, რომელიც მოაწყო საქართველოს თეატრალური საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ. შემოქმედებით ანგარიშში მონაწილეობა მიიღო ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო დრამატული თეატრისა და თოჭინების სახელმწიფო თეატრში მომუშავე ცხარამეტმა ახალგაზრდა მსახიობმა.

ლონისძეობა, რომელიც სამ დღეს გაგრძელდა, მიედგინა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს.

სამი დღის მანძილზე ლ. მესხიშვილის თეატრში დათვალეობით იქნა თხუთმეტი ახალგაზრდა მსახიობი სამ წარმოდგენაში. ხოლო თოჭინების თეატრის ოთხი ახალგაზრდა შემოქმედი იხილეს ოთხ სპექტაკლში.

შედგენის შეჯამებისა და მიძღვნილი სხდომა გაჩნდა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, საქართველოს თეატრალური საზოგადოების ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარემ დ. ჭეიშვილმა.

მომხსენებლებმა ნ. შვანგარაძემ და ვ. კაკინაძემ დაწვრილებით ისაუბრეს დათვალეობაზე წარმოდგენილ სპექტაკლებზე, გააკეთეს სპექტაკლების შინაარსიანი ანალიზი.

ფრცელი სიტყვა წარმოსთქვენს ლ. მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა და დირექტორმა, საქართველოს ლენინური კომპარტიის ლაურეატმა, რეჟისორმა გ. ქავთარაძემ და თოჭინების თეატრის მთავარმა რეჟისორმა მ. ფურცხვაიძემ.

სიტყვები წარმოსთქვენს ლ. მესხიშვილის თეატრის ახალგაზრდა მსახიობმა დ. დვალაშვილმა, თოჭინების სახელმწიფო თეატრის დირექტორმა გ. ცხადაძემ, ამავე თეატრის ახალგაზრდა მსახიობმა ან. ფანცხვამ და ადგილობრივ რადიორედაქციის თანამშრომელმა ბ. პატარაძემ.

ახალგაზრდა მსახიობთა შემოქმედებითმა ანგარიშმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა ქუთაისში მომუშავე ახალგაზრდა მსახიობების ნიჭი, უნარი, შემოქმედებითი ზრდის დონე და ის სიყვარული, რაც მათ თეატრალური ხელოვნებისადმი გააჩნიათ.


ნოსტან კვიციანი

ზურბაიჩანული თეატრი დაიბადა გასული საუკუნის 70-იან წლებში, და გახდა ახალი, ნათელი ნიშანდარი ზურბაიჩანული ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, ვინაიდან დიდ რუსი დრამატურგის ა. ნ. ოსტროვსკის სიტყვით „ეროვნული თეატრი ერის სრულყოფის ნიშანია“.

ზურბაიჩანული პროფესიული თეატრის აკანთან იდგა დიდი მირზა ფაქალი ახუნდოვი, ზურბაიჩანული დრამატურგის მამამთავარი. ეროვნული კომდიოგრაფიის მამა, ღრმად სიმპოლიურია, რომ ჩვენ იდრამატურგიისა და თეატრის ფუძემდებელი მირზა ფაქალი ახუნდოვი საქართველოში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

თავის დიდ მომწიბთან — გიორგი ერისთავთან და გაბრიელ სუნდუკიანთან სულიერად და შემოქმედებითად დანათესავებულმა მ. ფ. ახუნდოვმა საძირკველი ჩაუყარა თანამედროვე ტიპის ახალ თეატრს. მათმა შემოქმედებითმა შეგობობამ, რომელმაც უაღრესად დიდი როლი შეასრულა ჩვენი ეროვნული კულტურების მშენებლობაში, ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი ფურცელი შეადგინა ჩვენი თეატრების ისტორიაში, მ. ფ. ახუნდოვის ქმნილებებმა განსაზღვრეს ჩვენი თეატრის დამკვიდრებისა და განვითარების ძირითადი ეტაპები და დღესაც ამჟვენიებენ მის სცენას როგორც სცენური რეალიზმის მაღალი ნიმუშები.

ჩვენი ეროვნული თეატრის ისტორიასთან, თეატრისა, რომელიც გულისხმობდა აღიქვამდა ეპოქის რევოლუციურ იდეებს და სიბნელისა და უმეცრების წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებდა, დაკავშირებულია ახალი ხელოვნების კეთილშობილ ჩინიდა, ზურბაიჩანული ხალხის საუკეთესო შვილთა სახელები, რომელ-



ბიც წინ მიუძღოდნენ მას მკაცრ განსაცდელთა გზით ნათელი მომავლისაკენ — ნ. ვეზიროვის, ა. ახვერდიაშვილის, ჯ. მამედყული-ზადეს, ნ. ნარი-მანოვის, გ. ზარდაბის, ვ. არაბლინსკის, ჯ. ზეი-ნლოვის, ს. რუხულის, მ. ალიევის, ქირმანშა-ლის, ნ. ზიის, ა. ანაპლის, რ. დარაბლის სახე-ობები.

მაგრამ რევოლუციამდელი თეატრი მოკლე ბული იყო ხალხთან უშუალო ურთიერთობის შესაძლებლობას და ვერ სცილდებოდა განმა-ნათლებელი იდეების ფარგლებს.

შეზღოვდნენ დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელმაც სათავე დაუდო კა-სტროპის ისტორიის ახალ ერას, გამოიყვანა აწერბაიჯანული თეატრი განვითარების ფართო სარბიელზე. არსებითად, საბჭოთა ხელისუფლებ-ის გამარჯვება ნიშნავდა ეროვნული თეატრის მერობად დაბადებას. „რევოლუციამ უთხრა თეატრს: „თეატრო, შენ მჭირდები მე“ (ა. ვ. ლუნაჩარსკი). და თეატრიც ვაბედულად გადაეწე-ვა რევოლუციური ამბების შუაგულში და ახალი შინაარსით, მოქალაქეობრივობით, მასობრივობითა და აქტუალობით გამდიდრდა. თვისობრივად ახა-ლი აწერბაიჯანული საბჭოთა თეატრი დიადი ოქტომბრის პირამოა, რომლის ქვაკუთხედად იქცა სოციალისტური რეალისმის მეთოდი, დღე-ვანდელი აწერბაიჯანული თეატრი, მიწნებისა და იდეების, თემებისა და სახეების ჭეშმარიტად სა-ხალხო თეატრი. თეატრის მოწინავე მოღვაწენი თავიდანვე მხურვალედ შეესალმნენ ახალ წყო-ბილებს. თეატრს, როგორც ქმედის, მებრ-ძოლს და მორგანიზებელ ძალას უკვე უდიდეს-ს ყურადღება ეთმობოდა. — მის წარმოშობა-სა და დამკვიდრებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ბოლშევიკ-ლენინელებმა ნ. ნარიმანოვმა, ს. მ. კიროვმა, მ. აზნავურივმა, დ. ბუნიატ-ზა-დემ, გ. მუსახეიოვმა, რ. ახუნდოვმა.

იოლი როლი იყო ის გუნა, რომელსაც იმხანად აწერბაიჯანული თეატრი იკავავდა. ახალ ხე-ლოვნებას, რომელსაც ხალხის ტრიბუნად იქცა, ფაფორებულ წინააღმდეგობას უწევდა რეჟისორ-ქერ კიდევ 1919 წელს მოკლეს აწერბაიჯანული სცენის შენაწიწნავი ტრადიციის, პირველი პროფ-ესიონალი რეჟისორი პუსტინ არაბლინსკი, რომ-ელმაც მსახიობთა მთელი თაობა გამოწარდა. 1921 წელს მოღალატის ხელმა სიცოცხლეს გა-მოსააღმა მსახიობები ა. ანაპლი და მ. სადახოვი. მაგრამ ახან ვერ გატყნა აწერბაიჯანული მსახიო-ბების სიმტკიცე და ხელი ვერ ააღებინა თავიან-თი რევოლუციური მოვალეობის განუხრეულ შესრულებაზე.

თეატრის ახალი ტენდენციები ყველაზე უფ-რო სრულად აწერბაიჯანის მემული აზნავიოვის სახელობას აკადემიური დრამატული თეატრის შემოქმედებაში გამოიხატა. საბჭოთა აწერბაიჯ-

ნის ეს პირველი სახელმწიფო თეატრი საბოლო-ოდ 1922 წელს ჩამოყალიბდა, იგი ჩვენი ერის ნული სასცენო ხელოვნებისა და აწერბაიჯანული კულტურის საამაყედ ითვლება. მას ეკუთვ-ნის პრიორიტეტი ორიგინალური და, ახსთანა-ვე, შინაარსიანი რეპერტუარის შექმნაში. აქ, როგორც წესი, იბადებოდა და თვითნ პირველ სცენურ განხორციელებას იღებდა აწერბაიჯანუ-ლი საბჭოთა დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშე-ბი, რომლებმაც მტკიცედ შედგეს ფეხი საკავში-რო სცენაზე. ეს თეატრი თავისებური სკოლა მსოფლიო, რუსული და ეროვნული კლასიკის ათვისებისა და ინტერპრეტაციის მხრივ. მ. აზნავ-იოვის სახელობის თეატრის შემოქმედებთა მუშაობა მისი არსებობის ყველა ეტაპზე აღბეჭ-დილია მისწრაფებით სასცენო კულტურის ამაღ-ლებისაკენ, ახალი ელემენტების ძიებისაკენ რე-თისურაში, მასხიობური პრაქტიკისა და სცენო-გრაფიისაკენ, ახალი მხატვრული ფორმების ძი-ებისაკენ, რომლებიც უახლოვდებოდა აწერბაი-ჯანული ფოლკლორული თეატრის მეტად საინ-ტერესო და უმდიდრეს ტრადიციებს.

თავისი ცხოვრების გარეორაფზე, 1922 წელს, მ. აზნავიოვის სახელობის თეატრი საგანგებ-ბოდ ზრუნავდა ახალი თანამედროვე რეპერტუ-არის შექმნაზე. ცხოვრება, მისი მძაფრი ტემპი, მოვლენათა მასშტაბურობა მძლავრად მოიხილვ-დნენ დიდი და აქტიური პოლიტიკური ძალის სცენურ ნაწარმოებებს, საბჭოთა იყო თანამედრო-ვე უღერადობის, მძაფრი შინაარსისა და მაღალი ადამიანური გრძნობების დრამატურგია. და თე-ატრში მოვიდა სული დრამატურგია. დრამატუ-ლი ლატერატურის განვითარებაში უდიდესი და ფასდაუდებელი როლი შეასრულა ჯაფარ ჯაფარ-ლიმ, რომელიც ახალი საბჭოთა დრამატურგიისა და ახალი საბჭოთა თეატრის აჯანთან იღვა.

ჯაფარ ჯაფარი ჩვენს ხელოვნებაში მ. ფ. ახუნდოვის, ნ. ვეზიროვის, ჯ. მამედყული-ზა-დეს, ა. ახვერდიაშვილის საუკეთესო ტრადიციების გამგრძელებელი გახდა. თავის შემოქმედებაში იგი ასახავდა ცხოვრებას, ცხოვრებიდან იღებდა არა მარტო თემებს, არამედ მათ მხატვრულ გა-დაწვევებას.

ჯ. ჯაფარლიმ, თავისი სადებიუტო პეისის „აიღინის“ შემდეგ, ჩვენს სცენას შეხიხინა თავი-სი საუკეთესო გმირები — სედილი და ალმაზო, ოქიათ და ელხანი, იაზირი და გოლილიუმი.

იმ წელთა მრავალი ათასი მაყურებელი ვერ დაივიწყებს მძლავრად წუთებს სპექტაკლიდან „სედილი“, როდესაც პეისის გმირი ქალი მისხსა-ნებით ჩამოივლოდა სახიდან ჩადრს, რაც მრავ-ლი საუკუნის მანძილზე უუფლებობის ხუნ-დებით ბორკავდა აწერბაიჯანულ ქალს. მისი მი-ბაძვით მაყურებელთა დარბაზში მსხდომი ქა-ლებიც იგულედნენ სახიდან საძულველ „მორკავ



დილეგს“. აი რაოდენ დიდი იყო ის ცხოვრებით-სული სიშართლე, რომელიც თითქმის შლიდა ზღვარს სიყვარულსა და მკაცრებულად დარბაზს შორის. აი რაოდენ დიდი იყო თეატრის აღმზრდელობითი ძალა. მის მსახურთა ოსტატობამ სრულყოფას მიაღწია.

აზერბაიჯანული თეატრის სცენას ამშვენებდა განუმეორებელი ნიჭის მქონე მსახიობთა პლეადა — აბას შირვა შარიფ-ზადე, მ. ალიევი, სიდგი რუხულია, ისმაილ იდიათი-ზადე, რაზა თახმანიბი, ულგი რაჩაბ, კიაზიმ შიბა, ალესკერ ალეპეროვი, მუხტაფა მარდანოვი.

ჩვენი თეატრის წინათ არ ჰყოლია ეროვნული მსახიობი ქალი და აი ეხლა ჩვენ ვაშაობთ აზნის ხანუმ მამედოვას, სონა გაჩეკვას, მარსო დავუდოვას, ფატმა კადრის, ბარათ შეინსკაიას, ოქიუმ ყურბანოვას ნიჭიერებით.

დიდმნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ ალექსანდრე ალექსანდრის ძე ტუგანოვის გამოჩენა აზერბაიჯანის თეატრალურ ცხოვრებაში 1924 წელს. მის შემოქმედებაში ოსტატურად იყო შესაბამეული აზერბაიჯანული ტრადიციული თეატრისა და მოსკოვის სამხატვრო თეატრის სკოლის ელემენტები.

შემოქმედებითი ძიებები აჯავშინებდა ჩვენს თეატრთან ნ. მაიოროვის, ა. გრიბინის, რომელთაც თავიანთი ნიჭი და უნარი ახალგაზრდა აზერბაიჯანული თეატრის განვითარებას მიუღწევს.

იმ წლებში მ. აზნობეკოვის სახელობის თეატრმა თავისი გაფორმების მწვერვალს მიაღწია და თვითმყოფადი შემოქმედებითი არსი და მაღალოსტატური შემსრულებლობითი ხელწერილი გამოიჩინა. იგი ღირსეული წარმომადგენელი გახდა 1930 წლის საკავშირო ოლამ-პიადაზე მოსკოვში აზერბაიჯანული თეატრალური ხელოვნებისა და ფართო აღიარება და პრესის აღფრთოვანებული შეფასება დამსახურა.

რომანტიკული ტენდენციის განვითარებას თეატრში ხელს უწყობდნენ ჰუსეინ ჩავილის პიესები — „შეიბი სანანი“, „იბლისი“, „თავადი“, „ხაიამი“.

აზერბაიჯანული საბჭოთა დრამატურგიის ნამდვილ მარგალიტებად მოგვევლინა ჩვენი თანამედროვეობის გამოჩენილი პოეტის სამედ ველოლუნის პიესები „ვაგიფი“, „ფარხადი და შირინი“, „ხანლარი“.

ახალი ეპოქის სუნთქვა, საბჭოური ცხოვრების ყაიღის მკვეთრი რიტმი მოიტანეს თეატრში მირზა იბრაგიმოვის, მეხტი ჰუსეინის, ენკერ მამედხანლის, სულიმან რუსტამის, ცნობილი საბჭოთა კომედიოგრაფის საბიტ რაზმანის, ილიას ეფენდიევის, იმრან ყაბუშოვის გმირებმა.

ჩვენი თეატრის საბჭოთა პერიოდის ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე შთაბეჭედავ ფურცელს წარმოადგენს ლენინური თემისადმი მიძღვნილი

სპექტაკლები. აზერბაიჯანულმა თეატრმა შექმნა თავისი სცენური ლენინიანა, რომლის სასტუქო თესო სპექტაკლებში („1918 წელი“, „საბჭოური ბრძანება“, „კრემლის კურანტები“, „ეკვინი ვილისი“, „ჩაუტრობული კოცონები“, რევოლუციის სახელით“) დიდი სისრულით გამოვლინდა ლენინური ჰუმანიზმის არსი, ლენინის შორსმჭვრეტელობა და კომუნისტების იდეალების გამარჯვების მძაფრი რწმენა.

საბჭოთა აზერბაიჯანის თეატრი, რომელმაც თავის დროშას თანამედროვეობისა და აქტუალობისადმი მოწოდება დააწერა, მუდამ ფაქიზად და გულიანსმეიერად ეკიდებოდა უმდიდრეს კლასიკურ მემკვიდრეობას, რაიც მაღლიანად ეკვებოდა მას. ამ პროცესის წინა ხაზზე ეროვნული დრამატურგია იდგა: — მ. ფ. ახუნდოვის, ნ. ვეზიროვის, ჯ. მამედყული-ზადეს, ა. ახვირდიევის, ს. ს. ახუნდოვის, ნ. ნარიშანოვის, მ. ორდუღლისა და სხვათა პიესები.

თეატრმა წარმატებით აითვისა და წარმოადგინა მსოფლიო და რუსული კლასიკის საუკეთესო ნიმუშები.

გაცენო რა აზერბაიჯანულ მკაცრებელს შექსპირის, მოლიერის, ვ. ბიუფოს, ჯ. გოლდონის, ფ. შილერის, ე. ვერნის, ბ. სტოუს, დენერისა და კერმონის, ა. ოსტროვსკის, ნ. გუგოლის, ა. ჩეხოვის, მ. გორკის, გ. სუნდუკიანის, ა. შირვან-ზადეს სახელები, — თეატრმა შექმნა ისეთი სპექტაკლები, რომლებმაც დროის გამოცდას გაძლეს.

საბჭოთა ეპოქაში ჩამოყალიბდა და დამკვიდრდა აზერბაიჯანული ეროვნული სამსახიობო და სარეჟისორო სკოლა, რომელსაც საფუძველი დაედო XX საუკუნის დასაწყისში.

ჩვენი თეატრის საუკეთესო დაღმები დავაგმირებულა ი. იდიათ-ზადეს, ა. ოსკენდეროვის, მ. მამედოვის, მ. აბუშოვის, თ. კიაზიმოვის, ა. ალეპეროვის, ზ. ნეიმატოვის, ა. შარიფოვის სახელებთან. აზერბაიჯანული სცენის სცენოგრაფიის ღირსეული წარმომადგენლები იყვნენ რ. მუხტაფაევი, ნ. ფატულაევი, ტ. სალახოვი, ი. ახუნდოვი, ბ. აფგალი, ბ. მირზა-ზადე, ელჩინ ასლანოვი. თეატრთან თანამშრომლობდნენ კომპოზიტორები ე. უარკათი, ფ. ასიოვი, ნი-აზი, ჯ. ჩანგიროვა, ა. მელიქოვი, ს. რუსტამოვი, ტ. ყულიევი, ხ. მირზა-ზადე, რ. მირიული.

50-იან წლებში თეატრმა მიმართა თანამედროვეობის ერთ-ერთ საინტერესო და თვითმყოფადი ავტორის, დრამატურგისა და კომუნისტის ნაზიმ ჰიქმეთის დრამატურგიას. მისმა სამამ პიესამ — „მოთხრობა თურქეთზე“, „ახირეთული კაცი“ და „იდიება, ანუ ყველასაც მივიწყებული“, რომლებიც განხორციელა მ. აზნობეკოვის სახელობის თეატრმა, გამოავლინა კოლექტივის ინტერესი სცენოგრაფიის პირობითი



გადაწყვეტილადმი, მეტაფორიზმის, სცენური ენის ხატოვანებისა და ლაქონიზმისადამი.

თეატრის შემოქმედებითი ცხოვრების განახლების პროცესი შრომატევადი იყო და ცხებოდა არა მარტო შინაარსს, არამედ სპექტაკლების სტილისტიკასაც; გამომსახველობასა და მხატვრულ ფორმებსაც.

სცენური ფორმის აქტივობა მნიშვნელოვან ესთეტიკურ კრიტერიუმად ხლებოდა. ეს ტენდენცია ყველაზე ნათლად თანამედროვე აზერბაიჯანული თეატრის ერთ-ერთი უნიჭიერების რეჟისორის, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის მშხტი მამედოვის სპექტაკლებში გამოვლენდა. სპექტაკლებში „აოიაგული ცოლს ირ-თავს“, „ციცხლის ალი“, „სოფელი“ მ. მამედოვმა უარყო სტერეოტიპი, დოგმატიზმი, უსახურობა — და ეანრობრივ-სტილისტიკურ სიახლეს, მრავალფეროვნებასა და ნათელ, ხატოვან, სანახაობის თეატრალიზმს მიაღწია.

60-იანი წლების საუკეთესო თანამედროვე და კლასიკურმა სპექტაკლებმა გამოხატეს ახალი ტენდენციები თეატრალური პრაქტიკის იდეურ-მხატვრულ პრინციპებში, ისინი გამოირჩეოდნენ მხატვრულ საშუალებათა გახედვლით ძიებით, ნიადაგი შეუშადას ეროვნული სცენურის კულტურის პროფესიონალიზმის აღმავლობას.

ამ პერიოდის საპროგრამო სპექტაკლად იქცა შექსპირის ტრადიციის „ანდროსი და კლიოპატრას“ დაღმა თეატრის ახალი სამხატვრო ხელმძღვანელის, აშუამად რესპუბლიკის სახალხო არტისტის ტოფუკ კაჯიშვილის ინტერპრეტაციით. ეს სპექტაკლი შესანიშნავი თანამედროვე თეატრის უმაღლეს კრიტერიუმებს აკმაყოფილებდა, რისთვისაც მას რესპუბლიკის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

კონკრეტულობისა და ნათელი განზოგადოების ორგანულად შერწყმის მოთხოვნებიდან თავი იჩინა სპექტაკლებში „სიცრუე“, „ტანია“.

ლირიული ხასიათის სპექტაკლები „შენ მუდამ ჩემთან ხარ“, „უშენოდ“, „ზღაპრის დასაწყისი“, „ვერ დავივიწყებ“, „მოსაბოილი დღეურები“ სცენაზე ემკიდრებდნენ ფსიქოლოგიური დრამის ხაზს ნათლად გამოხატული სოციალური მხარეთულებით, მოქალაქეობრივობითა და პუნდლიცტურობით.

მ. აზიზბეგოვის სახელობის (აშუამად უკვე ორგზის ორდენოსანი) თეატრის შემოქმედებითი ბოგრაფიის თანამედროვე ეტაპი უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ხასიათდება პროფესიონალიზმისა და მხატვრულობის ინტენსიური ზრდით. უკანასკნელი წლების საუკეთესო სპექტაკლები გამოირჩევიან ღრმა იდეურობითა და მხატვრული ფორმის გამომსახველობით. მათში ჩვენ ვხედავთ მდიდარ, მრავალფერ აქტიორულ და რეჟისორულ პალიტრას. აშუამად ხომ თე-

ატრის დასწი თავმოყრლია რესპუბლიკის მთავარი შემოქმედებითი ძალეი. ესენი, „სიკვდილ ყოვლისა, თეატრის უბუცხის არიან“ „საქალ სახალხო არტისტები ი. ყურბანოვი, ი. ოსმანლი, ი. დაღესტანილი, — რესპუბლიკის სახალხო არტისტები ა. გერაბეგოვი, მ. სანანი, ა. ჯავაღოვი, ბ. შექინსკია, ნ. მელიქოვა, მ. შეიხზამანოვი, მ. დაღესტვი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები მ. საღისოვა, გ. კავკალი და სხვები. თეატრმა აღმოაჩინა მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდა, რომელთაგანაც მის სცენაზე დამკვიდრდნენ ნიჭიერი მსახიობები გ. ტურაბოვი, შ. მამედოვი, ს. რზაევი, ს. იბრაჰიმოვა, გ. ხინიადი, რ. მელიქოვი. თათბათ ცვლის პროცესის დასკვნით ეტაპზე კოლექტივში მოვიდა ახალგაზრდობა, რომელმაც თავი გამოიჩინა თეატრის მთელ რიგ ნამუშევრებში, — ი. ნურბეგი, შ. მირზოევა, რ. დაღაშევი, ი. ახმედოვა, მ. მელიქოვი. აქ, როგორც წესი, პირველად ხორციელდება თანამედროვე აზერბაიჯანულ დრამატურგთა პიესების დადგმა. განაგრძობს ავითარებს რა თანამშრომლობას უკვე სახელმწიფოებრივ დრამატურგებთან, რომელთა პიესებიც წარმატებით იდგმება მოძვე რესპუბლიკების თეატრებში — მ. იბრაჰიმოვთან, ი. ყასიმოვთან, ი. ეფენდიევიანთან, — თეატრმა მოიწვია დრამატურგთაში სხვა ეანრებში მომუშავე ავტორები, როგორცაა ნ. ხაზრი, ბ. ვავაზაევი, ი. საფარლი, ს. დაღლი.

დრამატურგებთან თანამშრომლობით თეატრი ძიებდა თავის შემოქმედებითს სახეს და პოეტიკის თანამედროვე თემატიკის მხატვრულ დამუშავებაში, თანამედროვე ადამიანის სოციალური და ზნეობრივი აქტივობის გახსნაში. თეატრმა შექმნა სპექტაკლები, რომლებშიც გააზრებულია დღევანდელი რეალობანი კომუნისტური პერსპექტივების თვალსაზრისით, რომლებიც გვიჩვენებენ ქემშარიტად ცხოვრებისეულ და თანამედროვე კონფლიქტებსა და სიტუაციებს, როგორცაა „სიმღერა მთაში დარჩა“, „ზღაპრის დასაწყისი“, „ექო“, „ნაპირები და აღმართი ბედი“, „წვიმის შემდეგ“, „ხმები ბადიდან“. თეატრის პოეტციური შესაძლებლობანი ყველაზე სრულად გამოვლინდა სპექტაკლებში „ინსანი“, „ქარტხილი“, „ნაიამი“, „მკვდრები“, „მდაბინი“, „აღინი“, „უფროსი ვაჟი“, „ხანუმა“, „ნუ გეშინია, დედა“, რომლებიც დადგმულია თანამედროვე რეჟისურის პოეტიკების მომარჯვებით და ხასიათებიან მთელი რიგი კარგი, ზოგჯერ მოულოდნელი აქტიორული ნამუშევრებით, მაღალი სცენური კულტურითა და მხატვრული დონით.

ტევალი და ბეჯვის მომცეკვია ცნება „აზერბაიჯანული საბჭოთა თეატრი“. რა თქმა უნდა, მარტო მ. აზიზბეგოვის სახელობის თეატრის

შემოქმედებითი ბიოგრაფიით არ ამოწურება. აწერბაიჩანული საბჭოთა სცენის აღიარებული ლიდერი, მ. აზიზბეკოვის სახელობის თეატრი ჩვენი თეატრალური ხელოვნების ფლაგმანად გვესახება.

მის მიერ განვლილი შემოქმედებითი და იდეური განვითარების გზა დამახასიათებელია თითოხანად ჩვენი თეატრისათვის და ასახავს აწერბაიჩანული ხალხის სულიერი ცხოვრების ევოლუციას.

ჩვენი ქვეყნის წამყვან თეატრალურ კოლექტივთა რიცხვში სამართლიანადაა შესული აწერბაიჩანის მ. ფ. ახუნდოვის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრი. კიროვობადის, ჯ. ჭაფარლის სახელობის დრამატული თეატრის ნიჭიერი კოლექტივი მემკვიდრეა მუშათა თეატრისა, რომელიც დიდხანს მუშაობდა ბაქოში. რესპუბლიკის თანატოლია აწერბაიჩანის ნ. ვურგუნიის სახელობის რუსული თეატრი.

მთელი ამ წლების მანძილზე იგი გამოდის როგორც რუსული კულტურის სრულფასოვანი წარმომადგენელი აწერბაიჩანში. უზუცესი კოლექტივები არიან ნახიჩევანის ჯ. მამედული-ზადეს სახელობის თეატრი და სტანანაკერტის მ. გორის სახელობის სომხური თეატრი. სასიამოვნო და სასიხარულოა ღაპარაკი ახალი თეატრების აღმოცენებაზე, რომელთა შორის მინდა განსაკუთრებით გამოვყო ლენქორანის ნ. ვეზროვის სახელობის თეატრი და შექის ს. რახმანის სახელობის თეატრი. მათს ძირითად ბირთვს შეადგენს ახალგაზრდა მსახიობები და რეჟისორები, თეატრის მოყვარული ენთუზიასტები, რომელთაც ევალებათ აწერბაიჩანული თეატრის ხვალისდელი დღის ისტორიის დაწერა. აწერბაიჩანის სასცენო ხელოვნებისათვის განვლილი წლები ხასიათდება ახალ ნაწარმოებთა შექმნით, რომლებიც აღსავსენი არიან სამყაროს მრავალმხრივი აღქმის მისწრაფებით.

ჩვენი ქვეყანა კვლავ დიდი და სასიხარულო ამბებით ცხოვრობს, იგი დიდი ოქტომბრის 60 წლისთავს ეგებება. საუკეთესო საჩუქარი ამ თარიღისათვის იქნებოდა ისეთი სცენური ტილოები, რომლებიც ღრმად, მართლაცდა ხატოვნად ასახვენ თანამედროვეობას, გვაჩვენებენ დიდი ოქტომბრის იდეების ზეიმს, კომუნისტური ცხოვრების ყოვლისმმელ ძალას და ჩვენი პარტიის ბრძნული ეროვნული პოლიტიკის განხორციელებას ცხოვრებაში.

ამ მიზნის მიღწევა დამოკიდებულია ყოველ ჩვენგანის, მრავალეროვანი საბჭოთა თეატრის მოღვაწეთა მიზანსწრაფვაზე, შეგნებულ დამოკიდებულებაზე იმ საქმისადმი, რომელიც მოგვანდო კომუნისტურმა პარტიამ.

## ახალგაზრდობა — იმიდი სვალის

ღიბს, ჩვენი მომავლის იმედია ახალგაზრდობა, მის სწორ აღზრდაზე, პროფესიული ჩვევების ჩამოყალიბებაზე, სწორ შემოქმედებით ორიენტაციაზე დამოკიდებულია ქართული თეატრის ხვალისდელი დღე. დღეს თეატრალური ინსტიტუტების აუდიტორიებში რეპეტიციებს გადიან, ან უკვე თეატრებში შემოქმედებით ცხოვრებას იწყებენ ის ახალგაზრდები, ვინც უნდა შექმნას ოცდამეერთე საუკუნის საბჭოთა თეატრის სახე. მომავლის პერსპექტივის ზუსტი გრძნობით, ახალგაზრდობის დროულ პროფესიული დაოსტატებით, მათი სწორი აღზრდის აუცილებლობით არის ნაჯარსხვევი სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ. ამ დადგენილებით პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა კიდევ ერთხელ ცხადყო თუ რა-



დავით ცისკარაშვილი



ოღენ მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს იგი ახალი თაობის აღზრდას.

ეს დადგენილება საშუალებას გვაძლევს უფრო ფართოდ იქნას დასმული ახალგაზრდობის აღზრდის საკითხი ჩვენი შემოქმედებითი ცხოვრების ყველა სფეროში. ახალგაზრდობის შემოქმედებითი დაოსტატებისათვის სწორი გზები რომ ავიღოთ, უნდა ვიცოდეთ რა სულისკვეთებით არიან ისინი განმსკვალული, რა აწუხებთ, რა უშლით ხელს მუშაობაში. სწორედ ამ გარემოებით იყო წყარნახევი საუბარი მრავალი მაგიდის გარშემო, რომელიც „თეატრალური მოამბის“ რედაქციამ ს. ქანანას სახ. სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის ქართულ დააშენი მოაწყო.

საუბარში მონაწილეობდნენ: თეატრის ქართული დასის მთავარი რეჟისორი დავით ცინცარიშვილი, ახალგაზრდა მსახიობები დიმიტრი ჭიანი, თამარ მილდანი, გიზო სირაძე, ვალერი არდელიანი, ნუნუბა ყურაშვილი და თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგე ლანა თუაფეა. საუბარი მიმავდა „თეატრალური მოამბის“ პასუხისმგებელ მდივანს გურამ ბათიაშვილს.

**გურამ ბათიაშვილი:** საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, რომელიც შემოქმედებითი ახალგაზრდობის აღზრდის საკითხებს ეხება, დადგენილება მნიშვნელოვანი მოვლენაა. თქვენ, ალბათ, ამჩნევთ, რომ „თეატრალური მოამბე“ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ახალგაზრდობის აღზრდის საკითხს და დადგენილების შუქზე დაიბეჭდა ბევრი საყურადღებო მასალა, მაგრამ ეს დადგენილება უფრო მეტს გვავალდებს — ფართოდ უნდა იქნას შესწავლილი ახალგაზრდობის მისწრაფებები. დადგენილების ცხოვრებაში გატარება ის იქნება, რომ ყოველდღიურად ვიხელმძღვანელოთ მისი ყოველი პუნქტით. დღეს ჩვენი მიზანია სოხუმის თეატრის ახალგაზრდობის ინტერესებზე ვესაუბროთ მკითხველს (სამწუხაროა, რომ კინოვადლებს გამოჩვენს საუბარში არ მონაწილეობენ აფხაზური

დასის მსახიობები), ვისაუბროთ გულახდილად, ვილაპარაკოთ იმაზე რა გვაწუხებს, რა გვიწინებს ხელს შემოქმედებით წინსვლაში, რადღაც საზოგადოებრიობას, ქვეყანას თქვენგან ერთ-ერთს — შემოქმედებითი წარმატებით.

ჩვენი დღევანდელი შეხვედრა ყოველი თქვენგანის წარმატება-წარუმატებლობის, სიხარულის თუ ტკივილის მიზეზების გარკვევას უნდა ემსახურებოდეს. ვილაპარაკოთ შემოქმედებით დატვირთვაზე, საყოფაცხოვრებო პირობებზე, რადგან ეს ორი პუნქტი უმოთხარებად მისასება.

**ლანა თუაფეა:** ახალგაზრდობის პრობლემა ყოველ თეატრში თავისებურად დგას. ამიტომაც ყოველი თეატრი კონკრეტული შესაძლებლობიდან გამომდინარე განიხილავს და წყვეტს მას. სოხუმის ქართული თეატრი, ჩვენდა სასიხარულოდ, ახალგაზრდა მსახიობთა სიმცირით ვერ დაიჩივლებს, მაგრამ ახალგაზრდობის სიხარული ბევრ სხვა სერიოზულ საკითხსაც აყენებს თეატრის წინაშე — იქნება ეს შემოქმედებითი, ეკონომიური, ორგანიზაციული თუ სხვა.

თეატრის ხელმძღვანელობას ევალება განსაკუთრებული ტაქტიკა და პრინციპულობით მოუძღვებს ყველა ამ საკითხს. სერიოზული ნაბიჯებია გადასადგმელი, რომ ეს ახალგაზრდები მათდამი წაყენებული შემოქმედებითი ნორმების მიხედვით დამკვიდრდეს ჩვენს თეატრში. ამ მხრივ თეატრის ხელმძღვანელობამ (ლირეტიკორი შ. ფაჩალია) ბევრი რამ საყურადღებო გააკეთა.


პირველ რიგში ეს ეხება შემოქმედებით დატვირთვას. ჩვენს თეატრში ახალგაზრდები მოსვლასთანავე ინიშნებიან მთავარ როლებზე, ამიტომ პირველსავე წლებში წარმატებებს აღწევენ. ეს ტენდენცია შემდგომშიც გაგრძელდება. ამიტომ როდობის უქონლობას ჩვენი ახალგაზრდები, მგონი, არ უნდა უჩიოდნენ. ჩემის აზრით, მათ ხელს უნდა უშლიდეს სხვა რამ — კერძოდ რეჟისურის დენადობა. ჩვენს თეატრში თითქმის ყოველ სეზონში იცვლება მთავარი რეჟისორი.



ლანა თუაფეა



ნუგზარ ყურაშვილი



ეს ცვალებადობა იწვევს იმას, რომ თეატრს თავისი განსაკუთრებული ხელწერა, ტრადიციები არ უშუალოდ შევადგინებ, რაც უშუალოდ შევადგინებს ახლანდელ მსახიობთა შემოქმედებაზე. მით უფრო, რომ ყოველი ახალი ხელმძღვანელი ხსნის მის მოხელამდე დადგმულ თითქმის ყველა სპექტაკლს. ამ შემთხვევაში მსახიობებიც კარგავენ თავიანთ შემოქმედებით მონაპოვარს, მათი შემოქმედებითი დატვირთვაც მცირდება. წლებიანდელ სეზონში ეს არ მოხდა. ჩვენი ახალი მთავარი რეჟისორი ყურადღებით მოეცადა ყველა ნაშუაგვარს და არცერთი სპირო სპექტაკლი არ მოიხსნა. ამით მსახიობებმაც შეინარჩუნეს ინტენსიური შემოქმედებითი დატვირთვა — ძველ როლებს ახალი შექმნა და მე გგონია, არც ერთ ახალგაზრდა არ უჩივს თავის შემოქმედებით ბედს.

**დ. ციხაძე** — რეჟისორის დენადობა მართლაც უშლის ხელს შემოქმედებით განვითარებას. მოდის ახალი რეჟისორი და ხაზს უსვამს ყველაფერს, რაც მანამდე გაკეთდა. შევცდილობს ეს არ გავაკეთო. მაგალითად, ჩვენი ახალგაზრდა მსახიობები ვ. არდვლიანი და გ. სირაძე სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. ამიტომ ბუნებრივია, არ მქონდა ამ წელს მათი დაკავების საშუალება. დაბრუნებისთანავე ისინი შევიდნენ თავის ადრე ნათამაშებ სპექტაკლებში და საქაოლ დატვირთულნიც აღმოჩნდნენ. მე რომ ის სპექტაკლები მომეხსნა, დასის ახალგაზრდების თითქმის ნახევარი უსაქმური აღმოჩნდებოდა. ახალგაზრდები რომლებიც დღეს ჩვენი საუბარში მონაწილეობენ, თეატრალური ინსტიტუტის ერთ ჯგუფში სწავლობდნენ. ისინი ერთად მოვიდნენ სოხუმის თეატრში. მათთან ერთად სხვებიც იყვნენ, მაგრამ, ახლა აღარ არიან ჩვენთან. მე არ ვიცი რას მისცემდნენ თეატრს, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი ისინი დაკარგეთ, ვერ შევიწარმუნეთ. რატომ? ცუდი საყოფაცხოვრებო პირობების გამო. დღეს

ჩვენი თეატრის ახალგაზრდებს შორის მხოლოდ ერთი უბინაა. ხელმძღვანელები დახმარებას ვეძებო დღეები, მაგრამ ჭეჭრეობით მდგომარეობა სწავლეოდა.

წელს თეატრალური ინსტიტუტის ოთხმა კურსდამთავრებულმა გამოთქვა სურვილი სამუშაოდ ჩამოვიდნენ სოხუმში, მაგრამ არ მაქვს იმედი, რომ ერთ თვეში ცუდი საყოფაცხოვრებო პირობების გამო უკან არ დაბრუნდებიან. ეს გაერმობა ძალიან უშლის ხელს თეატრის მემდგომ შემოქმედებით ზრდას. თეატრში ახალგაზრდები კი გვყავს, მაგრამ უფრო მეტად ვაყუბი. გოგონები თითქმის არა გვყავს. ამდენად ჩვენს თეატრში ძალიან მწვავედ დგას ახალგაზრდა ქალის პრობლემა. მით უფრო, რომ თეატრში აუცილებელია დუბლიორების სისტემა. ჩვენი თეატრში მწვავედ დგას მსახიობების ცალმხრივი განვითარების საშიშროება. მაგალითად, თ. მილდინი ჭეჭრეობით ვიწრო დიაპაზონის მსახიობად გვევლინება. თავისი აქტიორული ბუნებით ის უფრო სახასიათო მსახიობია. მან წარმატებით ითამაშა მარფას და იგლიტას სახასიათო როლები დარასიელის „იცივიქსა“ და გუქაძის „ყარამანი ცოლს ირთავსში“.

იმავი დროს გვიხდება მისი დაკავება ზეგარისეთ როლში, რომელიც მისთვის სახიფათოც კია. ერთი სიტყვით, როლები განაწილება ექსპლუატატორულ ხასიათს ატარებს.

მეორე ახალგაზრდა მსახიობი ე. ყურაშვილი კი პირიქით — ფართო დიაპაზონის მსახიობია. ასრულებს დიამეტრიულად განსხვავებულ როლებს და წარმატებითაც, სისტემატურად მონაწილეობს სოხუმის ფილარმონიის მინიატურულ პროგრამაში, კარგი ვოკალისტიცაა. საინტერესო გეგმა მაქვს ამ მსახიობის შემოქმედებითი შესაძლებლობის შემდგომი უფრო სრულად გამოყენებისთვის.


გ. სირაძემ ერთი წელი დაკარგა ჯარში ყოფნის გამო. ჩამოსვლისთანავე თავისი ძველი რო



თამარ მილდინი



გიორგი სირაძე



ლები გაიმეორა, მაგრამ სეზონის მეორე ნახევრამდე არცერთ ახალ სპექტაკლში არ იყო დაკავებული. სეზონის მეორე ნახევარში მან მიიღო ფელიქსის როლი ბაერის „ინციდენტში“. სპექტაკლის წარმატებას სირაძის მიერ შექმნილმა ხაბრმა დიდად შეუწყო ხელი. ასეთივე წარმატებით ასრულებდა იგი ტულიოს და ტიტოკოს როლებს „ციკვიძისა“ და „ცეცვის მასწავლებელში“. ამ ახალგაზრდა მსახიობს უკვე ჩამოყალიბებული აქტიორული ხელწერა აქვს. ღრმად წვდება როლის ფსიქოლოგიურ არსს და გამოცდილი ოსტატითობით ძერწავს მას.

ზემოთ ჩამოთვლილი მსახიობების თანაკურსელია ვ. არღვლიანიც. ისიც ჭარში იყო. ამ სეზონში მან ითამაშა დაიოს როლი გ. ხუნაშვილის პიესაში „დაუპარით გიტარები სიუჟარულზე“ და სამი როლი პროსპერ მერიმეს „კომედიების საღამოში“.

ამ როლებში მან თავისი შემოქმედებითი თავისებურების ახალი მხარეები გამოავლინა და თეატრში მასზე, როგორც თავისებური ნიჭი და კარგი შესაძლებლობების მსახიობზე აღაპარაკდნენ.

ძალიან კარგად ითამაშა დიმიტრი ჭაიანმა თეატრალურ ინსტიტუტში დიროვის როლი მუსკაი კარიმის „მთვარის დაბნელების“ დამეში“. ამ თეატრში დ. ჭაიანმა ჩემს მოხელამდე დიდი წარმატებით შეასრულა ყარაშანის და ალაროს როლები. სპექტაკლში „ინციდენტი“ მან შექმნა ფერონეს სახე. ეს ახალგაზრდა მსახიობი მაყურებელთა დიდი სიუჟარულით სარგებლობს. თეატრში მას ყოველთვის კარგი შემოქმედებითი დატვირთვა აქვს. ბევრი სხვა როლიც ითამაშა.

დ. ჭაიანს ხელსატაკვის თამაში სურს, მაგრამ მანამდე ცოტა სხვა ხასიათის როლები უნდა ითამაშოს. მსახიობმა თავისი შემოქმედებითი ნიჭი და შესაძლებლობები რომ შეინარჩუნოს,

საჭიროა ზოგჯერ მისი ბუნებისთვის უცხო აერსახებებიც შექმნას.

**ბ. ბატიანიშვილი** — ახალგაზრდა შემოქმედებაა ზრდისათვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს თუ როგორია მათი მატერიალური დაინტერესება, ეძლევათ თუ არა მსახიობებს საშუალება ყოველმხრივ იზრუნონ თავიანთ შემოქმედებაზე.

**დ. ცისპარიშვილი**: ჩემის აზრით, თეატრში ხელფასები სწორად არ არის განაწილებული. ახალგაზრდა მსახიობების ერთი ჯგუფი (გ. სირაძე, თ. მილდიანი, ვ. არღვლიანი, ვ. შონია) ჩემთვის გაუგებარი პრინციპით ლეზულობენ ხელფასს. არ არის გათვალისწინებული არც მსახიობთა შემოქმედებითი დატვირთვა, არც კატეგორია. მართალია, ამ მსახიობებს ხელფასი კი მოემატათ, მაგრამ ისინი იმდენსავეს ლეზულობენ, რამდენსაც სპეციალური განათლების უქონელი ახალგაზრდები. ეს კი არ მიმაჩნია სწორად.

**ბ. ბატიანიშვილი**: ადრეც ვიცოდი, და აქაც აღინიშნა, რომ თამარ მილდიანი თეატრის ერთი აქტიური ძალაა, მაგრამ მე მაფიქრებს ერთი რამ. და აი, რა — ნუთუ არ გაფიქრებთ თქვენი როლების ხასიათი? უფრო ზუსტად — კარმანობთ თუ არა დაშტამპვის საშიშროებას?

**თ. მილდიანი** — თეატრის რეპერტუარში მე დაკავებული ვარ, მაგრამ მთავარი ჩემთვის როლების რაოდენობა არ არის. მე მინდა უფრო მეტი გაეჯერო უფრო სწორად, მეტი შინაგანი კმაყოფილება ვიგრძნო. ამისთვის კი ბევრი შრომაა საჭირო. დ. ცისპარიშვილი ჩემი პედა-

15559




დიმიტრი ჭაიანი



ვალერი არღვლიანი

კ. მარქსის ს.ხ. საქ. სსრ  
სახელმწიფო რესპუბლიკა  
ბი. ლიოსთაძე



გოგი იყო ინსტიტუტში, ამიტომ უფრო მიაღწე-  
ლდება მასთან მუშაობა. იგი ბერის მოთხოვნა  
ჩემგან, და მეც ბერის მეზობარება. მას აქვს იმისი  
ინტუიცია, რომ აღმოაჩინოს მსახიობში ბერის  
საქირო თვისება. მინდა მქონდეს სცენაზე მეტი  
შინაური თავისუფლება.

დ. ჯანინი: მე მინდა უწინარესად აღვნიშ-  
ნო ერთი რამ — ჩვენი მუშაობით, ჩვენს მიერ  
შესრულებული როლებით, სპექტაკლებით არც  
ისე ხშირად არიან დანტერესებულნი. ამიტომ  
ძალიან მიხარია დღეს ამგვარი საუბარი. მითუ-  
მეტეს, რომ ბევრი გვაქვს სალაპარაკო. როცა  
ყველა საკითხი მინიმალურად მაინც გადაწყდებ-  
და, მაშინ უპირაინი იქნება ვიკამათით შემოქმე-  
დებით პრობლემებზეც.

აი, ზოგიერთი მათგანი — მსახიობს ძალიან  
უშლის ხელს თეატრის ხელმძღვანელების ხში-  
რი ცვლა. მათი გეგმების ყოველწლიურად ცვა-  
ლებადობა მსახიობის შემოქმედებით შრომა-  
ზეც ახდენს გავლენას.

სეზონი ჩემთვის საინტერესოა მაშინ, როცა  
კარგი სამუშაო მაქვს. ცუდადაა დაყენებული  
ჩვენიან ბინებით უსრულებელი საკითხი.  
ამას ჩვენთან არ ექცევა სათანადო ყურადღება.

ერთი რამ მიმარჩნია კიდევ დაუშვებლად —  
ჩვენი თეატრში საშინელ მდგომარეობაშია სა-  
რეცეზიოტი საამქრო. ძალიან ცოტა თანხა  
გამოყოფილი სპექტაკლების დასადგმელად. ამი-  
ტომ ისე კი არ გვმოსავენ, როგორც მხატვარმა  
გაოსარმა სპექტაკლისათვის, არამედ გაცემენ  
იმას, რაც უფრო იათია და რისი შეძენაც ია-  
ლად შეიძლება. რატომ უნდა მიდიოდეს თეატ-  
რი ასეთ შემოქმედებით კომპრომისზე? ეს ხომ  
უთუოდ ახდენს გავლენას სპექტაკლის მხატვ-  
რულ დონეზე.

ბ. ბარდუღანი: თეატრში ჩემს ჭკუფთან ერ-  
თად მოვედი. ეს ჩვენი ყველას გეზმარება. მაგ-  
რამ ქარში ყოფნამ ხელი ნამდვილად შემიშალა.  
შემოქმედებით ზრდაში კიდევ ის მიშლიდა  
ხელს, რომ თითქმის ყოველთვის დუბლიორი  
ჰყოფო.

შერთმის „კომედების საღამოში“ პირველად  
მივიღე დამოუკიდებელი როლები, მქონდა სურ-  
ვილი შემუშავა კარგად, რადგან შემოქმედები-  
თად საინტერესო სეზონი იყო ჩემთვის.

ჩვენი თეატრში ახალგაზრდები (თითქმის  
ყველანი) საინტერესოდ მუშაობენ. ზოგჯერ  
სხვა რეჟისორების მოწვევაც კარგია, რადგან  
ახალ შემოქმედთან შეხვედრა ჩვენც გვაძლი-  
ერებს. ხელმძღვანელების გამოცვლას კი ცუდის  
მეტე არაფერი მოაქვს.

დ. ჯანინი: ჩვენი თეატრში დუბლიორობის  
სისტემა ცუდად არის დაყენებული. პირველი  
შემსრულებელი, მაგალითად, ათქერ გაივლის  
რეპეტიციას, მეორე შემსრულებელი კი —  
ერთხელ, მაშინ როდესაც ორივე შემსრულებე-  
ლი უნდა თამაშობდეს თანაბრად. თავისი ობი-  
ექტური მიზეზები კი აქვს ამას, მაგრამ ჩვენ ეს  
არ გვშველი.

ბ. ბატიანიშვილი: მაგალითად, რა მიზეზები?

დ. ჯანინი: ორი თეატრია ერთ შენობაში.  
გვაქვს ერთი სცენა, რიგში ვდგავართ, რომ გა-

ვიდეთ სცენაზე. სპექტაკლის გამოშვების წინ  
ათიოდ დღე გვეძლევა სცენაზე. რეჟისორი  
ჩქარობს როგორმე მოახს საქმე. დუბლიორი  
დუბლიორი საერთოდ ავიწყდება.

ბევრი რამე გვაწუხებს არა მარტო ახალ-  
გაზრდებს, სხვებსაც, — ძალიან ცუდაა, რომ  
თეატრში გათობა არაა. უკვე რამდენიმე წელს  
წაღია წამთარში არაღამიანურ სიცივეში გვიხ-  
დება მუშაობა. ზოგიერთი მსახიობი ქრონიკუ-  
ლი რადიკულიტით დაავადდა. ასეთ სიცივეში  
ჩვენ გვიჭირს თეატრში ყოფნა და მაყურებელი  
როგორ მოვა. მე მგონი, ამ საქმეს უნდა ეშვე-  
ლოს, თორემ თეატრი დეკარავს მაყურებელს.

ნ. შურაშვილი: არ ვიცი რა ჰქონდა მხედვე-  
ლობაში დ. ცისკარაშვილს, როცა ჩემზე ამბო-  
და საკმაოდ არ არისო დატვირთული. მე რი-  
ლებას უშვარისობა არ მიგჩენია. ყოველ სე-  
ზონში ორ ან სამ მთავარ როლზე მიხდება მუ-  
შაობა.

მე სხვა რამე მაწუხებს — ზოგჯერ თეატრში  
თაობები ვავიწროებ ერთმანეთს. ეს არ უნდა  
იყოს. ერთმანეთს მეტე პატივი უნდა ვცეთ.

ერთი კია სამწუხარო — ჩვენი გეგმები არც  
ექსპერიმენტების, არც სხვა ზეგეგმითი მუშაო-  
ბის საშუალებას არ გვაძლევს.

დ. ცისკარაშვილი: სრულად გეთანხმებით.  
ჩვენი საწარმოო საამქროები ვერ ასწრებენ და  
ამიტომ რამე ზეგეგმით სპექტაკლზე ლაპარა-  
კიც კი ზედმეტია.

ბ. ბატიანიშვილი: ჩვენი საუბრის დასასრულად  
მინდა მოვახსენოთ, რომ საუბარს საინტერესოდ  
ჩატარდა, თუმცა-და უფრო ფართოდ, ვრცელად  
უნდა გველაპარაკა შემოქმედებით ტენდენცი-  
ებზე, სირთულეებზე. თქვენი თეატრის მსახი-  
ობთა 35-40 პროცენტი ახალგაზრდობა ყოფი-  
ლა. ეს ხომ მთელი თეატრია ეს ის საგანმუ-  
რია, რომელიც რეჟისორს ამოუწურავ საშუა-  
ლებებს აძლევს ინტენსიური შემოქმედებითი  
შრომისათვის, მხოლოდ საქირთა დამლული  
იქნას ის სირთულეები, რომლებიც მან გველო-  
ბება. უნდა შეიქმნას მკაცრი საზოგადოებრივი  
ზრი იმ ინსტანციებზე, იმ პიროვნებებზე, რომ  
ლებიც არ ასრულებენ, ან სანახევროდ ასრ-  
ლებენ პარტიისა და მთავრობის მითითებებს.

სკკ ცენტრალური კომიტეტის შემოთავაზნიშე-  
ლი დადგინდება ახალგაზრდობას ბევრ საშუა-  
ლებას აძლევს, მაგრამ ბევრსაც ავალებს. ეს კი  
არ უნდა დავიწყებო.

# „მთვარის მოტაცება“

ლილი თეატრის სცენაზე

ბმლო პერიოდის საქართველოს მუსიკალურ ცხოვრებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად იქცა. საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, კომპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილის ოპერის „მთვარის მოტაცების“ სცენაზე, საბჭოთა კავშირის დიდი თეატრის სცენაზე, რომლის პრემიერა შედგა ამა წლის 25 მარტს და მავშინ. ვე დიდი აღიარება გამოიწვია. პრემიერის შემდეგ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა, კომპოზიტორმა გიორგი სვირიდელმა განაცხადა: — „მთვარის მოტაცება“ შესანიშნავი ოპერაა! ოთარ თაქთაქიშვილმა შექმნა საბჭოთა მუსიკის თვალსაჩინო ნაწარმოები. სექტაკლში ყველაფერი მომწონს! მაგრამ, რასაკვირვებია, უკვლავ შეეძალა მუსიკა, შექმნილი ნიჭიერი კომპოზიტორის მიერ“.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლების განდიდოებულმა ეპოქამ — კონსტრუქციულ გამსახურდას რომანმა „მთვარის მოტაცებაში“ ლიტერატურიდან ხელოვნების სხვადასხვა თანრში გადაინაცვლა. მისმა გმირებმა სიცოცხლე განაგრძეს ეგრანსა და თეატრის სცენაზე. მიუხედავად ამისა, ერთგვარი გაცემა გამოიწვია ესოდენ მრავალმანიანი და მრავალთემიანი გრანდიოზული ტილოს საოპერო თანრში განსხეულების იდეამ. და მართლაც, პირველი შეხვედრა თითქოსდა წარმოუდგენელია ამ დაუოკებელი ვენბათა დღესასწაულის საოპერო ჩარჩოებში მოქცევა. ამიტომ დიდსა და დაძაბულ შრომას ითხოვდა ოპერის ლიბრეტოზე მუშაობა, რომელიც თვით კომპოზიტორმა იტვირთა პოეტ შოთა ნიშინაიძისთან ერთად. ო. თაქთაქიშვილმა ძირითადი ყურადღება გამახვილა მასობრივ-თანრულ სცენებზე, სოციალურ კონფლიქტებზე, რომლებსაც დაუპირისპირა ოპერის ლირიკული ხაზი. კომპოზიტორისათვის მთავარი აყო გადმოცემა ძველისა და ახლის შექიდილი, ძველის აღმუცეხა და ახლის დაქვიდრების გარდუვალობა. ეს კონფლიქტი თავიდანვე გამოიკვეთა, შემდგმ ვალრამედ და ფინალში გამარჯვების ამოთეოსს მიადწია.

მთავარ გმირთაგან წინა პლანზე გადმოვიდა არზაყანის და კაც ზვამბაის სახეები, რომლებიც ორი მოწინააღმდეგე ძალის სიმბოლოებად

წარმოჩინდნენ. თარაშის სახე არზაყანთან შედარებით გაფერმკრთალდა. მასში ხაზგასმული პასიური საწყისი შრომობიური მიწაყულიან ხალხის ინტერესებიდან სრულ გათიშავლ შეტყველებს და თავიდანვე განაპირობებს მის განწირულებას. შეიკვეცა თარაშისა და თამარის ლირიკული ხაზიც. ამ ამაღლებელში სიყვარულიდან ოპერის ლიბრეტოში შევიდა თარაშის მიერ თამარის სიყვარულის უარყოფა, განპირობებული მათი მოდგმის განწირული ბედით. მეორე პლანზე გადავიდა აგრეთვე თამარისადმი სიყვარულით გამოწვეული კონფლიქტი არზაყანსა და თარაშს შორის. არზაყანის მთავარ ხაზად დარჩა ის დიდი იდეა, რომლისთვისაც იგი იბრძვის.

ლიბრეტოს ამგვარმა გააგრძელებს საგუნდო ფაქტურის გაძლიერება ნაწილობა. საერთოდ, ოთარ თაქთაქიშვილის ბოლო პერიოდის შემოქმედებაში ძირითადად დომინირებს საგუნდო მუსიკა. კანტატა-ორატორიული თანრი, რამაც თავისი კვალი მის საოპერო დრამატურგიაშიც დასტოვა. გუნდის ფუნქციის ესოდენ გაზრდილი მნიშვნელობა ერთი მხრივ განპირობებულია ქართული საოპერო კლასიკის ტრადიციებით, რომლებსაც საფუძველი „ახსალმოდ და უთერში“ ჩაეყარა, განვითარება განაგრძობ შემდგომი პერიოდის ყველა მნიშვნელოვან საოპერო ნაწარმოებში და თვით ოთარ თაქთაქიშვილის ოპერებში „მინდია“ და „სამი სიცოცხლე“. მაგრამ „მთვარის მოტაცებაში“ გუნდის ფუნქცია კიდევ უფრო გაზრდილია. აქ პერსონაჟიკურებულია, ერთი მხრივ, თვით გუნდი და, მეორე მხრივ, გუნდის მეშვეობით პერსონაჟიკურებას განიცდიან მთავარი გმირები. ოპერაზე მუშაობას ხანგრძლივი „ლაბორატორიული“ პერიოდი უძღოდა წინ. კომპოზიტორმა საფუძვლიანად შეისწავლა გურული და მეგრული ფოლკლორი, ესიკუების სახით იქმნებოდა ფოლკლორული მინიატურები, რომელია საფუძველი შექმნა ვოკალურ ინსტრუმენტული სუიტები „გურული“ და „მეგრული“ სიმღერები. რომლებიც ხალხური მასალის თავისუფლად დამუშავების წარმოადგენენ. სწორედ ეს ინტონაციური სამყარო დაიღო საფუძვლად ოპერის მუსიკალურ დრამატურებას, კომპოზიტორი ზოგ შემთხვევაში იყენებს ხალხურ სიმღერებს პირველქმნილი სახით, ასე მაგალითად, არზაყანის სიმღერა მესამე მოქმედებაში. ეს ხერხი დრამატურულიად გამართლებულია — სვანეთში ახიზნული არზაყანი იგონებს თავის შრომობიურ კუთხის და ოცნებობს მღელ დაბრუნებაზე. (განსაკუთრებული ელგორია მანიაქა ამ სიმღერას ზეგასხეულიად). ძირითადი ღერძს წარმოადგენს ორაგუნდი, რაც ორატორიულიების ნიშნებს სცენის ნაწარმოებს. ამ გუნდების ინტონაციური სყეროდან ამოიზარდნენ ურთიერთ დაპირისპირებული სიმღერები — არზაყანის და კაც ზვამბაია, ძირითადი კონფლიქტიც სწორედ მათ შორის ვლილდება. (კაც ზვამბაია არ იღებს ახალ ცხოვრებას, არზაყანი იბრძვის მისთვის). ხალხიც ორად არის გათიშული, ერთნი კაცს უღაგან გვერდში, მეორენი არზაყანთან ერთად იბრძვიან. ამ ორ მონუმენტურ გუნდს ერთვის მესამე — მცირე ანსამბლი — არზაყანის მეგობრების ოქტეტი. მთელი პირველი აქტი — ახალი ქსოვრების დამკვიდრებისათვის ბრძოლა — ენათობის სლოგანის ყუფის ამსახველ ვარსულ ფონზე იშლება. თავიდანვე ხაზგასმულია ხალ-

ხური მელოდიური მიმოქცევის. განსაცვიფრებელია, როგორ ოსტატურად დასძლია დიდი თეატრის გუნდმა ქართული ხალხური სიმღერისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური პოლიფონიური უღერადობა. განსაკუთრებით ამ სიმღერების წინაშე იდგა ვაჟთა ოქტეტი, რის გამოც ფიქრობდნენ ცოცხალ არსამბლ „რუსთავის“ მიწვევას. მაგრამ დიდი თეატრის გუნდის მაღალპროფესიულობამ ცხადყო, რომ ამის აუცილებლობა არ აღმოჩნდა. არსაყენს და მისი შეგობრების მიერ სოფლის ზეიმზე შესრულებული „ჩაგუნა“ ნამდვილ აღფრთოვანებას იწვევს.

ამ უანრულ პირველ აქტს, რომელშიც საფუძველი ეყრება სოციალური კონფლიქტის ძირითად ნაწს, უპირისპირდება მომდევნო აქტში ამბოღობის ღირსება. ეს ლირიკული ხაზი თავდაპირველად უფერტურაში იკვეთება. თუმცა მთელი უფერტურა ახალი ცხოვრების ნიადაგრივით მოვარდნილ მშობითვარ პერიოდს გადმოკვცემს, მაგრამ მასში უყვე არის ჩართული ის ლირიკული ტალღა, რომელიც ასე შთამბეჭდავად გაოსმის მეორე აქტში. იგი პირველ მოქმედებაშიც გაიფლერებს, თარაზისა და თამარის გამოჩენასთან დაკავშირებით. მეორე აქტი ოპერის ყველაზე შთამბეჭდავი მომენტია. იგი რამდენიმე კონტრასტული სცენისაგან შედგება — ერთი ლირიკული, დაკავშირებული მთავარ გმირთა სულიერი განცდიდან, და მეორე დრამატული, რომელიც მოცემულია მთელი ოპერის დრამატული კულმინაცია. ლირიკული სცენა არსაყენის არიით იწყება, რომელშიც უშუალოდ გადადის ამ მოქმედების ანტრაქტი. არიის ფაქიზი, ნატოვი მელოდია არსაყენს ახალი თვისებებით წარმოაჩენს და თამარისადმი მისი ერთგულ და ამაღლებულ გრძობიბზე მეტყველებს. არსაყენის სიყვარულს თამარისადმი უპირისპირდება თამარისა და თარაზის სატრფიალო დუბტი.

ამ ლირიკულ სცენას უპირისპირდება მეორე სურათი, რომელიც მძაფრ დრამატულ კონფლიქტზე აიგება. ეს უკვე კაც ზეამბაის სახლია, გარდამავალ მომენტად ლირიკულიდან დრამატულ ეპიზოდზე წარმოდგენილია არსაყენისა და დედის სცენა, რომელსაც ლოგიკურად მიეყვანათ კაც ზეამბაის ზღვარგადასული შრისხანებაში. მის მიერ საკუთარი საქონლის გაწირვის სცენამდე, რომელიც დრამატული ექსპრესიით აღსაყენს მრეღვარე ეპიზოდს წარმოადგენს და კაცისა და არსაყენის კონფლიქტის უკიდურესად დაძაბულ კულმინაციად აღიქმება.

და კვლავ კონტრასტული სცენა. დამატულ ვითარებაში შემოიჭრება სახალხო ზეიმის ინტონაციები. შემოდიან მალამუნები. მხიარულებაში წაყვან ელემენტად საცეკვაო რიტმი — ინტონაციები ექცევა. თითქოს ყველაფერი ამ მხიარულ ფერხულში იძირება, მაგრამ დრამატული ინტონაციები შინც გაიფლერებს, რაც იმის მომხრეა, რომ დამატულობა არ შენელებულა — არსაყენის სიცოცხლე მეწვეზე ჰკიდია მამამ ვერ გაიმტკა შეილი, მაგრამ ყოფილი „ძლიერი ამა ქვეყნისა“ სასიკვდილო განჩენს უშუალებდნ მას, საფულისხმია, რომ ის სცენა ქორეოგრაფიის ხერხით არის გადაწყვეტილი. საერთოდ უნდა აღინიშნოს ქორეოგრაფიის დიდი მნიშვნელობა სექტატულში. საქართველოს სახალხო არტისტმა გ. დარხველიძემ სახოვანი საცეკვაო სუიტები გამოკვეთა, რომლებიც წარმოყვადგებიან არა როგორც ჩართული დივირ-

ტისმენტები, არამედ საერთო დრამატურგული ხასთან ორგანულად დაკავშირებული სცენებისა და მანდნა. ბუნებრივად გამომდინარეობს ქორეოს კულმინაციური ეპიზოდში ქორეოგრაფიული ხერხის შემოტანა. შურისძიებელთა ცეკვაში „სინტაზისა“ თამაში განსაკუთრებით საზოგადო ამოხრნა შეიქმნა წინამძღოლი გ. პაშკინის შესრულებით, რომელმაც შესანიშნავად გაართვა თავი ქართული ცეკვის რთულ ილითებს და საინტერესო სახე შექმნა.

სეანური მელოდიური სამკაროს შემოჭრა მახშვის სახლი სცენას გვამცნობს. მესამე მოქმედება, ისევე როგორც პირველი, ძირითად უანრულ ჰუმანიზად გადაწყვეტილი, რომელიც გადაკვეთილია თარაზის ზმანების ლირიკო-დრამატული ეპიზოდით და თვითშეკლდობის სცენით. ამ განხილვის მუსიკა აღსავსაა ექსპრესიით, უშიფლო განწირულებით. თარაზის უსიქლოგიური რეჩიტაციას უპირისპირდება თამარის შთამაგონებელი, ნატოვი ლირიკა და ტარიტონის მისი მამის განუწომელი უბედურება, რომელსაც წყევლა და კრულვა მოჰქვს თარაზისათვის. ამ განსხვავებულ ფსიქოლოგიურ განწყობლებზე ამოცნუნდება უკიდურესად დრამატული ტრიო, რომელიც ლოგიკურ ფონს ქმნის თარაზის თვითშეკლდობის სცენისათვის.

ეს ეპიზოდზე შემდგარგულია უანრული სცენებით. მაგრამ თუ პირველ ეპიზოდში სცენას სანადიროდ წამსვლილ ხსენია და მათ სტუმართა რიტუალს წარმოსახავს, ფინალში იგი გამარჯვებული საბჭოთა საქართველოს ჰიმნად გაოსმის. მაგრამ ფინალში ოთარ თაქთაქიშვილი მოგრიდა გაშლილ საგუნდო ფაქტურას. ოპერის ფინალი ინტიმურ ჰუმანიზად გადაწყვიტა, რომელიც მართოდ დარჩენილი არსაყენისა და მისი შეგობრების იმედსა და სიხარულს სახავს.

ეს რთული მუსიკალური ქარვა საინტერესოდ არის გახსნილი სექტატული რეჟისორის საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ბ. პოკროვისა და რუსის დრამატურგული მხატვრის ვ. ლევინის მხარის მიერ. მათ მკვეთრად შეიგრძნეს და ლოგიკურად გაიხარეს ქართული ყოფის მსახველი სპეციფიკური მომენტები, მონუშტური მასობრივი სცენები თუ გმირთა ფსიქოლოგიური ხახეები და ორგანიზებულნი, ერთიანი ძაფით აკონსული წარმოდგენა შექმნეს. რეჟისურა და სცენოგრაფია აქ ერთიან ნაწარვეად წარმოვედგება. ბ. პოკროვიმ სახოვნად გადასწავიტა გაშლილი მასობრივი სცენები, შეცვლია ორატორული დრამატურგით ადგილი საგუნდო სცენებისათვის სტატურობა აუცილნა და მოძრა ორგანიზმად ექცია. ამავე ელმასურება შედეგად დეტალბობსაგან განწვირთული მხატვრული გოფორმება. ორი ბერძუხა, რომელთა ძლიერ ტიტებზე ქართული სოფლი გაშენებულა, წარმოადგენს იმ ფონს, რომელზეც მოილი დრამა იშლები. (ტოტობზე გამწებული სოფელი თავისუფალი მოძრაობის საშუალებადაც იძლევა სცენაზე). პატარა მზარი სოფლის შუშო მოწონააშობდეგ ძალითა დაპირისპირების მხოლოდ ფუნქციის იქნეს. მისი უყენა მხარე მესამე აქტში მახშვის სახლის ფიქრულ კედლად ექცევა და ფინალში საერთოდ გაჭრება, რათა გამოჩნდეს ის თავისუფალი, უკიდურული სივრცე, რომელსაც ახალი აღმართი იუფუნება. სრულიად უბრალო, სადა დეტალებით მხატვარი აღწევს მოქმედების სხვადასხვა ადგილის ეფექტს, როგორც არის კაც ზეამბაის სახლი,



სცენა სპექტაკლიდან „მთვარის მოტაცება“

გადახურული ძველი ქართული დარბაზის მსგავსად, მანქნის სახლი და სხვა.

ოთხ ნაწილად დაყოფილი ძირითადი დაზგა აქტიურად თამაშდება სპექტაკლში პირველსავე საგუნდო სცენაში გუნდების საწინააღმდეგო წრებზე განლაგება და პაქრობისას ამ დაზგების ზეაწევა აძლიერებს კონფლიქტის შეგრძენებას. ძლიერ ზეგავლენას ახდენს ცენტრალური ზეაწეული დაზგა კათალიკოსის გამოჩენისას. საინტერესოდ არის ამ დაზგების მეშვეობით გადაწყვეტილი თარაზის ზმანების სცენა თავის მოკვლის წინ, მესამე მოქმედებაში, დაზგის თითოეული ნაწილი წრიულად მოძრაობს და ამ დრამის მოქმედ გმირთა — თამარის, თარაზის და ტარიელის გათიშულ, დაუკავშირებელ სახეებს, თარაზის გონებაში წარმოსახულ მათ სულიერ განცდებს გადმოგვცემს.

ოპერის წარმატებაში უდიდესი ღვაწლი მაუძღვრის სპექტაკლის დირიჟორის ა. ლაშარავის, რომელმაც ასე მოქნილად, მაღალმხატვრულ დონეზე მოგვარა ქართული ხალხური მუსიკის სპეციფიკური ინტონაციებით გაუღწეოილი ო. თაქთაქიშვილის ეს რთული პარტიტურა და ასე სახოვნად ააუღერა იგი გუნდსა და ორკესტრში.

არაწყანის განუმეორებელი სახე შექმნა საქართველოს სახალხო არტისტმა ზურაბ სოტილაძემ. მისი ბრწყინვალე ვოკალი არაჩვეულებრივად უღერდა როგორც ანსამბლებში, ისე სოლო პარტიტებში. და ალბათ ვერავის დასტოვებდა გულგრილს მის მიერ შესრულებული არია მეორე მოქმედებიდან და მეგრული სიმღერა მესამე მოქმედებაში. მომხიბვლელი იყო რსფსრ დამსახურებული არტისტის მყვალა ქასრაშვი-

ლის თამარი. საოცარ ზემოქმედებას მაილწია მისმა პარტიტამ თარაზის ზმანების სცენაში და სავსებით დამაჭრებელი გახადა ის ფსიქოლოგიური ხაზი, რომელმაც თარაზი თვითმკვლელობამდე მიიყვანა. საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ე. ნესტერენკოს კაც ზვამაია ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი სახეა ოპერაში. ამ ანსამბლს უერთდება საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ი. გულიაევის — თარაზი და რსფსრ დამსახურებული არტისტი ლ. ნიჭიტანის დედა.

ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა „მთვარის მოტაცება“, რომელიც დიდი ოქტომბრის რევოლუციის 60 წლისთავს მიეძღვნა, მალე გაიუღერებს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე და ქართველ მსმენელს საშუალება ექნება ქართულ ენაზე შეხედოს საბჭოთა საოპერო მუსიკის ამ ახალ მნიშვნელოვან ქმნილებას.



რესპუბლიკის თეატრალურ აზიზსათან

მანანა ავაუშკელი

„ეწოში ავი ძალღია“

დიკლამანტი რეჟისორის გიორგი თოდაძისათვის კ. ბუაჩიძის „ეწოში ავი ძალღია“ უკვე მეორე დამოუკიდებელი სპექტაკლია კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. ეს პიესა მაყურებლისათვის არ არის ახალი, არც მისი გმირები არიან უცხონი, — ისინი ჭერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ რუსთაველის თეატრის სცენაზე ცოცხლობდნენ.

სასიამოვნოა, რომ კ. ბუაჩიძის ამ პიესამ გაუძლო დროის გამოცდას. მისი პერსონაჟები დღესაც ისე ცოცხლობენ, მაყურებლის ისეთვე რეაქციას იწვევენ, როგორც ამ 20 წლის წინათ იყო. ბევრი თავის ნაცნობს ამოაცნობს მათ შორის და სახტყად გაიკიცხვს ამგვარი ფსიქოლოგიის ადამიანებს, მაგრამ სპექტაკლში შთაბრძნად და საყურადღებო მაინც ის არის, რომ ახალგაზრდა რეჟისორმა პირდაპირ ზედმიწევნითი სიზუსტით გახსნა გმირთა სახეები. არცერთი მსახიობის თამაში არ არის ძალდატანებული, ხელოვნური, ყოველ მათგანს ეტყობა უშუალობა, უბრალოება, პირდაპირი დამოკიდებულება და სახის სწორად გაგება. პიესის სათაურის — „ეწოში ავი ძალღია“ — შესაბამისად რეჟისორი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ამ ეწოში მცხოვრებნი (რა თქმა უნდა, ზოგიერთის გამოკლებით) თავისი საქციელით ავ ძალს წააგავენ. ეს ძალის სცენაზე არ ჩანს,

მარტო მისი ყველა იმის. ძალის ყველა დროს ყოველი მათგანი იწყებს ლანდლაგინებას, ჩხუბს, წყევლას და ეწოში ალიაქოთი დგება. ამით ავტორი და რეჟისორი ხაზს უსვამენ ორ არსებებს — ავ ძალღსა და ავ ადამიანს შორის მსგავსებას: ერთია ნაკლებად განვითარებული ცხოველი, ხოლო მეორე — უფრო მეტად განვითარებული ცხოველი, რომელთაც დაკარგული აქვთ ადამიანური ღირსება. ყოველივე ეს მსახიობებმა უბრალოდ და დამაჭერებლად მოიტანეს მაყურებელამდე.

სპექტაკლის პერსონაჟები თავიანთი საქმით არიან დაკავებული. ისინი ყველანი ერთ ეწოში ცხოვრობენ, მაგრამ არაფერი ესმით ერთმანეთისა, ვერ გაუგიათ თითოეული მათგანი ერთ ცხოვრობს, რითი საზრდოობს, ბოლოს კი, ყველას ერთიანად ხვდება ავტორისა და რეჟისორის მწარე მათრახი, ზოგს დანაშაულისათვის, ზოგს იმისათვის, რომ უჭირს ამხილვას ეწოში გამეფებული უმსგავსებანი, სიმართლის თქმას ერიდება და „შეჩვენებულობს“ არჩევს.

ტრაგიკომედია „ეწოში ავი ძალღია“ ჩვენი საზოგადოების ერთ ნაწილში ჭერ კიდევ შემორჩენილი მანკიერების მკაცრი კრიტიკაა. განა ჩვენს ირგვლივ არ არსებობენ ელემენტარულ ადამიანურ ღირსებას მოკლებული ისეთი პიროვნებები, როგორიცაა ვანო ლიითაძე. ამ როლში თ. მასისრამა ჩინებულად, მდიდარი აქტიორული საღებავებით დაგვიხატა სახე ნამდვილი მლიქვნელისა, მატყუარისა, საიქვო საქმისისა და ანონიმური წერილების წერაში დახელოვნებულისა. მაყურებლის ცხოველ ინტერესს იწვევს ელ. ყიფშიძის ფოფია. მსახიობი კვლავ შესაშური ოსტატობით გამოვლენა თავისი გმირის სახეს, ამ როლში ელ. ყიფშიძემ გარდასახვის ჩინებულ დონეს მიაღწია. მან თავისი პერსონაჟის თავისებურებათა ღრმა გააზრების მეშვეობით შექმნა სრულქმნილი განზოგადებული მხატვრული სახე, რომელიც დიდხანს ემბსოვრება მაყურებელს.

მ. ჭაფარიძის ვარვარა ყაბლი, მედიური „არისტოკრატის“ ტიპია, რომელსაც მეწოხელი კი არა, მეუღლაც უბატონოდ სიტყვას ვერ შეჰყადრებს. ვარვარას მეუღლეს, რუმენ მინდელივს ხსარტი იუმორით წარმოგვიდგენს ვ. ნინუა, იგი თავისი გმირის „ტანჯივითა“ და წამებული ცხოვრებით ცხოვრობს სცენაზე. გ. ხურცილავამ ახალგაზრდა ინჟინერი ლეო ლანდიას სახე თავისებურად, საკმაოდ საინტერესოდ გახსნა. იგი არის პიროვნება, რომელიც ყველაფერს ამწევს, ცდილობს უმსგავსოთა საქციელს მიახვედროს კიდევ მეწოხლები, მაგრამ ბოლომდე მინც ვერ ამბობს სათქმელს, „პირი წყლით აქვს სასვე“ და თავის ნაქუთუნი იცეტება. მსახიობ გ. ბერაკიშვილის ალექსანდრე კი, რომელსაც მთელი თავისი ცხოვრება



სცენა სპექტაკლიდან

ალალი შრომით უცხოვრია, ახლა წყნარ ოჯახზე ოცნებობს. მასაც ბევრის თქმა უნდა, კრიტიკულად არის განწყობილი შექმნილი სიტუაციისადმი, მაგრამ რატომღაც მასაც ვერ ვაუბდენია ხმა აღიშლელს უმსგავსოების წინააღმდეგ. მსახიობმა ნ. ჩხეიძემ ცოცხლად გადმოგვცა მეტწილად, ქორიკანა შინაბერა ქალის ცაცანას ხასიათი, გვაჩვენა მისი სულიერი სიცარიელე.

მაყურებელი გაახარა ს. ჭიაურელმა — სარეს კოლორიტული სახის შექმნით. მასი იეზდი გოგონა ალალია, სუფთა, თავისი საქმის ერთგული. იგი ყოველ სისხამ დილას, ღიმილით და ხალისით შემორბის ეზოში და სიცოცხლე შემოაქვს. სცენაზე ს. ჭიაურელის სარეს გამოჩენა მაყურებელთა დარბაზში მხიარულ განწყობას ამკვიდრებს.

ამ გამოცდილ მსახიობებს გვერდს უშეშენებენ თეატრის ახალგაზრდა შემსრულებლები: ლ. პიტავა (როზეტა) და ა. ბუაძე (გურამ შელია). მათ დაგვიხატეს მშობლებისაგან განეზივრებული, მათს კალთას ამოფარებული უდარდელი ახალგაზრდები, რომლებიც მომავალზე, დამოუკიდებელ ცხოვრებაზე ერთხელაც არ დაფიქრებულან. მათს საპირისპირო სახეებს ქმნიან ლ. ყარასაშვილი (ელო გოგნიაური), მ. ბუალავა (ირინე კახიძე). ესენი არიან საქვეყნო საქმით გატაცებული, ენერგიული და ზნე-

ობრივად კეთილშობილი ახალგაზრდები. ერთი მათგანი ცნობილი სპორტსმენი და კარგი დედა, მეორე კი მოქანდაკეა. სპექტაკლის წარმატებაში თავისი წვლილი შეაქვთ გ. გოგუას (ეურნალისტი) და მ. ყუფარაძეს (თამაზი).

მხატვარ უშანიგი იმერლიშვილის სადა, უბრალო დეკორაციას თვალნათლივ მივყავართ თბილისის ერთ-ერთ ქუჩაზე და მოქმედებაში გადაყავართ მსახიობებთან ერთად.

აღსანიშნავია ქორეოგრაფ ი. ზარეცკის და კომპოზიტორ ვ. კუხიანიძის შემოქმედებითი ურთიერთობა, ცეკვებისა და მელოდების კარგი ურთიერთშერწყმა.

სპექტაკლი „ეზოში ავი ძაღლია“ ყველამ უნდა ნახოს, რადგანაც მასში ასე აშკარად და თამამად არის გადმოცემული ის მანკიერი და მტკივნეული საკიბოები, რაც ჭრე კიდეც გამოსასწორებელია.



# „სამოთხის ვაშლები“

სამოთხის ვაშლი ოდითგან ცოდნისა და ამავდროს ცოდუნების სიმბოლოადა მიჩნეულა. ამ სიმბოლოს შინაგანი გაორგება გახდა ის იდეური და ემოციური კაქტერონი, რაზეც ააგო გრიბოედვის თეატრმა საექტაკლი „სამოთხის ვაშლები“.

სულიციტური სიმწვავე, სინამდვილის მამხილებელი ასახვა, პრაქტიკული სიუჟეტი, საზოგადოებრივად უარყოფითი მოვლენების არს-ში წვდომა და მათი წარმოშობი მიზეზების მხილება, კარგა ხანია გრიბოედვოელთა მოქალაქეობრივ დანიშნულება იქცა.

პირობითი თეატრალური ხერხების სიმრავლე, მკვეთრი სატირა, თეატრალურ ინტონაციათა მრავალფეროვნება, რთული ბუფების პერსონაჟთა გამოსახვისაქენ სწრაფვა, კარგა ხანია გრიბოედვოელთა შემოქმედებით კრძელს წარმოადგენს.

„სამოთხის ვაშლები“ ზემოთქმულის კიდევ ერთი დღასტურებაა. იგი თეატრის წიაღში იშვა (ბიესის ავტორთა თეატრის სალიტერატურა ნაწილის გამგე ა. კობეტეშვილი) და ორგანულად ერწყმის თეატრის რეპერტუარს. ა. კობეტეშვილის პიესა ჩვენს სინამდვილეს ასახავს. მოქმედების ადგილია ქალაქი, რომელიც არ არის დაკონკრეტებული. პიესაში აღწერილი ამბავიც არ არის ქრონო და არატიპური. მსგავს მოვლენებს და პერსონაჟებს ჩვენს ყოფაში ყოველდღიურად ვხვდებით.

პიესა „სამოთხის ვაშლები“, პირველყოფლისა, ყურადღებას იპყრობს დრამატურგული მოცულობით. პერსონაჟების სიმრავლის ნიუხედავად, ავტორი მიმართავს სიმფონიზმის პრინციპს, აწუხებებს თითოეული გმირის ფუნქციას და ქმნის სტენურ კარნაჟის მათი ხასიათების განიჭარებისთვის. ტიპიზაციის ექვემდებარება ყველა მოქმედი პერსონაჟი (ეპიზოდურიც კი). თვით მათი სახელებიც ამას მეტყველებს: ბიკი, გოგო, მეგობარი, შეფი, ახალგაზრდა ქირურგი, მცირე ფორმების მოქანდაკე და ა. შ. ისინი ერთმანეთთან მიჭიდდებიან არაინ დაკავშირებული. ავტორს შექმნილი აქვს რამდენიმე სიუჟეტური ნაკადი დამოუკიდებელი განვითარებით. მიუხედავად ამისა, მათი შინაგანი კავშირის განჭვრეტა საკმაოდ იოლია.

პიესა იწყება ბიესისა და გოგოს შემთხვევითი შეხვედრით მატარებელში. შემდგომ ისინი ერთმანეთს დაშორდებიან, შემთხვევით მათ კვლავ შეახვედრებს ხუთი წლის შემდგომ, საავადმყოფოს დერეფანში, სადაც გოგო უკურნებელი სენით დაავადებული წევს. ბიკი, გადაწყვეტს უშეცვლის გოგოს.

ვეცნობით შეფს, საავადმყოფოს მთავარ ექიმს და ბიესს მეგობარს, რომელიც ე. წ. ფარული გავლენიანი პირია. მათელ შეფის სახე ერთ-ერთი

ცენტრალური გახდება და შექმნის მეორე სიუჟეტურ ნაკადს.

მესამე სიუჟეტურ ნაკადად მოგვეცოდინება სხვა უკურნებელი სენით დაავადებული უკურნებელი ფორმების მოქანდაკისა და მისი მეუღლის ურთიერთობა, რომელიც მერე დაუკავშირდება შეფის ცხოვრებას — მოქანდაკის ცოლი შეფის საყვარელი გახდება.

ყველა სიუჟეტურ ნაკადს თავისი განსტობანი აქვს. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანია გოგოსა და მისი ყოფილი ქმრის, გერმანის ურთიერთობა, ხოლო მოვლენებს განვითარებს სახალგაზრდა ქირურგი, რომელსაც გამოიწველი აქვს მთავარი ექიმი გახდეს.

ვეფქობ, ეს მონათხრობი საქმარისა იმის წარმოსადგენად, თუ რაოდენ რთული და მრავალგანსტობიანია პიესის დრამატურგული ქსოვილი.

პიესის სიუჟეტი მთლიანად კონფლიქტურია. კულტურის გასხვავებული დონე მნიშვნელოვან გავლენას იქვეებს და გოგოს შორის. ბიკი ერთგულად ეწინააღმდეგება გოგოს ყოფილ ქმარს შეფს, მეგობარსაც კი (რომლის მეგობრობაც გაუგებარია ჩვენთვის და დახმარების სურვილიც).

გოგოს სძულს ქმარი, რომელმაც უმიზეზოდ მიატოვა. მარტოობის განცდა გოგოს აუცხელია ბარესამყაროსთან. მისდამი უნაგარო ზრახვევითი შეპყრობილ ბიქს იგი ბოლომდე ვერ მიეღობდა, რადგან მის საქციელს სახელს ვერ არქმევს.

გოგოს ქმარს, გერმანს (ერთადერთი სახელოანი გმირი) ადამიანის სახე დაუკარგავს. იგი მთლიანად შთაუნთქავს ქაოსს, შინაგანად ყველაფერს და ყველაფერთან კონფლიქტშია.

მეგობრის უაღრესი ცინიზმი, გამჭირაბობა და მოხერხებულობა, შეერთებული გარეულ ბრწყინვალეობა და მოჩვენებითი კმაყოფილებასთან კონტრასტულ ქმნის მისსავე შინაგან პრაქტიკულად, იგი პირველყოფლისა თავის თავთან არის გაუცხოებული.

კონფლიქტში იმყოფება თავის თავთანაც და გარემოსამყაროსთანაც შეფი ადამიანი, რომელმაც თვითონ შექმნა თავისი თავი. უნიკალური სტეცილისტი და მექრთამე, მოაზროვნე და კონფორმისტი, რომანტიკოსი და „ხუხუხილი გონების“ ადამიანი. ბუნებრივია, რომ ასეთი შინაგანი განხეთქილება მას ჩიხში მოაქცევს.

ახალგაზრდა ქირურგის უელდურესი კარიერიზმი, უკვე თავისთავად გულისხმობს კონფლიქტს გარემოსამყაროსთან.

უკურნებელი სენით შეპყრობილი მცირე ფორმების მოქანდაკე, არანაკლებ უკურნებელი მორალური სენითაა შეპყრობილი — დაუკმაყოფილებელი პატომაყუყარეობით. სახელი არა აქვს მის კონფლიქტსაც ცოდნად — ისიც მთლიანად გარესამყაროსთან კონფლიქტია.

ასევე უსახელოა ცოლის კონფლიქტიც სინამდვილის მიმართ. ესაა სიმარტოვის, სიბეჩავის, სიბერის წინაშე შიში, რომელიც თავის თავად იშვა ამ ადამიანში, კონკრეტული სოციალური და მორალური წინამდებრების გარეშე.

და მთელი ამ კონფლიქტების ფონზე (სადაც ერთ ბედნიერ ადამიანსაც კი ვერ იპოვით) ბიესის სურვილი, იხსნას გაქირვებაში მყოფი გოგო, იმ ძალად გვევლინება, რომლის წინაშე ყველაფერი უკან დაიხვეს — კარიერიზმიც, კომპრომიზიც, ობივტულობაც, პრაქტიკიო-





ნობს. განსაკუთრებით ენერგიულად, გამოხსნავდა წარმადგენს იგი სცენებს გოგოსთან ცუბზე, შეხვედრები საავადმყოფოში, ხოლო თორბა პეპლებს თაობაზე განსაკუთრებული აქტივობით რწმენით, აღზარდებით. საინტერესოა ვაჟის სცენები გერმანიაში, სადაც მსახიობი მოქმედების სხვადასხვა პლანია ერთ კონსიდაციას აღწევს. ეს ხაზგამსმით უნდა აღვნიშნოთ, რადგან ჩემი აზრით, სწორედ მრავალპლანოვანი სცენებში ავლენს ახალგაზრდა მსახიობი ვ. ხარიტუჩიანი თავის შემოქმედებით პოტენციალს. შედარებით უფერულია იგი სწორხაზოვანი სქემების დროს. ფიქრობს, მომავალში რეჟისორებმა ეს უნდა გაითვალისწინონ.

გოგოს როლი დამაჯერებლად, ხილრმითა და ექსპრესიულიანობითა წარმოსახული მსახიობი ლ. კარლოვას მიერ. როლის ერთპლანოვანობის მიუხედავად მსახიობი პოლუბნის ისეთ გამოხატულ საშუალებებს, რაც მის გმირს მოუვლას და სიღრმეს ანიჭებს. იგი ერთნაირი სიმღერით ატარებს თითქმის ყველა სცენას. გამოხატვის, ჩემი აზრით, წარმადგენს მხოლოდ ზოგიერთი სცენა ქმართან, სადაც გოგოს „პასიონობა“ ზომიერ ოდნე მტკია. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ლ. კარლოვას გაღმეობი ემოციურობა. სცენა, სადაც იგი თხოვს ვაჟს ეცდეს იგი სასიყვარულო აუთოს, ვეთანხმებოდა ქვის სცენა მეორე აქტში, ფინალური სცენა, მაყურებელზე ემოციურ ზეგავლენას ახდენს.

უდალად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა რ. ლიტვინოვის გერმანის სახე სპექტაკლში. ამ სახის ჩვეულებრივობის (ოდნავ ტრივიალობისაც კი) მიუხედავად, მსახიობი შთაგონებით, უფრო ფერებით, ღრმად წარმოსახვას ამ გმირს. გმირის ერთპლანოვანობა მას გმირის ლიტერატურულად უწყევია. განსაკუთრებით გააზრებულად, იმპროვიზაციული მრავალფეროვნებით მოქმედებს მსახიობი ბინის სცენაში, როცა მას ვაჟი ესტუმრება. დრამატურგმა „სამოთხის ვაშლები“ მთავრი თემაც მას დაუკავშირა (გერმანს ამ სახელწოდების მურაბა მიაქვს თავის ყოფილ ცოლთან) და მთელი ბიუსის შინაგანი ლოკალითა ნაკარანხევი. თითქოსდა რაღაც ახლის ცოდნით შერყვნილ გერმანს, გოგოს შერყვნილ ქვეცნობებით სურვილი ამოძრავებს.

მეგობრის როლს ა. შალოლაშვილი ასრულებს. იგი ტიპიური კულისებისმილა ამა პიკეტაგის ძლიერია წარმომადგენელი. ახოვანება, გამომსახველი ვაჟგონება, ხმა, სცენური ელემენტურობა, შერწყმული ყოლისმომცველ სარკაზმთან, ერთსადაიმეოვს დროს ჩვენში სიმპათიასაც და უნდა აღვნიშნავ დამდებს. ხოლო მისი ძლიერპასიონობა იწყებს პროტესტს და თავისი ცემასაც მისი ძალის წინაშე. მსახიობი დამაჯერებლად ათავსებს ამ უკიდურეს პოლუსებს. ა. შალოლაშვილის გმირი მთელი სპექტაკლის მანძილზე არ იცვლება და ეს ფუნქციურად სასებით გამართლებულია.

დამაჯერებლად, რელიეფურად წარმოსახა შეფი ბ. კაზინცემა. მისი შესრულება ხასიათდება მრავალპლანოვანობით, სიღრმით, უშუალოებითა და დამაჯერებლობით. ამავე დროს ეს ყველაზე დინამიკური როლია. მსახიობი გამოხატულად გადმოცემს გმირის მრავალფეროვან სულიერ ცხოვრებას. თავდაპირველობა, აუქტივობა, რთობა, ბრძობა, კაზინციე ავალიბებს ამ სახეს, ამხელს მის მაღალ პროფესიონა-

ლისმს. შეფიცი უკიდურესი მორალური პოლუსების შემცველი გმირია. ამ პოლუსების ურთიერთმიჯნობის მსახიობი გადმოსცემს ძალიან მრავალფეროვნებას. ამიტომაც ძნელია განვყოფოთ რომელიმე სცენა. თუმცე ფინალური სცენა, როცა შეფი გადწყვეტს გოგოს ოპტირებას, ლგიკურად ერთად ძალზედ ეფექტურია და მაყურებლის ერთსელოვან ტანს იწყვეს.

შედარებით სწორხაზოვანი, ერთპლანოვანია ახალგაზრდა ქირურგის სახე. შესაძლებელია ამიტომაც მსახიობმა ლ. გავრლოვმა ერთგვარად გააზრდა იგი და მხოლოდ ის თვისებები გამოკვთა, რაც ამ გმირს უარყოფითად ახასიათებს. ყურადღებას იპყრობს ახალგაზრდა ქირურგის სცენა მეგობართან, სადაც იგი გადის რეპეტციას თუ როგორ უნდა მიახლოს შევს საბუთა ჩანაწერის მტერი ხარო.

ძალზე საყურადღებო, შთამბეჭდვითა ვ. გრუზციის მიერ შექმნილი სახე — მიტერ ფორმების ქირურგიც. მსახიობი ავლენს მკვეთრი გარდასახვის უნარს, როლში ჩაღრმავებისა და მისი ინტონაციური მრავალფეროვნებით გადმოცემის შესაძლებლობას. იგი ერთნაირი ძალიან ატარებს ყველა სცენას. და თუმცე სულუბტორის სახე ნაკლებ განვითარებულა, მსახიობი ისეთ გამოხატულებას აღწევს, რომ უაღრესად დასამახორბებელ გმირად იქცევა.

შედარებით უფერულია სულუბტორის ცოლის სახე (რაშუბ დამნაშავე პირველიყოლისა ჯერ ავტორია, შემდეგ კი სპექტაკლის რეჟისორია). ფიქრობს, ავტორიაც და რეჟისორიც ამ პერსონაჟის ფუნქციის პოვნით დაეკვირვებოდნენ და უღალატეს იმ სიმოწონისში პრინციპს, რაც ახასიათებს მთელ სპექტაკლს. ეს აზრი განამტკიცა მოქანდაკის ცოლისა და შევის სცენამ კაბინეტიში, სადაც მსახიობი ვ. გრუზორიანი გამომსახველად, ღრმად გადმოსცემს პერსონაჟის ცხოვრებას ამ ეპიზოდს.

საინტერესოა ლ. პირანის, ვ. სიმტორვის, ვ. ზახაროვის, ე. სმირანინას და სხვა მონაწილეთა მსახიობობა მიერ შექმნილი სახეები.

სპექტაკლის მხატვრის ლ. მანტიბის ნაშუქვარი თუმცე დამამყოფილებულია, მაგრამ არ გამოირჩევა სიღრმითა და გამოხატულებლობით. თქმა არ უნდა, მხატვრის წინაშე ურთულობის სცენური ამოცანები იდგა, მას უნდა შეერწყვა გამოსახვა ისეთი კომპონენტები, როგორცაა სცენური პირობითობა, ფრაგმენტულობა, ემბრიონული კონკრეტულობა და სცენური მეტაფორა. ზოგიერთ სცენაში (განსაკუთრებით საავადმყოფოს სცენებში და გერმანის ოთახში) ეს პრობლემა მხატვარმა დასძლია. სხვა სცენებში კი იგი, ჩემი აზრით, ილუსტრაციულია.

ახევე დამამყოფილებულია, მაგრამ არ გამოირჩევა ორიგინალიობით რ. გევენიანის მუსიკალური ვაგორებმა.

და ყოველივე აღნიშნული ნაკლის მიუხედავად, გრიბოედოვის თეატრის „სამოთხის ვაშლების“ წარმოდგენაზე გატარებული ორი საათი, ქეშმარიტ თეატრალური სიხარულს განგვაცდევინებს. ავტორის გაბედულება და ენერჯია, სპექტაკლის ჩანაფიქრის სიღრმე, აქტიურული გამომსახველობა და, რაც მთავარია, მოქალაქეობრივი პირდაპირობა და სწორფული, შეერთებული მრავალფეროვან თეატრალური ინტონაციებთან, სპექტაკლს მნიშვნელოვან ატრალურ მოვლუნად აქცევს.



# სიზარტლისა და ადამიანურების დაგვიდრკვევისათვის

სოჭში კართულმა დრამატულმა თეატრმა ახალი სეზონის პირველ პრემიერად მაყურებელს უჩვენა დრამატურგ გიორგი ხუბაშვილის ორმოქმედებანი დრამა „დაუკარით გიტარები“ სიყვარულზე“.

ვიღრე სექტაკლის ავ-კარგზე ვიტყოდეთ, რაიმეს ორიოდ სიტყვით ხაზი უნდა გაეხვას პიესის ავტორის ნაშვილ შემოქმედებით შეგობრობას სოხუმის თეატრთან. სექტაკლის მომზადების პერიოდშიც არ შეუწყვეტია დრამატურგს თეატრთან მჭიდრო შემოქმედებითი კონტაქტები. ეს სასიამოვნო ფაქტია და თეატრის ახალი სამხატვრო ხელმძღვანელობის სასარგებლოდაც ღაპარაკობს.

გიორგი ხუბაშვილის პიესა „დაუკარით გიტარები“ სიყვარულზე“ ახალგაზრდული პიესაა მასში აისახა თანამედროვე ახალგაზრდა ადამიანის სულიერი სიწინიდე, მისი ღრმა და რთული ფსიქოლოგია, მისწრაფებანი, მიზნები და ოცნებები. პიესას წითელ ზოლად გასდევს მეორე ლეიტმოტივი: არ შეიძლება დღეს, როცა მთელი ჩვენი რესპუბლიკა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით უკომპრომისო ბრძოლას აწარმოებს ახლო წაასულის მანკიერი მოვლენების აღმოსაფხვრელად, ჩვენს ყოფაში სამართლიანობის, კანონიერებისა და ადამიანურობის დასამკვიდრებლად, გულგრილად გადავტოვებინებთ, ინერტული პოზიცია გვიკაროს, მით უფრო ახალგაზრდას, მომავალი ცხოვრების ბატონ-პატრონს...

სოხუმელთა სექტაკლი „დაუკარით გიტარები“ სიყვარულზე“ ორი რეჟისორის შემოქმედებითი გარჯის შედეგია. სექტაკლი განახორციელეს თეატრის მთავარმა რეჟისორმა დავით ციკლარიშვილმა და აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გიორგი სულიკაშვილმა.

უპირველესად უნდა აღვნიშნო, რომ სექტაკლის გაზარება სწორი და მიზანმიმართულია. დამდგმლები ჩაწადნენ დრამატურგის ჩანაფიქრს, რეჟისორები ერთი შეხედვით, ჩვეულებრივად, ყოფილი დეტალების ფონზე ქმნიან ნაშვილად ახალგაზრდულ, ზეაწეულ და, არ იქმნება გადაქარბებულ თუ ვიტყვი, პოეტურ სიტუაციებს. თუმცა, აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ალაგ-ალგ ზომავზე მეტად თვალშისაცემია სექტაკლის მიზანსცემების ეს სტილისტური განსხვავებულობა, ყოფითისა და „ზეაწეულის“ კონტრასტი. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ეს კონტრასტი ზაანს არ აყენებს სექტაკლის საერთო იდეურ მიმართულებას და ჩვენთვის ნათელია რეჟისორული ჩანაფიქრის იდეურ-ემოციური კონცეფცია, მაგრამ, ფაქ-



თ. მილდინი — ხათუნა  
ნ. ბექაური — დათო

რობთ, ამით დაზარალდა სექტაკლის კომპოზიციისა და სტილის მთლიანობა.

სექტაკლი სვამს ახალგაზრდა ადამიანის, მისი სოციალურ-ეთიკური რაობის პრობლემას. ჩვენს ეპოქაში მცხოვრები ახალგაზრდა ადამიანის ფსიქოლოგია, მისი მოთხოვნებები, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ზღაბრული განვითარების ექვივალენტურად იზრდება და ღრმავდება. ასეთ ვითარებაში პიესისა და სექტაკლის ავტორები უფროსი თაობისაგან მოითხოვენ ახალგაზრდობისადმი დაფიქრებულ გულთბილ მიდგომას, მათი ინტერესების, მისწრაფებებისა და მიზნების გაგებას, თანადგომასა და ხელშეწყობას.

სექტაკლის ავტორები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ სცენაზე დომინანტობდეს მკაცრი ცხოვრებისეული სიმატილი. სიმატილი რაოდენ მწარეც არ უნდა იყოს, მის წინაშე თვალი არ უნდა დავსუქოთ, საინტელექს არ უნდა შევუშინოთ. მიუხედავად სირთულისა, თანამედროვე ადამიანის ცხოვრება ღამაზა და საინტერესო...

სექტაკლში ბევრი ჩინებულად მიგნებელი მიზანსცენაა, სადაც მსახიობები სრულად ავლენენ თავიანთ აქტიურულ შესაძლებლობებს. დრამატურგიული მასალის მთელი სიღრმისაგანსით დამდგმლებმა შესძლეს სექტაკლის ექსპოზიციონარულად დაეძაბათ მაყურებლის ყურადღება, დაემუხტათ ფსიქოლოგიური ატმოსფერო. მათ ნაშვილად შემოქმედებითად უშეშვანით მსახიობებთან. ამის ლოგიკური შედეგი გახლავთ ის, რომ სექტაკლში ბევრი საინტერესო სცენური სახეა.



# რუსთავის თეატრის ორი სპექტაკლი

## „რევიზორი“

ახალგაზრდების როლებს ასრულებენ: ნ. ბეკაური, ვ. არღლიანი (დათო), ნ. ყურაშვილი (კობა), მას სპექტაკლში წამყვანის ფრიალ სპასხუხისმგებლო მისიაც აკირია, ნ. წერეთლიანი (ზაზა), თ. ელერდაშვილი (ლევანი), ვ. შონია (მერაბი), ლ. პაპუაშვილი (ნანა), მ. ქარჩავა (მზია), ლ. მიქაშვიდი (ირინე), თ. მილდანი (სათუნა).

თითოეული ახალგაზრდა მსახიობი აქტიორული კეთილსინდისიერებით ასრულებს თავის როლს, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ახალგაზრდებს შორის მაინც გამოირჩევა ნოდარ ბეკაური.

მსახიობი სცენაზე დათოს ცხოვრებით ცხოვრობს. იგი დიდი შინაგანი ენერჯის ხარჯვით აღწევს დამაჯერებლობას, და, ამავ დროს, ავლენს დაუმრეტელ არტისტულ ტემპერამენტს, ბოლოქარი სულიერი მღელვარების მთელ გამას. გავისხენით ნ. ბეკაური — დათო თავისი სატრფოს მამასთან — პროკურორ კოტე გაბუნისთან პირისპირ შეხვედრისას. მამის უნებლოე დანაშაულს ის თითქოს უნდა მოეტყვა, მაგრამ მაინც არ კარგავს პიროვნულ ღირსებას, დემონსტრაციულად ტოვებს გაბუნების ბინას. რაოდენ ლაკონური, ზუსტი და დამაჯერებელია ამ მანუსცენაში მსახიობი. ჩემი ზრით, დათოს როლი ერთ-ერთ საუკეთესო შემოქმედებით სახელ დარჩება ნ. ბეკაურის მსახიობურ ბიოგრაფიაში.

შესანიშნავად პარტნიორობს ნ. ბეკაურს ახალგაზრდა მსახიობი თამარკო მილდანი. მისი სათუნა უშუალოდ, შინაგანად დეკამპული, სულიერად ფაქიზი, მუდამ მართალი და მართილმარად, თ. მილდანი შემოქმედებით დაოსტატების გზაზე დგას. ამიტომ ჩვენი გულწრფელი რჩევა ექნება, მსახიობმა მომავალში იზრუნოს პლასტიკის დახვეწაზე.

სპექტაკლში აქტიორული შესრულების მხრივ მკაფიოდ გამოიძიწა ხუთი სახე: გრიშა (გორგო რატიანი), კოტე (სერგო პაქორია), პავლე (მიხეილ ჩუბინიძე), მაკა (თინათინ ბოლქვაძე), თამარი (თინათინ ბაბლიძე).

ირაკლისა და დეკანის როლები არ არის დიდი, მაგრამ ბოროს თოფურით და ნოდარ ქარსანიძე ამ პატარა როლებითაც ამასოვრდება მაყურებელს.

თავისებურად, თავიანთი ინდივიდუალური აქტიორული თვისებებით ანსახიერებენ დათოს და პავლეს როლებს მსახიობები ვალერი არღლიანი და ნოდარ მახსულია.

აღნიშვნის ღირსია აგრეთვე ევგენი კოტლიაოროვის გემოვნებით შესრულებული მხატვრული გაფორმება.

წარმოდგენა მუსიკალურად გააფორმა დავით ტურიაშვილმა. გამოყენებულია კრიშტოვ პენდერცის მუსიკა. აგრეთვე მუსიკა დავით მაღალაშვილის, ზაზა მიმინაშვილის, ალექსანდრე ჩაკაილის, იგორ ცხოვრებაშვილის, სერგო ჩქიძის, გია ცაცავილისა და ვალიკო დაფქიაშვილის შესრულებით.

„დაუპარიტ გიტარები სიყვარულზე“ სასარგებლო სპექტაკლია, ვინაიდან აქ იგრძნობა ჩვენი ახალგაზრდობის, თანამედროვეების სუნთქვა, რაც ასე აუცილებელია ნებისმიერი თეატრისათვის, ჩვენი საზოგადოებისთვის.

თამაშის დროზე საუკუდურზე — „რევიზორში“ ერთი დადებითი გმირი არა გვყავსო, გოგოლი პასუხობდა — პიესაში არის დადებითი გმირი — სიცილიო!

გოგოლის ეს დადებითი გმირი ისევე სცენაზეა...

რუსთავის სახელმწიფო თეატრში ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ანზორ ქუთათელაძემ დადა გოგოლის „რევიზორი“.

იცინის გოგოლის გმირი და მასთან ერთად იცინის მაყურებელიც. მართალია, უკანასკნელ სურათში, როდესაც ვაშქარბული გოროდნიჩო მაყურებელს მიმართავს — „რა გაცივებთ? თქვენს თავს დასცინით! ვაჰ, თქვენს თავს.“ — დარბაზში უკვე ზოგიერთი გაულიმებლად შესცქერის გოროდნიჩს, თითქოს მასთან ერთად თავდაც გრძნობდეს თავს გაწყვილიად, და ერთდევარად უხერხულადაც კი იშშუშუნებოდეს, თითქოს თავის თავშიც აღმოჩინოს გოროდნიჩის მის ნიშნები და ახლა დარცხენილი არიდემის თავას შეუძლებლად მჭადოს.

თითქოს ახლად ჩაფიქრებოდეს, გვერდიდან შეხედლოს თავისი გამხიარულებული პორტრეტისათვის და ხაკუთარ არსებაზე ჩასაფრებულს, თავისი არსებობის გადასინჯვა წამოეწყოს — ხომ არ შემოპარვია პატარა, სულ პატარა გოროდნიჩი? ხომ არ წაუსწრია ხაკუთარ თავში მისი სიბრძენისათვის, მისი თავხედობისათვის (სხვების ხარჯზე ისე იცხოვროს სინდისმა არ შეაწუხოს), მისი უზამსობისათვის (ყველაფრის უიდეა ფულით უნდა). მისი გაუმამდრობისათვის (ის არ ჰყოფნის, რისი ღირსიც არის), თავდაც ხომ არ არის პრეტენზიული, უშეცარი და სხვა და სხვა, და ნირწამდარს თითქოს ბაგეტე შექცინია სიცილი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გოროდნიჩის ტრადიციული გაგებისაგან განსხვავებით მსახიობი თ. სეთურითე გვთავაზობს ძალიან საინტერესო და ახლებურ გადაწყვეტას. მისი გოროდნიჩი

სცენა სპექტაკლიდან  
„რევოლუციონერი“.



მიწაზე ძალიან მყარად მდგომი, გამოცდილი საქმისანი, რომელიც, რომ გაგორდეს, იქით შეაშინებს რევოლუციონერს. მაგრამ თუ მაინც ტყუულებდა, აქ ხელსტაკოვი არაფერ შუაშია.

რატომ აირჩია რეჟისორმა „ბაბთიანი გოგონას“, „ჭარისკაცის ქვრივის“, „ყარამან ყანთელაძის“, „მოსამართლის“, „რას იტყვის ხალხის“ შემდეგ დაიდგა ეს მკვეთრად სატირული კომედია, სადაც ადამიანისა და ადამიანობის მისეული სამყაროს სრულიად განსხვავებული გმირები ცხოვრობენ? — ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ რეჟისორის შემოქმედებაში დადგა პერიოდი, როდესაც შემოქმედი გადააბიჯებს თავისი აღრინდელი გმირების თვალსაწიერს და ცხოვრებაში ეძებს პასუხს იმ კითხვებზე, რომელსაც თანადროულთა, ყოველდღიურთა, საზოგადოება სვამს შემოქმედის წინაშე.


რეჟისორი მივიდა დრამატურგთან! — თეატრალური ხელოვნების ეს უმნიშვნელოვანესი აქტი ამ შემთხვევაში პირდაპირი მნიშვნელობით შეგვიძლია გავიგოთ, რადგან დრამატურგია გამოყენებულია არა საშუალებად, არამედ ძირითად წყაროდ და საყრდენად დამდგმელის ჩანაფიქრისა. რეჟისორი მოკრძალებით ეპყრობა ავტორის თითოეულ სიტყვას, თითოეულ აზრს. წარმოდგენაში ქეშპირიტი სატირული სიმსუკით იკითხება დამდგმელის მიერ შემოთავაზებული პრობლემა, ყოველი მტკივნეული ნიუანსი, ყოველი კითხვა და ყოველი პასუხი. თუმცა „მოპასუხე“ რეჟისორი აშკარად, თვალში საცემად არ დგას გაჭაგრებული, გულმოსული კაცის პოზიციაზე. იგი თითქოს სიკეთით აღსავსე, დაღვთისსამედი ნდობით გამსჭვალული წარმოგვიდგენს ამ ადამიანებს და მათდამი მთელ მის დამოკიდებულებაში ვგრძნობთ —

ვინ იცის, იქნება ესენი უფრო მსხვერპლნი არიან!..

იქნებ მართლა უნდა გვებრალებოდეს ისინი მათი უბადრუკობის გამო? მათმა შემყურემ როგორ შეიძლება ირწმუნო, რომ ოცნება, ადამიანების ეს საუკეთესო მომავალი ადამიანის გონების ნაყოფია? მათი ოცნება ხომ სიმამლრეს — ქონებით, ფულით, მდგომარეობით, ჩაცმით, სიმამლრეს ვერ გასცილებია!

წარმოდგენა პროვინციული ქალაქის ხმაურით იწყება. დილაა. სადაც მამალმა იყვილა. იქით ძაღლი ყეფს. ვიღაცა ნაადრევ ქვიფს შედგომია. ან იქნება სულაც ლოთობაში გაათენა და ახლა არღნის მანგებით ეგებება დილას. ყველაზე გამორჩეულად ბაყაყების ყიყინი ისმის — ეტყობა გვარაიანად ჩამალა გარემო, თუ ასე მომრავლებულან მისი ბინადარნი! წრე ბრუნავს, ადამიანები აფუსფუსდნენ, სადაც მიიჩქარიან, მბუტუტავი შუქ-ფარები, გამოცარიელებული, უღიზამოდ ჩამუქებულ-ჩანწილებული დუქნები. აი, გაირბინა ერთმა, მეორემ, მესამემ... და დარბაზში პირველმა სიცილომა იფეთქა. თითქოს არავის არაფერი გაუკეთებია — უბრალოდ გაირბინა უცნობმა მამაკაცმა, მაგრამ როგორ გაირბინა?! — ეს ხლოპოვია. შოთა სხირტაძის ხლოპოვი ცოტა დაფეთებულა, ცოტა შეწუხებულა, ცოტა გაბუტულა. მსახიობის საოცრად მდიდარი, მტკუელი პლასტიკური ნახაზი აქვს მონახული თავისი გმირის დასახსიათებლად. მეტე როგორი ჩაბუტუტუნებულა, როგორი შესაბრაღისი!

„ბატონებო, თქვენ იმსათვის მოგიწვიეთ, რომ გაუწყოთ მეტისმეტად არასასიამოვნო ამბავი: ჩვენთან რევოლუციონერი ჩამოდის“, არავითარი ეფექტი. ბატონები მაინც და მაინც არ შეწუხებულან. ასე დადიან რევოლუციონერი!.. არტემ



ფილოზოფიმა მიიწი კითხვა — „როგორ თუ რევიზორი?“ — იგი არ ღელავს, არც შეშინებულია, მაგრამ თითქოს ინსტიქტით გრძნობს რაღაც უსიამოვნოს, რომელიც მის ქვაყოფილებას ემუქრება. ამას მშვენივრად ავლენენ მისი ხელები — ნერვიული, მსუქანი თითებით ერთმანეთს რომ ჩახვილებია. არცმ ფილოზოფიკი, თითქოს ტუქსავს კიდევ, როცა ეუბნება: თქვენ რომ არა, აბა, მე რისი ჩამდენი ვიქნებოდაო!... მაგრამ აი, თითქოს ყველაფერი ისევ გაიქცა, გოროდნიჩმა მათ სამოქმედო გეგმა უპარანახა და არცმ ფილოზოფიის ხელებიც ნერვიულად აღარ ტოკავენ, სული მოითქვენ, ციკრია და საჩვენებელი თითის ფრჩხილით ერთმანეთთან თამაში დაიჭერს, ნებეირად გაიშალნენ, ფინიასავით დახტიან აქეთ-იქით. არცმ ფილოზოფიი ნეტარებას შეუპყრია. იგი ხომ სანახაროდ არაფერს გამოხატავს — თუ ვინა, თითქოს ყველას მაგივრად არის დაშინებული. ყველას მაგივრად წუხს. რევიზორმა ზუსტად მიაგნო ავტორისეული ჩანაფიქრის გასაღებს, რადგან თავის დროზე, ეტყობა, ავტორმაც ვერაფერი მოუხერხა თავის გმირებს — ვერ ააღწვდა, ვერ დააშინა რევიზორის ჩამოსვლით. ამიტომ მიმართა, აღმათ ეფექტის გასაძლიერებლად, დამატებით ხერხს — რევიზორი ინკოგნიტოდ ჩამოდიხ. ამან ჩვენი სცენური გმირებიც დაინტერესა და შუაფიქრიანა — ახალი გზის და საშუალებების ძიება დასჭირდებოთ იმის გასაკეთებლად, რაც მანამდე ასჭერ და ასასჭერ გაუკეთებიათ. დასაწყისი ასეთი გადაწყვეტილი დამდგმელმა ჭკუელმა თითქოს წინასწარ მოამზადა ფინალი, როცა უკვე ჩინოვნიკი (გ. ჭყონია) ნამდვილი რევიზორის ჩამოსვლას აუწყებს მათ, წესისა და რიგის მიხედვით დაწყობილი, ჩვენი გმირები საჯიმო მსვლელობით გაუღებოიან გზას რევიზორისაკენ — რევიზორი — რევიზორია! — მოვა, ნახავს. აიღებს და წავა!

გოგოლის კეთილშობილი გმირის ნადვლიან ღიწმულში შეწუხებული მაყურებელი ფიქრობს: ნუთუ არასოდეს არ დასრულდება ეს? ნუთუ არასოდეს მოვლბა ბოლო? როდემდე უნდა იარაღ მათ რევიზორიან რევიზორიანდე?!

რევისორი და მხატვარი (ა. ჭელიძე) მშვენივრად ახერხებენ შექმნან დახვეწილი, სიფაქიერთა და გემოვნებით გამოჩრჩეული სცენური გარწო, რომლითაც აშკარად მიგაინიშნებენ წარმოსადგენი გმირების დაუოკებელ სწრაფავს ფუფუნებისა და მოჩვენებითობისკენ.

მოჩვენებითობა ყველაფერში — მოჩვენებითი სიყვარული მოყვანისა, მოჩვენებითი სტუმართ. მოყვარობა (ია და ვარდს უფენენ ხლესტაკოს), მოჩვენებითი ფუფუნება — გავიხსენოთ სურათი, როდესაც ზარ-ზეიმით ჩაატარებენ წუ-

თის წინ გამოცარიელებულ და ახლა გასაყიდად გამოფენილი საქონლით გამოტენილი დუქნებში წინი. მოჩვენებითი ზრუნვა მოქალაქეებს, რომელთაც სინამდვილეში სულს ხლიან, გავიხსენოთ სურათი, როდესაც ხლესტაკოვთან, ახლად მოვლენ მესისოსთან (აქაც მოჩვენებითი იმედო!) შემოცივიდება მოქალაქთა შვსა და ხარკვართან ერთად ცდლობენ ხელში შეაჩერონ ძველიც — თითქოს სული ერთი არ იყოს გოროდნიჩს მთარმთვეენ მოკლებულ ლუკმას თუ ხლესტაკოვს. გავიხსენოთ უნეტაროფიცრის ქვანა (მ. მარაბული), რომელიც თავგადადებული ცდილობს საკუთარი სხეულის დადებას ხელსაყრელ გირაოზე... და ბოლოს კიდევ ერთი მოჩვენებითობა — ამუამად რევისორი გათამაშებს პოეტურ, მიწანდასახულ დეტალს — გავიხსენოთ ყვავილწნულებით მორთული საქანელა, სადაც თამაშდება დედა-შვილის რესპ. დამს. არტისტი ლ. შოთაძე და მსახ. ე. გუდიაშვილი), სასიყვარულო სცენა ხლესტაკოვთან, სადაც ნეტარ ოცნებას ეძლევიან გოროდნიჩი და ანა ანდრეევსა. ამ საქანელასავით პაერსი გამოვიდებული რჩება მათი იმედოც, მათი მოლოდინიც, მათი ოცნებაც... იცინის გოგოლის გმირი და ამ სიცილეში თითქოს ჩვენ ვკითხულობთ — მაღლობა ღმერთს, რომ ეს ასეა, თორემ რას დეემგვანებოდა ეს ქვეყანა ყველა გოროდნიჩს და ყველა ანა ანდრეევნას რომ ასრულებოდა ოცნებას..

რუსთავის თეატრის ხლესტაკოვი არ არის პეტრბურგელი გაიძვერა, გაქნილი ჩინოვნიკი, ანდა გამოხუნებული, ხელმოცარული ახალგაზრდა, რომელიც მიწანდასახულად ატყუებს ადამიანებს. გოგოლის ეს უბერებელი, ჭიბეცარიელი, კულაბზოცა პერსონაჟი იარაღია დრამატურგის ხელში, რომლითაც ისვრის და რომლის საშუალებითაც აშკარად წარმოაჩენს მის გარშემო მოფუსფუსე ადამიანების სრულ სურათს.

თეატრს ხლესტაკოვის ორი შემსრულებელი ჰყავს — ახალგაზრდა მსახიობი ბ. ცაკაბაძე და დებოტუნტი, თეატრალური ინსტიტუტის დიპლომანტი ვ. მინდიაშვილი.

თეატრმა ხლესტაკოვის ძალიან საინტერესო და ორიგინალური გადაწყვეტა შესთავაზა მაყურებელს. ხლესტაკოვს რომ ცოცა მეთი ჭყუაქონდეს, ავანტურისტი იქნებოდა და პატავმოყვარე რომ იყოს, გაჯაგრებული ახალგაზრდა...

ამვე დროს ბ. ცაკაბაძის და მ. მინდიაშვილის გმირი ძალიან ახლოს დავს ჩვეულებრივ, თანამედროვე ახალგაზრდასთან, რომელიც შესანიშნავად ირგებს იმ სიციტეს, რასაც შემოხვევა სთავაზობს, და ფიქრდაც არ გაივლებს შექა-

თხვას — რატომ? — ფიქრი საერთოდ ეწარება მართალია, ზოგჯერ დაშინებული ადამიანები შეიძლება გაასულელოს, მაგრამ ბოროტებით კი არა, უბრალოდ მომენტის ხელიდან გაშვების ინსტიტუტური უნარი აქვს. ბ. ცაქაბაძის და ვ. მინდიაშვილის ხელისტაკოვს, ცინიზმთან ერთად, მგრძნობიარე გული, იქნებ პატარა სევდაც აქვთ... გაიხსენათ ის სურათი, როდესაც მასთან შესული ბობინისკის (გ. ლევევა და ა. ბუვაშვილი) და დობინისკის (გ. ჩუგუაშვილი და ნ. გამყრელიძე), გამორთმეულ ქრთამს უკან უბრუნებს და ამ დროს მასში თითქოს ნაღვლიანი ფიქრებიც გაიუღვებს. ამ მექრთამეობით, გაუმაძღრობით და პატივმოყვარეობით სავსე გაერმოს ყველაზე საშინელი ნაყოფი (დობინისკი და ბობინისკი) ჩვენს თვალწინ დიდი მამხილებელი ძალი ამტუქველიდება. სიცურუსა და ფარსევლობაზე აგებულია ამ ყალბმა გარემომ რა ზომამდე შეიძლება მიიყვანოს ადამიანი!

ბ. ცაქაბაძის და ვ. მინდიაშვილის ხელისტაკოვმა ადამიანს შეიძლება მოაგონოს დაფუტურთვებულ, მოფაფაღაბებული ხის ყველაზე მაღალ ტოტზე თავმოქრონდ წამოსუსებელი ფიქრი. თუმცა სახის გადაწყვეტის საერთო ნიშნების მიუხედავად ორივე მსახიობი ახერხებს აშკარა ინდივიდუალობით აღბეჭდოს გმირის სახე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რეჟისორი ცდილობს და აღწევს კიდევ, მაქსიმალურად გამოავლინოს და გამოიყენოს ყოველი მსახიობის ინდივიდუალობა. ესეც არის ალბათ ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ სპექტაკლი მტკიცე ანსამბლურობით გამოირჩევა. მაგრამ ამ ანსამბლში არ შეიძლება არ გამოყო, როგორც ყველგან, ამ სპექტაკლშიც ლეილა შოთაძის მშვენიერი ანა ანდრეენა. ლ. შოთაძე საოცარ მომხიბლავობას ანიჭებს ამ სახეს. არ შეიძლება არ გავახსენდეს მარი ანტონოვნა (ე. გუდიაშვილი), ხლოპოვის ცოლი (რეს. დამსახ. არტისტ ე. სიხარულიძე). ლიპკინი-წიაპკინი (ლ. მიშველიძე), მისი ცოლი (ლ. ბატიაშვილი), ზემლიანია (ნ. ხიდურელი), მისი ცოლი (მ. გოდერაძიშვილი), შაკინი (ი. ბალიაშვილი, გ. ტყემელაშვილი), მისი ცოლი (ბ. ცაქაბაძე) და სხვები.

როგორც ვთქვით, სპექტაკლში არ არის გაბოროტება, გახელებული გაჭარბება. მაგრამ არის დიდი სევდა და აშკარა წუხილი იმაზე, რომ სიმძაღრესა და მოჩვენებითობისაკენ სწრაფვა გადაქცეულა ამ ადამიანების ცხოვრების მამოძრავებელ ძალად.

## ლამარა ღონდაძე

## „ცილინდრი“

რუსთაშინის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა დადგა გამოჩენილი იტალიელი დრამატურგის ედუარდო დე ფილიპოს ტრაგიკომედია „ცილინდრი“. თავიდანვე მინდა აღვნიშნო, რომ სპექტაკლის დამდგმელმა რეჟისორმა ძნელ საქმეს მოჰკიდა ხელი, რამეთუ დასახლებული პიესა საკმაოდ რთული ამოცანების წინაშე აყენებდა თეატრის კოლექტივს როგორც თემის, ასევე ამ ნაწარმოებისათვის საჭირო სცენური ოსტატობის თვალსაზრისით.

ედუარდო დე ფილიპოს დრამატურგიული, რეჟისორული და სამსახიობო მოდერნიზაცია დაკვირვებულ იყო ნეაპოლურ დიალექტურ თეატრთან. მისი ნიჭი აღორძინების პერიოდში იწერება სწორედ ტრაგიკომედია „ცილინდრი“. სხვა პიესებთან ერთად, ეს ნაწარმოებაც ითვალისწინებდა თავისი წინამორბედი კომედიების გამოცდილებას.

რა არის აღნიშნული პიესისა და სპექტაკლის მთავარი დირსება? მივევთ სპექტაკლს. ერთ ჰერქვეშ ცხოვრობს ორი წყვილი ცოლ-ქმარი: აგუსტინო, ბეტინა, როდოლფო და რიტა. გაჭირვება აძიულებს მათ მდგომარეობიდან გამოსვლის უკიდურეს საშუალებას მიმართონ: როდოლფოს მუღღე, ახალგაზრდა ლამაზი ქალი რიტა გამოშვევი საქციელით შინ ეპატიჟება ქუჩაში გამვლელ მამაკაცებს. გაბრძნებულ კლიენტს იგი წინასწარ სციცლავს ფულს, შემდეგ ფარდის უკან საწოლზე გაშობილ ქმარზე უთითებს და ცრუობს, თითქოს ქმარი მკვდარია და მისი დასამარხი ფულისათვის იძულებულია თავისი სხეულით იფაროს. ამ სურათით შემდგენილ სტუმარი, ბუნებრივია, გადახილ ფულს ტოვებს და უკანმოუხედავად გარბის, რიტა დიდიან სადამომდე ატარებს ამ მისთვის გულსიმარტვ სცენებს, რისი წყალობითაც თანდათან გროვდება ვალის გადასახდელად საჭირო თანხა. თუ რომელიმე სტუმარი მანც ვაბედავს და თავისი ფულის დაბრუნებას მოითხოვს, ამ დროს იქვე ჩასაფრებული ცილინდრის აგუსტინო მუსკარელო წაადგება თავს და შთამა. გონებლად უკითხავს ლექციას თემაზე: სიკეთის ფასი. ცილინდრი, რომელიც გულშემაფრევი უფინგლიორის წყალობით შემოგრა აგუსტინოს,



დიდ გავლენას ახდენს სტუმარზე, რაც ძალიან ხელს აძლევთ ამ ბუნების ბინადართ. მაგრამ უცებ ყველაფერი თავდაყირა დგება: რიტას გამოცხადება მოხუც ატილიო, რომელიც არ ისურვებს ანგარიში გაუწიოს რიტას „გარდაცვლილ“ მეუღლეს, იგი უხდის დიდძალ ფულს რიტას და სთავაზობს საწოლს. მოხუცი იმდენად ჭიუხი აღმოჩნდება რომ მასზე არავითარი თხოვნა არ სჭირის, იგი ნახევარ მილიონამდე ადის და საბოლოოდ ანადგურებს როგორც აგუსტინო მუსკალიეროს ცილინდრის მნიშვნელობას, ასევე რიტას ქმრის, როდოლფოს ღირსებებს.

სექტაკლში არის სცენები, რომლებიც განსაკუთრებულ ურთადლებას იმსახურებენ. მაგალითად აგუსტინოსა და ბეტინას ფულზე ჩხუბის სცენა: ყოველდღიური, არაბუნებრივი საქციელით: გაბზერებული რიტას აღფშოთება და მისი მაგიდაზე დასმარება მაგად ამ დროს სიმბოლურად გამოიყურება: მასზე ოთხი ადამიანის საქმელი უღუფა და ფული ნაწილდება. რიტა კი ამ ბუნების შემოსავლის წყაროა და მისი განებვირება მაგიდაზე დასმარება კარგად უსვავს ხაზს დანარჩენების უსტუფსობას. ურთადლებას ღირსია აგრეთვე ის სცენა, სადაც ატილიო ნახევარ მილიონს სთავაზობს რიტას და მის მეუღლეს, ამდენი ფულით გაოგნებული ბეტინა (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ია ხობუა) უმწეოდ ზის და ხარბად შესცქერის რიტას. ნეტავი შენს ალაგს ვი ვიყო, ამბობენ მისი თვალები. ცოტაც და, მოთმინებიდან გამოსული, აღვწებული ბეტინა საშინაო ხალათის იძრობს და ნახევრად გაშვლებული გაიწევს ფარდისაკენ, რომლის უკან ატილიო იმყოფება და რიტას ელოდება. ბეტინას უკან დახვევა ისეთივე სწრაფი და მოულოდნელია, როგორც ის წამიერი აფეთქება. ბეტინას გახსენდება, რომ მოხუც მილიონერს მხოლოდ რიტა სურს და ამ ფაქტით გამწარებული ქვიითინთ ემხობა სკამზე.

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ლეო ფოლფანის ატილიო თავის შესაძლებლობებში დარწმუნებული დაბერებული მამაკაცია. იგი მშვიდად მიჰყვება სურვილებს; ქონებისა და გავლენის იმედით იმდენადაც არ უწევს ანგარიშს სხვათა უმწეობას. მისთვის არ არსებობს ბარიერები; არის ფული, მამასადამე, არის ყოველგვარი სიამოვნების მიღების უფლებაც. მსახიობი განსაკუთრებით ძლიერია სცენაში, სადაც მოულოდნელად ამხელს თავის ვენებებს და ყვირის: დაახ, გიჟი ვარ, გიჟი! რაც უფრო კომიკურია მისი ადტიონება, მით უფრო ტრაგიკულია მოქმედების ფონი, რომელსაც ამ შემთხვევაში როდოლფოს და რიტას წმინდა სიყვარულის შეურაცყოფა ქმნის.

მთელი სექტაკლის მანძილზე ერთმანეთს ებრძვის ანგარიშაობა და სიწმინდე. მსახიობი გივი ჩუგუაშვილის როდოლფო თავიდანვე ვისწრულია, ვანწრულია მისი თავმოყვარეობა, ვაუკაცობა, სიყვარული; მდგომარეობამ აიძულა ცოლისათვის კახა დედაკაცის როლი თამაშებინა, მაგრამ ეს თამაში ცეცხლთან თამაში აღმოჩნდა. სოციალური სინამდვილე კვლავ თავის კლანჭებში აქცევს შეყვარებულ ცოლ-ქმარს, რომელთა ბუნებრივი სწრაფვა, — იყვნენ ბედნიერები — განუზრტყილებელ სურვილად რჩება. ამ სურვილსა და სწრაფვას სექტაკლის დამდგმელი რეჟისორი თამაშ მესხის ერთი პატარა საინტერესოდ დანახული სცენით გამოხატავს: რიტა სცივრში იხსნავს დაგროვილ ფულს, რომელსაც ყოველდღე ძილისწინ ითვლის; მას სწეიომო ვითარებაში გამოაქვს სკივრი, დგამს შუაგულ ოთახში, ახდის თავს და ფულის ნაცვლად ფაქიზად ამოაწუხოს... თითო ბავშვის პერანგებს. სცენაზე იქიმება თეკი, რომელზეც უპერანგები პატარა სხვადასხვა ფერის ბაიარდებით აფრიალდებიან. ეს რეჟისორული დეტალი გამოხატავს რიტას სულის მთავარ ძახილს — იყო ბედნიერი დედა.

მსახიობმა ნათელა მუხუღიშვილმა, ბევრი მნიშვნელოვანი როლი განსახიერა რუსთავის თეატრის სცენაზე. მსახიობი ყურადღებას იპყრობდა უშუალოდობა და კარგი სცენური გარკვნობით. მიუხედავად ამისა, ფიტირვერკებს მაინც არ ჰქონია ადვილი მის უშოქმედადობაში. ამ მხრივ, ალბათ, ყველაზე ნათელი სახე ნათელა მუხუღიშვილმა სწორედ რიტას როლით შექმნა. მსახიობს აღმოაჩნდა ის ფერები, რომლებიც შესატყვისად გააფერადეს რიტას ცხოვრებას ფურცლები. პიესაში არის საშინაოება იმისა, რომ რიტას როლის შემსრულებელმა, ძირითადად გარეგნული ეფექტითა და მელოდრამატული მონაკვეთებით დააკმაყოფილოს ზოგაერთი ბანალური მსურებლის ეგმოვნება, მაგრამ ამ შემთხვევაში მსახიობმა შესწლო დრამატისმამდე აეყვანა თავისი გმირის სულიერი და ფსიქოლოგიური განწყობილება, კალი, რომელიც მიხედება, რომ მისი ღირსებები შელახულია, ვეღარასოდეს იოცნებებს ნათელ მომავალზე. ანგარიშაობამ სძლია სიწმინდეს და რიტაც გარბის, ვარბის ამ ბუნადთან რაც შეიძლება შორს, რათა არ ჩაიხრჩოს იმ სიბინძურში, სადაც მისთვის საყვარელი ადამიანი, ნებით თუ უნებლიედ, მისი დიდი სულიერი მწუხარების მიზეზი ხდება. რიტას როლის მძალიე რანგის მსახიობმა სჭირდება. ნ. მუხუღიშვილის რიტა მსურებელს აიძულებს დაფიქრდეს და სერიოზულად იმსჯელოს სექტაკლზე. ეს კი მსახიობის გამარჯვებად მიგვაჩნია. ამ მხრივ ვერც რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვერ-



სცენა სპექტაკლიდან „ცილინდრი“.

მალ გაგნის ავსტრიო მუსკარიელის სახეს ავსვლით გვერდს. მსახიობი კარგად გრძნობს პიესის უანსს. იგი თანაბრად უთავსებს ერთმანეთს გროტესკულობასა და ფსიქოლოგიურ სიღრმეს და დახვეწილი გემოვნებით შეზავებულ სცენებს გვთავაზობს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ია ზობუას ბეტინა ერთ-ერთი საინტერესო სახეა სპექტაკლში; მსახიობი იტალიელი ქალისათვის დამახასიათებელი მოძრაობებით აცოცხლებს თავის ბეტინას; თუმცა, არც ის რჩება მზედველობიდან, რომ ბეტინას როლში მთავარი მანცა გაქნილი ქალის ხასიათია.

დასამახსოვრებელ სახეებს ქმნიან მსახიობები ამირან შარმანაშვილი (მიქელი), სპარტაკ კიკნაძე (რობერტო) და ნუკრი გამყრელიძე (არტურო). მსახიობი ალეკო გაბუნია მხოლოდ ერთ პატარა სცენაშია დაკავებული, მაგრამ მისი ანტონიო საკმაოდ გააზრებული და ტიპური სახეა, რაც მსახიობის ნიჭიერებაზე მიტყვევებს. ძალიან ხშირად კარგი პიესა უამრავ ღირსებას კარგავს ცუდი თარგმანის გამო. ამჭერად საქმე გვაქვს ედუარდო დე ფილიოს ტრაგიკომედიის ქართულ ენაზე სრულყოფილი, დახვეწილი თარგმანის ფაქტთან, — პიესა პოეტმა ტარიელ ჭანტურიაშ თარგმნა.


ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება მასობრივ სცენებს. ამ სპექტაკლში დაკავებული მსახიობები, რომლებსაც უსიტყვო რო-

ლები აქვთ დაკისრებული, დიდი მონდობით ეკიდებიან საქმეს, მაგრამ იმის გამო, რომ ზოგიერთი მთავანი ზედმეტად ცდილობს გაისარჯოს სცენაზე, წარმოდგენაში იაფფასიანი დეტალები იჭრებიან, რაც ხარვეზად ჩანს ამ საკმაოდ საინტერესო სპექტაკლის სამყაროში.

სპექტაკლის წარმატებას ხელს უწყობს მხატვარ გურამ მღვრიშვილის სადა, მაგრამ გამომსახველი მხატვრული გაფორმება; ლია წყელაძის მიერ შერჩეული ნეაპოლური სიმღერის მელოდია მთელ სპექტაკლს ლეიტმოტივად გასდევს, კარგად ეხამება მოქმედ გმირთა სულიერ განწყობილებას.

სპექტაკლი „ცილინდრი“ ხელოვნების დასახურებული მოღვაწის თამაზ მესხისათვის რუსთავის თეატრში უკვე მესამე დამოუკიდებელი ნამუშევარია. უფრო ადრე მან შემოგვთავაზა რომენ როლანის „მგლები“, რომელიც უურადსაღები იყო თავისი ძლიერი, შერბული სცენებითა და მოქალაქეობრივი უღერადობით.

**მზია ხეთაბური**



# მრი სპექტაკლის მხასტრული გავორცევა

გორის თეატრმა სანტიტრესო სპექტაკლი უჩვენა თბილისის საზოგადოებრიობას დ. კლდიაშვილის „უბედურება“ და „მხსვერპლი“. სპექტაკლის მაღალმა დონემ, თანამედროვე ხასიათმა და მხატვრული გაფორმების სიღრმემ გადამაწყვეტინა გორის თეატრის სხვა სპექტაკლებზე შენახა, მაგრამ არც ასე იოლი აღმოჩნდა გადაწყვეტილების შესრულება. გორში ჩაედო მოსწავლეთა არდადეგების პერიოდში, თანაც შუა კვირაში, იმ იმედით, რომ ერთ-მანეთის მიყოლებით ვნახავდი დილისა და საღამოს სპექტაკლებს. თუმცე, გორის თეატრი ადგილობრივ წარმოდგენებს მართავს კვირაში ორჯერ, ისიც შაბათ-კვირას, რადგან ორი წელია აღნიშნულ თეატრში რემონტი მიმდინარეობს. ამის გამო სცენა გაუქმებულია, ხოლო ფიგის აივანი, რომელიც თეატრის მთავარმა მხატვარმა შ. ხუციშვილმა სცენად გადააკეთა, რათა თეატრის მუშაობა არ შეჩერებულიყო, მოუხერხებელია. იგი არ ბრუნავს, გარდა აშინა, აივნის მასივები, სწორიკუთხა სვეტები სცენაზე ეწყება. ამიტომ მხატვარი იძულებულია ყოველი სპექტაკლის დეკორაცია სვეტებს მორგოს, რა თქმა უნდა მხატვრული თვალსაზრისით. ფიქრობთ, უდავოა მხატვრის წინაშე დამსული ამოცანის სირთულე, ხოლო, როდესაც ამა წლის 9 აპრილს ვ. მაღლაფერიძის რეჟისორობით თეატრმა წარმოადგინა კ. ბუჩინის „ეწოში ავი ძაღლია“, კიდევ უფრო გამოაშკარავდა შ. ხუციშვილის მდიდარი ფანტაზია და მხატვრული ალღო.

პიესის მოქმედება, რომელიც თანამედროვე თბილისის ძველი უბნის მცხოვრებთა უაღრესად კოლორიტულ ყოფას გადმოგვცემს, მიმდინარეობს ერთ ეწოში. სიუჟეტის განვითარებას სჭირდება ძველი სახლის ყოველი კუნძულის ჩვენება, რომლის განხორციელება მბრუნავ სცენაზე ადვილია. შ. ხუციშვილმა

სვეტებით გადაქრილ უმოძრაო სცენაზე აავსო ორსართულიანი სახლი ვრცელი ფანჯრებით რომელზედაც გამოდის მოზინადრეთა სიყვლილი სხვადასხვა ფორმის ფაქრები. მხატვარი ხაზს უსვამს მოზინადრეთა ცხოვრების სხვადასხვა ხასიათს.

აივანი მარცხენა მხარეს გამოწეულია მაყურებლისაკენ, რომლის კიდზე დადგმულია ვანო ლაითაძის ბინა უკედლებოდ. იგი ვახსნილია ყოველი მხრიდან. ეს თეატრალური პირობითობა საიუფეტის განვითარებასაც უწყობს ხელს და დეკორაციასაც კომპოზიციურ მხატვრობას მიატებს.

აღნიშნული სახლი პიესის მიხედვით ხომ ძველია და მოზინადრეებს კერი ენგრევთ თავზე, ყველგან წვიმა ჩამოდის. ღია ბინა, ერთ დროს ჩუქურთმისანი, ახლა უხეში ფიცრებით აქრული აივანი, დატვირთული საყოფაცხოვრებო ნივთებით, როგორცაა ტაშტი, ძველი რადიო, სარეცხის თოცები, ძველი ტახტი, წინაყბისა და ნივრის აკიდობები და სხვა, მაყურებელზე ძველი, შესაკეთებელი სახლის შთაბეჭდილებას ახდენს, ხოლო შუა სცენაზე დაშვებული მსხვილი სვეტები შენობაში ისეა ჩართული, რომ მას კაპიტალური სახლის იერს აქლენს, რაც სიუჟეტის მიხედვით გამართლებულია. ალაგ-ალაგ მოხატული ჩამოცვენილი ბაიქაში და თითო-ორი ადგირაც ძველი სახლის მინიშნებაა, მაგრამ იგი დეკორატიულად არის გადაწყვეტილი და არაფერი აქვს საერთო ნატურალისტურ ფაქტურულობასთან.

ხუციშვილმა ფიგის არქიტექონიკა მოხერხებულად გამოიყენა დეკორაციაში. ფიგის აივანი მოზინადრეთა თიხებზეა დაწყობილი. ვინაიდან სცენა არ ბრუნავს, მხატვარს კიდევ ერთი პირობითი ხერხი გამოუყენებია მინდელივების ოჯახური ცხოვრების საჩვენებლად: ქვედა სართულზე „ფურკით“ გამოცურდება ოსინი და იპოლეუმის დასრულების შემდეგ, ისიც ჩაიმალება შენობის სიღრმეში. ეწოს სიღრმეში მხატვარი ზრდის ძირითად შენობაზე მიდგმული დაბალი ბინებით.

მრავალი საყოფაცხოვრებო დეტალი, როგორცაა: სანაგვე ყუთი, ონკანი, ხის სათავსო, უკანა ეწოში გასასვლელი კიბე, ისეთ კომპოზიციურ წონასწორობაშია წარმოდგენილი. რომ მხატვრის სახანგლოდ უნდა ითქვას, სრულებით არ იგარძნობა ის იძულებითი აღნაგობა დეკორაციისა, რომელსაც ფიგის სვეტებიანი აივანი კარნახობს.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტა, რომ რეჟეტიციის დაწყების მომენტიდან ყველა მსახიობი შესანიშნავად გარძნობდა თავს დეკორაციაში, ხოლო რეჟისორს მისხსენებების შერჩევის მრავალი შესაძლებლობა გაჩნდა. როდესაც მეზობლების ჩხუბი კულმინაციას აღწევს და ყველა მაცხოვრებელი ერთად გამოდის აივანზე თუ ეწოში, მაშინ კიდევ უარს ნათლად იკვეთება დეკორაციის ცხოვრებატულობა.

ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ თემატურ ფარდაზე, რომლისთვისაც გამოყენებულია ძვილი ფიგურებისაგან შეკრული ღობე წარწერით „ეწოში ავი ძაღლია“. პიესის დაწყების წინ იგი იხსნება შუაზე, ხოლო პიესის მსვლელობისას, როდესაც ზოგიერთი მოქმედება უცნობაა გარეთ, ქუჩაშია გამოტანილი, ფარდა ღობის როლს ასრულებს. როგორც ვხედავთ, მხატვარმა აქაც ლაკონური ხერხი მოძენა და არა-

ბრუნვად სცენას მიხედნა ი თეატრალური პირობითობა დაუპირისპირა.

საინტერესოდ მოაჩვენა მხატვარმა ძველ შენობად სახლის პატრონის სახელობის კვადრებად ავალივით, შემინული კედლები, რომლის აგებაზე იმდენი უსიამოვნება მიაყენა ლაითაძემ ახალგაზრდა მოქანდაკ ქალს, ირინე კახიძეს. იქნებ არც იყო სავალდებულო ამ დანადგარის შემოტანა სცენაზე, ისევე, როგორც უ. იმერლიშვილმა უფალებებულო მარჯანიშვილის თეატრის იმავე სახელწოდების სექტაკლში? ვფიქრობთ, სახელობის როგორი მცირე მინიშნებაც არ უნდა იყოს წარმოდგენილ სცენაზე, იგი მაინც ახარებს მასურბეგელს, რადგან მართალი და პატიოსანი ადამიანის გამარჯვების თვალსაჩინო დადასტურებას წარმოადგენს, მოთუშეებს, თუ იგი მხატვრულ მთაონობაშია მოცემული და არ ტვირთავს დეკორაციას, როგორც გორის სექტაკლში. ამით ჩვენ სრულებით არ გვხვრის შენიშვნა გავუკეთეთ მხატვარ უ. იმერლიშვილს, რომელმაც მალაღი გემოვნებით და მხატვრული სახვითა აზროვნებით სამოყვანება მოგვანიჭა ხსენებულ სექტაკლში.

ვ. მალაფერაძის სექტაკლში „უფოში ავი ძალდა“ მასურბეგლის ალტაცების იწვევის ისეთი ეპიზოდები და მიჯანსკენები, სადაც რეჟისორის მსახიობისა და მხატვრის შემოქმედებითი შერწყმა ერთ დამოხილულ აკორდად გვერთობინება. ასეთ მიჯანსკენებს ეკუთვინის შუალამის ანონიმური ბარათების წერაში ვართული ლაითაძე (მსახიობი ლ. ოკებაშვილი), რომელსაც წითელი ხელთათმანები აცვია არა მხოლოდ ხელეზე, არამედ ფეხებზედაც და ოთხივე „ხელით“ თითოში ორორი საწერი კალმით, მაგიდაზე შემტარი, აორთობლებული, დორბლორული, ექსტაზში მყოფი აზრალეღბს შხამითა და გესლით სავსე ანონიმური წერილებს. ასეთივე შემოქმედებითი ერთობაშია, როდესაც ფარდა-ღობიდან გადმომდგარი სამი მქმნის ქალი (ვარვარა ახარაგვა — მსახ. ვ. მოციქულაშვილი, ცაცანა — ფ. ფულაიანი, როზტა — შ. თედორაშვილი) თავშეუკავებელი ცნობისმოყვარეობით მოუხზობს ქარაფშუტა გურამ შელიას (მსახ. მ. მეზურნიშვილი).

ყურადღებას იმყრობს ლაითაძის წითელსარჩულიანი „პიუჟამ“, რომლის სიმბოლოურ წითელ ოდის მსახიობი იყენებს გვირის ყლბი პათოსის გადმოსაცემად.

მხატვარმა ძველი სახლის ჩაუანგული, უსაცოცხლო ფერები კოსტუმების ნათელი ფერებით გააჩაღა. მან სწორად გამოიყენა თითოეული კოსტუმი გვირთა ხასიათების გადმოსაცემად, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მთავანიძელი გარდერობიდან არის ამოღებული. სახისათო ფორმებითა და დეტალებით გამოირჩევა ვარვარა კაროვნას, ვანო ლაითაძისა და ცაცანას კოსტუმები. კოლორიტული სიცოცხლო შეაქვს სარტს ქართული, აღოსოფრ კოსტუმს, რომელზეც თანამედროვე ტანისამოსის ელემენტებიც არის ჩართული. როზტას მოიდროო კოსტუმებში მქმნანურ ოჯახში გაზრდილი ახალგაზრდის მდარე გემოვნება გადმოვიყვლი. სასურველი იყო სახლის პატრონის, ირინე კახიძის კოსტუმი მეტი დახვეწილობით გამოერჩია მხატვარს.

შ. ხუციშვილის მიერ გაფორმებული მრავალი სექტაკლიდან ერთ-ერთი საუკეთესო სპექტაკლია „უბედურება“ და „მსხვერპლი“, რო-

მელშიაც მოულოდნელ, მაგრამ მეტად საინტერესო. ღრმა აზრის მატარებელ მხატვრულ განზოგადობასთან გვაქვს საქმი.

რეჟისორმა ი. კაკულიამ დ. კლდიაშვილის ორი პიესა ერთ სექტაკლში წარმოგვიდგინა. მათ აერთიანებდა საერთო პრობლემა — სასოციალურების უშეცრება, რელიგიის წინაშე ძრწოლა და სოციალური უშეშობა, რეჟისორის გაბედული ნაბიჯს, ორი პიესის ერთ სექტაკლში გაერთიანებას თამაში მხატვრული გადაწყვეტი მოუქნა შ. ხუციშვილმა. მხატვარმა ორი ნაწარმოებისათვის ერთი დეკორაცია შექმნა.

აღნიშნულ სექტაკლში ორივე პიესის გვირები ერთი ეპოქის ადამიანები არიან, მაგრამ „მსხვერპლში“ თუ მეკეთერ დრამატურკოლოგიზითან გვაქვს საქმი. „უბედურებაში“ გვირთა სულიერი განწყობაა წინა პლანზე წამოყვლილი. ორივე პიესის სოციალურ საფუძველს ი. კაკულიამ მეტყველო თეატრალური ხერხებით, როგორცია ქროო, პლასტიკითა და პირობითობით მღიდარი მიჯანსკენები, განსხვების ცეცხლები და სხვა, კიდევ უფრო მეტი სიმძაფრე და მხატვრული გამოხსახველობა შეესძინა. მან ორივე პიესაში უფლება გვიარის ცდივრება ერთ პლანზე წარმოგვიდგინა, რაშიც დიდი როლი შეასრულა მარტოვე და უარესად მოქნილმა დეკორაციამ. რეჟისორის მიერ ოსტატურად მოფიქრებულ მიჯანსკენება შეტე-ტე უფერადობა და რელიეფურობა შეიძინა დეკორაციის მეშვეობით.

გემეტრული ფორმის ამალდებული მოედანზე დადგმულია ჩაქვებითა და ზარებით მიწინაშემოხლი სოლოის სამოცოველო. რომლიც სხვადასხვა ეპიზოდებსა და სცენებში ხან საცხოვერებელ ოთახს წარმოადგენს და ხან სამოცოველო. ფონად მხატვარს შავი ახარული გამოუყენებია, რითაც სცენური სივრცე სიღრმეს იძინს. სამოცოველოს გარშემო დაკიდული ბადეები მეკეთერად აკითხება შავ ფონზე. გაშლილი, ირგვლივ შემოხვეული ბადი, რომელსაც სექტაკლის დასაწყისში სოლოის თითოეული შრომობი ქსოვს. თითქოს იმ სოციალორ ბადედ ქცეულია. რომლისადაც თავის დაღწევა არც ერთ მათიან არ ძალუძს.

ნატურალურ ზომაზე დიდი საცხვილით, რომელშიც მათა სამკურნალო წამოებს ნაყვს თანასოფლელებისათვის, მხატვარი რეჟისორთან და მსახიობებთან ერთად ძალთა გაერთიანებასკენ მოუხზობს უბედურ სასოციალურებას, როდესაც ყველა ერთად შემოგვივია საცეხვლის და მათს ეხმარებიან კეთილ საქმიში.

ცენტრში დადგმული სამოცოველო უმეცარ სასოციალურებაზე გაძევებული რელიგიის, მისი ბოროტი მიზნებისა და ხალხის უბედურების სიმბოლოს წარმოადგენს. მისი ჩაქვები ადამიანთა გონების ბორკილობად აკითხება. ოსორესად სიმბოლოურ-პირობითი დეკორაცია ისეა ათამაშებული რომ რეჟისორისა და მსახიობების მიერ, რომ ხუციშვილის თითოეული ჩანაფიქრი, მხატვრული ხერხთა უმეტესობა მეკეთერ უფერადობას იძინს სექტაკლში. განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას სთავებს ვადამოციან შიშით შეუკრბობილი მეზობლების ჩაქვებით გაერთიანება და ურთიერთშეწინააღმდეგება. მარინეს ჩაქვით ბაბა, მისი გატრევა და სხვა. ზოგჯერ მხატვრის მიერ მოქმედონ ლაიონური, სიმბოლოურ ხერხს არაზომიერად ხმარობდ მსახიობები. მაგ. მარინეს დედ მსახ. ე. დღიანი, ასევე დედათილი, მსახ. ე. მოციქულაშვილი



იშვითად, მაგრამ ხანდახან მაინც სრულიად ფორმალურად ეწოდებიან ვაქებს.

განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს ზარებიდან გამოტყორცნილი სინათლის ნაკადით განათებული გმირთა სახეები. ასეთი მხატვრული ხერხი მოკმედ პირთა რელიგიური მისტიციზმით შეპყრობილ ექსპრესიულ სახეებს დამაჯერებლობას მატებს.

სცენის მარჯვენა კუთხეში ტრაპეციის ფორმის ჩარჩო დგას, რომელზედაც ტყავია გადაკეტილი. მარცხენა კუთხეში ჰკიდია ლითონის ფარი. ტყავადაკრული ჩარჩო გამოყენებულია ხმაურისა და ცეცხლის ეფექტის წყაროდ. ფარი კი ქოროს საფარად, ხოლო ორივე ერთად კომპოზიციის გასასწორებლად. რაც შეეხება ქოროს, მან ვერ გამოიყენა ფარი თავისი დანიშნულებით. იგი დეკორატიული ნივთივით უჭირავთ ხელში მსახიობებს, რის გამოც დეკორაციის ფორმალურ წაწილად იკითხება სპექტაკლი.

დეკორაციის ლოდიურობა მხოლოდ ერთ დეტალშია გაუაზრებელი, არაფრის მოქმედი, ესაა მაღალი მოედნის შვეული ნაპირების ქრელი ზედაპირი. იგი ზერელეა და ერთგვარი დონონისი შეაქვს დეკორაციის მძიმე, სადა ფორმების კეთილმზოვნებას.

ახსენიწავია ის ფაქტიც, რომ მხატვარი ერთი და იგივე დეკორაციას შემოქმედებითად არგებს სხვადასხვა თეატრის სცენას. გორის თეატრში სამლოცველო დაქიდულია დამწვარი ხის ძელებზე, სადაც საყრდენად ფოიის აივანია გამოყენებული, ხოლო სვეტები ნაცრისფერი ტილოთია განეიტრატებული. რუსთაველის თეატრისა და აკ. ხორავას სახ. მსახიობის სახლის სცენებზე კი მხატვარმა ოთხი ხის ძელი დაუდგა საყრდენად, ხოლო ხავერდის ფონი რუსთაველის თეატრში შესცვალა მუქი ნაცრისფერი გაცვეთილი ფერადებით.

აღნიშნულ სპექტაკლში კოსტუმი ისევე რამდენ არის გააზრებული, როგორც დეკორაცია. კოსტუმთა ერთგვარობა არა მხოლოდ ორივე სპექტაკლში, არამედ ყველა მოქმედი გმირისათვის მთელი სასოგადოების ერთ ბედ ქვეშ გაერთიანების, საერთო უბედურების, უმეტრებისა და სიღატაკის საერთო მოვლენის სიმბოლოდ იკითხება. შავი კაბები და შავი ჩოხები შემოცვეთილი, უსწორმასწორო ბოლოებით. ყველას ზურგზე და მკერდზე ერთნაირად არის გაცვეთილ-გახუნებული შრომისა და ოფლისაგან. თეთრი ლაქები სრულებითაც არ გადმოგვეცმს გახუნებული მატერიალის ფაქტურას.

მხატვარი პირბითად მიგვანშნებს გაცვეთილი სამოსის თეთრ ფერს, რითიც ნატურალისტის შემწარავი შთაბეჭდილებიდან გვიცავს. ერთადერთი ნათელი ლაქა მარინეს წითელი კაბაა, რომელიც მისი ახალგაზრდული სულის გამახამოლებას წარმოადგენს. იგი სასიკვდილოდ განწირული ყვაილივით ანთია შავ გარემოში.

პიესის არსის მხატვრული გამომხატვლობისათვის მხატვარი იყენებს ნაყოზად ეფექტურ სასულოებებს, როგორცაა, მონოქრომული თეატრები, უკიდურესი ლაკონიზმი, მაგრამ იგი სწორედ ძუნწი ხერხებით ანიჭებს აზრს სიციხივით.

ჩვენს მიერ ზემოთ განხილული ორი სპექტაკლი ხუციშვილის შემოქმედებას ამრავალფეროვნებს და გვიწვევს მისი თეატრალური მიღწევების უფრო სრულყოფილად შეცნობისაკენ.

## გზრამ ბათიასვილი

# მოვილასპარაკოთ ანულავის თანოგავა

ანულავი... ხალხით სავსე მაყურებელია დარბაზი... ჩადგმული სკამებით ჩახერგილი გასასვლელები... საღაროს თავზე განათებული წარწერა: „დღევანდელ წარმოდგენაზე ყველა ბილეთი გაყიდულია“. სპექტაკლი დაწვევამდე ნახევარი საათით ადრე უამრავი გულდაწყვეტილი და თვალბდაფაციცებული ხალხი თეატრთან... ტელეფონის ზარით, ნაცნობ-მეგობრებით ნაწოვნი ბილეთები.

რომელი თეატრის დირექტორს არ მიიზიდავს ასეთი სურათი, რომელ რეჟისორს არ სიამოვნებს, როცა ეხვეწებიან თუნდც შესასვლელი ბილეთი გვაშოვნიერო, თან დასძენენ ოღონდაც ეს სპექტაკლი ენახოთ და მთელი საღამო ფეხზე დავდებოთო.

მართლაც, მიზიდიელი პერსპექტივაა! ჩვენს თეატრს სჩვევია ასეთი ანშლაგები, ახლაც გვაქვს სპექტაკლები ჭეშმარიტად რომ იმსახურებენ მაყურებელთა ასეთ ყურადღებასა და სიყვარულს, როცა ასეთ სპექტაკლზე ზიხარ და ხალხით სავსე პარტრის, დახუნძლული იარუსებს შესსქეირი, გული სიხარულით გევსება. რადგან ამ საღამოს რამდენიმე ახული ადამიანი ნამდილ ხელოვნებას ეწიარება, ხოლო თუ რა სასიკეთო ნაყოფი მოაქვს ნამდილ ხელოვნებასთან თანახარობას, ეს სასმოდ ცხადია.

მაგრამ არის სხვა სახის ანშლაგიც და სწორედ მასზე გვინდა ვილაპარაკოთ.

რამდენიმე სახის ანშლაგი იცის თეატრმა. არის ანშლაგი, როცა საღაროში ყველა ბილეთი გაყიდულია, დარბაზში კი ორიოდ კაცი თუ ზის, არის ანშლაგი, როცა ცრემლიანა და უაზრო მელოდრამას მეტყანება ხალხი ცრემლთა საღვრელად, და არის ანშლაგი, რომელსაც სიცილ-ხარხარის საღამო უნდა უწოდო და არა სპექტაკლი დრამატული თეატრისა.

ეს ყველაფერი იყო, ეს ყველაფერი ნაცნობია. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ მაყურებლის აღზრდის, მისი გემოვნებისათვის საზიანო ამ ხალხმრავლობას თეატრში ახლა ემატება კიდევ ერთი საშიში სენი, რომელიც ქმნის ანშლაგს. ეს არის ანშლაგი, როცა დრამატული თეატრში ხალხი მოჰყავს არა თეატრალურ ხელოვნებას, არა თეატრის სიყვარულს, არამედ... ეს-ტრადას. დიას, დიას, რაოდენ პარადოქსულა-



დაც არ უნდა უღერდეს ეს, თეატრში ხალხი მოჰყავს ესტრადას.

მე გამოვუღებოთ იმხვე კამათს, რომ ამას ყველაფერს ცუდი თეატრები აკეთებენ და ამბავითა მსხვერვადაც კი არ ღირს ეგ საქმეო. ღირს ამბავითა მსხვერვადაც თუ უნდა იმის გამო, რომ არ არსებობს ცუდი და კარგი თეატრი. არსებობს თეატრი ამ სიტყვის ფართო, ყოვლისმომცველი გაგებით და მას ყოველდღიურად ემუშავება ცუდი შემოქმედებით ორგანიზაციად გადაქცევა, თუ ამოცანა გაიოლდა, თუ უღალატა იმას, რისთვისაც თეატრად იქცა.

დღეს ქართულ თეატრებში სიმღერები უფრო გვეხმის, ვიდრე მსახიობის მითროლოვარე, მოცახტაზე ხშირ წარმოქმნილი მონოლოგები. თითქმის ქრება, აღარ არის მსახიობის ეს მითროლოვარე ხმა, მის ადგილს ნელნელა იჭერს ხმამაღლი, ყოჩადი ბებების სიმღერები, შეძახვლები, რომელიც თითქოსდა პერსონაჟის (ან პერსონაჟების) გუნება-განწყობილებას გამოხატავს, მაგრამ ჩვენ ხომ ვხვდებით მივლით ნიჟროდი მხოლოდ იმისთვის თამაშდებოდა, რომ ამ სიმღერით დაშთავრებულიყო.

ესტრადის სივრცეებში არაერთულ თეატრში იკლავს ხალხი.

ამასწინათ ერთი სპექტაკლის საზოგადოებრივ განიხილება (კლასიკური პიესა თამაშდებოდა) ხალხს ლამის ყებზე ეტყინა შეთანხმებით, მაგრამ უცებ... ყველაფერი გამოცოცხლდა, გამოცოცხლდა, რადგან დაიწყო ცუკვის მავგარი მოქმედება. ანტრაქტზე ერთი დრამატურგი ამბობდა — „თუ კეთა გავქვ, ისეთი პიესა უნდა დაწერო და მოუტანო რეჟისორს, რომ იური ზარეციას საპირიობა იჭრინოს“.

ამ ხუმრობაში საწმუხარო სიმატლე იყო რადგან სპექტაკლი იმ ნაწილში რეჟისორი ადამიანთა ურთიერთობის ამოსხინთ არ იყო ვატყეულებო, შემდეგ შეეცადა რაიმე ექვეტურით, მხაურაინთ დავიეტერესებინა მაყურებელი, ამ ექვეტურის ოსტატე კი მართლაც გახლავთ ი. ზარეცი. მან თავისი ცხოველყოფელი ნიჭით ბევრი სპექტაკლი გამოიყვანა ჩიხიდან.

დაბ, ძალიან მიეტანენ ჩვენ რეჟისორები ე. წ. მუსიკლებს, ანუ როგორც სხვაგვარად უწოდებენ — მუსიკალურ სპექტაკლებს. (იმას კი არ უწყვიან, რომ მუსიკალა და მუსიკალური სპექტაკლებს შორის მანც არის გარკვეული სტილიური სხვაობა). ახლა ცდილობენ ბევრი რამ მუსიკლად აქციონ, გადაეკთონ, მუსიკლის სარეცელი პიროყრუსებზე სარეცელივით გახვა. საკიოხვადა, რამ განაპირობა მუსიკლით, მუსიკალური სპექტაკლებით ასეთი დიანეტრესება ჩვენს დრამატულ თეატრებში?

მე გგონია, მხოლოდ ერთადერთმა გარემოებამ და რაოდენ საწმუხაროც არ უნდა იყოს ეს პირდაპირ, გულახდილად უნდა ვთქვათ — ფორის ოლად ვახვლის, ოლი წარმატების დაუოყებელმა სურვილმა. ამ იაფი წარმატების მოსურნეობამ კი დღეს განსაკუთრებით იმპლავრა ჩვენს რეჟისურაში. რ. სტურუას წამაპველობამ ბევრი მცდარ გზაზე დააყენა. ასე გგონიათ „წირის“ მსგავსი ხალციხასწაული სპექტაკლის დასაღმგელად მხოლოდ მუსიკა და სიმღერებია საკმარისი. ამის გამო მოვიდა ასე ჩვენს თეატრებს ეს მუსიკლები, მუსიკალური სპექტაკლები. ლამის „წირის“ ასეთმა გრანდიოზულმა წარმატებამ პირაყუე ხასიათი მიიღოს, რადგან ბოლო აღარ უჩანს ეპიგონობას, წამაპველობას. ჩვენს დრამატულ თეატრებში ერთი შემთხვე-

ვა ვიცი, როცა მუსიკლი თერის ყველა თავისი ბურების გათვალისწინებით დაიდაცეს, ეს უკუხლადთ „ლამანელი“ რუსთავის თეატრში (ნ. გ. ჩავგას და ვ. ანთაძის რეჟისურა), თორემ დანარჩენი (ცხადია, აქ არ ვგულისხმობ მოზარდთა თეატრში ნ. ხატისკაცის მიერ ჩინებულად დადგმულ „მერი პოპინსს“, რომელმაც ჩემის აზრით, კიდევ ერთხელ ცხადყო — მუსიკლი ან არ უნდა დადგა, ან თუ დადგამ, ამ დონეზე უნდა იყოს) ყველა ისეთი წამაპველობა, თანრის აღრევა და აბდაუბდა ვახლავთ, თვასა და ბოლოს რომ ვერ გაუგებს ადამიანი. ეს სპექტაკლები თეატრის სალოაროს კი ავსებს. მაგრამ საბოლოო ჩამში ზანის მეტი არაფერი მოაქვს არც თეატრისთვის და, მითუმეტეს, არც მაყურებლისთვის.

რასაკვირავსა, სუსტი სპექტაკლის დაბადება არავის უხარია, მაგრამ მას იმდენი ვნება არ მოაქვს თეატრისთვის, რამდენადაც ამ ცუდად გაგებულ მუსიკლებს, სადაც გაუაზრებელი მანქვა და ხტუნვა დომანანტობს ნამდვილ მუსიკალურ ფრანსს. სუსტ სპექტაკლებს მაყურებელი მეორედ არ მივა, რადგან არ მოეწონა იგი, მაგრამ ამავეარ გამაურებულ ცუდ სპექტაკლებს (რომელმაც ნოვატორობის პრეტენზიაც ვახსენია, რადგან რეჟისორმა ერთმანისთ დაუკავშირა სიტყვა, ცუკვა, სიმღერა და დღეს, 70-იან წლებში ეს მიანიწა რეჟისორის ნოვატორობად) რჩებრ-სამჭერ მიდის იგი. უფრო ასეთი — უბედურება ბს არის, რომ უყვარს ასეთი სპექტაკლი, მე მინდა ერთი მაგალითი მოვიშველო — ამასწინათ ერთ რაიონულ თეატრში ვნახე მუსიკალურ სპექტაკლად წარმოადგენილი უბირი პიესა. პიესა დრამატული თეატრისათვის დაიწერა, მაგრამ რეჟისორის ყველაფერი უღონია იმისათვის, რომ მუსიკალურ სპექტაკლად გადაეკეთებინა იგი და აი, სპექტაკლიმ განჩადა სიმღერები, ცაცები, შესაბამისი მელოდიაები, მაგრამ რას უმსახურებო ყველაფერი ეს? ვნახით რას მღერიან მსახიობები და თავად მიხვდებით, ძვირფასო მკითხველო, რას ემსახურება ყველაფერი ეს.

თუ კი ისე მოიქცევე, ვით ღრუბელი, წვიმის მსგავსად შენც ცრემლები ღვარ, დამიყრე ჩემო კარგო, დამიყრე, ვერასოდეს, ვერასოდეს გაიხარებ.

მღერის ერთი პერსონაჟი. მეორე: ჩემთან ვგო, ჩემთან სიყვარულის მწვემთან, წყარო დლიე, უსიყვარულად ვერაგენ ვაძლებს. იგია ჩვენი სიკეთის მაცენ.

ხოლო ერთ-ერთი პერსონაჟი (ქალი) ასე მიპირათავს თავის ერთგულ მსოფლებს:

ქნარო, ქმარო სანუკვარო, საფიცარო, კარგად ვიცი სხვას არ ყვარობ, ამიტომაც ვიძღვნი ამბორს, რადგან აღარ გვეხარ სხვა ვაღარეულს.

კიდევ ერთ „მარგალიტა“ მოვიშველიებ ამ სპექტაკლადან:

შენ მიჩვენებარ ქალი სხვაზე, ნუ გადაპაყულ ერთ კოხანზე შენ იცი ის ვგოვო ლამაზია, რა მოხდა შე ქალი, რამ ვაგარია.

ჩვენ ყოველდღე ვაგონებთ ქართული თეატრის ტაძარი იყო და არის, რომელშიც ისმოდა და ისმის ქართული ენა, რომელიც იმხავდა



ქართულ ენასო. მკითხველს, პირტიტველა კაბუკს სამართლიანად სჯერა ჩვენი და სურს თეატრში ისწავლოს არა მხოლოდ კარგი ქართული და მეტყველება, არამედ შრობილოების სიყვარული, პატივისცემა. და აი, თეატრისათვის ქართული, ასეთი პოეზიით უმსახიბლდება, ასეთ ქართულს შთააფრებებს. მერე შენ, მარცხენა რამდენიც არ უნდა ელამარაკო ენისაღმი სიყვარულზე, პატივისცემაზე, არ ვაგვიგონებს, რადგან ქართულმა თეატრმა, რომლის პატივისცემაზეა ჩავაგონებ, ასე გაჯარდა.

შე არ ციცი ვინ დაწერა სიმღერების ტექსტი ამ სპექტაკლისათვის, მაგრამ ძალიან ცუდი ის არის, რომ ამ სპექტაკლს მრავალი დამცველი ჰყავს. რაში გამოიხატება ეს დაცვა?

ამ სპექტაკლზე სრული ანშლავი იყო, გულისმარეც სცენებს (თუ როგორ დასდევს ერთ შინამოსამსახურე გოგონას ოჯახის ყველა წევრი მამაკაცი — მოსუციც და ახალგაზრდიც, როგორ ცდილობენ ხელი მოუსვან ერთ ადგილზე, აკოცონ და ბერე ლოგინში ჩაიგორონ) უუაროდ და გაცილებით ნაკლები ადამიანი, ვიდრე საამისო სურვილი ჰქონდათ — დარბაზში შემოსულთა, ბედნიერთა რაოდენობა გარეთ შეიღობოდა დარჩენილთა ნახევარზე არ იქნებოდა, რადგან დარბაზი ვერ დაიტევდა ამდენ ხალხს.

მეორე დღეს კი „რევიზორი“ თამაშდებოდა, გოგონის უცდავი „რევიზორი“. არც ზღუდატარე იყო ურეგო, არც გაროდნაი, მაგრამ... დარბაზი თითქმის ცარიელი გახლდათ. მსახიობებს (არც თუ ურიგო მსახიობებს) უუყვართ ეს სპექტაკლი, მაგრამ ლამის ყველა რომღე სქეკან უარს, ამ იაფუასიანი სიმღერებისა და ცეკვებისანი სპექტაკლისათვის კი თავგაოდებობენ იბრძვიან. როდესაც თეატრში ნაწიას სპექტაკლები განხილვა მიმდინარეობდა, ერთი მაყურებელი წამოვდა და განაცხადა, ჩვენ სწორედ ასეთი სპექტაკლები გვინდაო, ამ ავადსახსენებელ სპექტაკლზე ამბობდა. არც ისე იოლია გადაარწმუნო მაყურებელი და ჩაგონო, რომ იმგვარ სპექტაკლებს ზიანის მტერი არაფერი მოაქვთ თეატრისათვის.

რა მოხდა?

თეატრმა მაყურებელს იაფი, იოლად მოსანელებელი სპექტაკლი შესთავაზა, აცნა, „დრო გაატარებინა“ და... როდესაც განიხრახა კეშმარტი ხელოვნებით მოეზიდა იგი, ვეღარ მოახერხა. ვერ მოახერხა, რადგან მაყურებელს უყვი: ვი ამ სპექტაკლისაგენ უჭირავს თვალი. მსახიობიც იოლი წარმატებით, იაფსაინი ტარეუკებით გახდა პოპულარული.

ჩვენში ახლა საკმაოდ ბევრი თეატრის რეჟისორშია აკაცი გენუძის კარგი კომედია „გზა თეატრის ცოლი მოჰყავს“, მაგრამ ძალიან ცოტა თეატრმა თუ დადგა ეს პიესა ისე, როგორც დრამატურგმა დაწერა. ამ ყოფითი პიესიდან შექმნეს ერთგვარი მუსიკალური სპექტაკლი სიმღერებით, ცეკვებით, მასში ჭაჭური, ესტრადული დომინანტობს დრამატული თეატრის ელემენტებს.

საგანგაშო ის არის, რომ სპექტაკლებს ხალხი არა და არ აკლდება. რას ნიშნავს? არის თუ არა ეს შურაქცემოვფელი თეატრისათვის? ვფიქრობ, მეტისმეტად შეურაცხყოფელია და ვის მიუბღვის ბრალი ამაში, თუ არა ისეც და ისეც რეჟისორს, რომელიც ცდილობს ასე იაფუასიანი მეთოდებით მოიზიდოს მაყურებელი თეატრში, შემდეგ როცა ეს რეჟისორები დადგა-

მენ მნიშვნელოვანი აზრის შემცველ სპექტაკლებს და ამ სპექტაკლებზე ხალხი არ მოდის, უყვართ. ციცი, ბევრი წამომსახებელია, მაგრამ რუსთაველის თეატრს რეპერტუარში „ხანუშა“ რომელიც განართობ სპექტაკლად გვევლინება? წამომსახებუნ და იმას კი არ ვაფიცილის. წინებუნ, რომ ვართობაც არა და ვართობაც! ვაჩნია რითი ერთობა ადამიანი — „ხანუშა“ ხომ ფიგურვერია იმპროვიზაციისა, ტალანტებისა, ამის უფლები თეატრს აქვს მაშინ, როცა „ხანუშას“ გვერდით რეპერტუარში „გუმონდელინი“, „ანტოგონე“, „უფარყვარა“, „ცარია წყრე“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ბერნარდა აღბას სახლი“. კი ბატონო, ითამაშე „ხანუშას“ ნაირი სპექტაკლები (თუ ამ დონეზე მოახერხებ), იოლად მერე ამავე დონეზე ითამაშე რეპერტუარის სხვა სპექტაკლები.

იგივე შეიძლება ითქვას „ძველ ვოდევილებზეც“ მარჩანიშვილის თეატრში, ეს ხომ გ. გომიშვილის ტალანტის დიდი გამოსახება გახლდათ, მაგრამ თუ ამ თეატრში „ვოდევილებს“ გაუჩნდება ცუდი ასლები, იმპლავების მისი ტენდენცია, ეს უკვე არ შეიძლება მოსაწონი გახლდეთ. რადგან დიდი იმპროვიზაციის, ხალხის ნიჭიერების უნარაც არ უნდა გვაჩვენოს მსახიობებმა (და ეს მომენტი უთუოდ ახლავს თან მარჩანიშვილის თეატრში დადგმულ სპექტაკლებს) მინც გული გწყვდება, რომ ეს ტალანტი ქეშმარტი ხელოვნების სამსახურში არ დგას. მაგრამ როდესაც მე ამ თეატრში ვხეიარ „მარტოობის დღესასწაულზე“ სულაბანაშელ დაძაბული მიგვიტევიარ სცენას (ეს მერაშდენელ) და დარბაზს ერთხელაც არ შეატაკებს ეს უბადდებული მომერიული სიცილი, ბედნიერად ადამიანი ვარ. ბედნიერი ვარ, რადგან თეატრი უცლოფრთი ახდენს ზემოქმედებას ჩვენს — აზრითადა და ემოციითაც! და მე მჭირა: ვინც ამ დროს დარბაზში ზის, (თუ სულაც არ დუეკარგავს ხელოვნების შეგარძნების უნარი), ბედნიერია.

ეს არის ყველაზე დიდი ანშლავი თეატრისათვის, ანშლავი, რომელიც ადამიანებს ემსახურება, ანშლავი, რომელიც საზოგადოების სულიერი, მორალური წარღის სამსახურში დგება თორემ რა გამოდის? ზოგჯერ ანშლავები გვაქვს, ხელოვნება კი — არა.

განა ეს გარემოება დასაფიქრებელი არ კლავთ? განა დასაფიქრებელი არ უნდა იყოს ის, რომ ახლა ჩვენი მსახიობების ერთი ნაწილი ამგვარ სპექტაკლებში თავიანთი ინდივიდუალური მონაცემების ექსპლუატაციის ხარჯზე აღწერი მაყურებლის მომერიული სიცილებს? ან სხეულის რომელიმე ნაწილის პაროდირების ზნით იხვევენ მაყურებლის ტაშზე? ეს ხომ ძველი თეატრალური პრინციპებისაგენ მიმრუნებაა. რა ხანია თეატრმა უარი თქვა ამგვარ გამომსახველობით საშუალებებზე. ჩვენ ეს კვლავ ჭიუც ვეკარგებებით მას — ერთი მხრივ, გვაქვს ზე მოთხსენებელი სპექტაკლები („წყრე“, „უფარყვარე“, „გუმონდელინი“, „მარტოობის დღესასწაული“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ანტოგონე“, „ბერნარდა აღბას სახლი“), რომელიც მოეხებეთაც შეიძლება არა მხოლოდ სკავე შირო, არამედ საერთაშორისო ასპარეზზეც გავიდეთ და, მეორე მხრივ, ჩნდებიან სპექტაკლები, რომლებიც აგერ ჩვენს გვერდით, მცხეთაშიც კი მოკვირდნა თავს. რა ვუყოთ ასეთ უფსერულს, რით ამოვავსოთ?



ნათელა ლაშხია

## ქართული თეატრის მემატიანე



ქართული თეატრის ცნობილ მოღვაწეს, ქართული თეატრის მკვლევარს და მემატიანეს გრიგოლ (გუგული) ბუხნიკაშვილს დაბადების 80 წელი შეუსრულდა... აქედან 60 წელზე მეტი მან ქართულ თეატრს და მისი ისტორიის გამოკვლევას მიუძღვნა.

18 წლისა ეზიარა გ. ბუხნიკაშვილი პირველად სცენას. ეს იყო ხაშურის და სურამის სცენისმოყვარეთა სპექტაკლებში, უფრო გვიან, 1917-1920 წლებში ნაძალადევის მუშათა კლუბის დრამატულ წრეში მუშაობდა მსახიობად და რეჟისორის თანაშემწედ.

ასევე ახალგაზრდა მოვიდა იგი ლიტერატურაში. მისი პირველი სატირულ-იუმორისტული ნაწარმოებები „გუგული“ ფსევდონიმით 1914 წლიდან იბეჭდებოდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბოლშევიკური პარტიის წევრი, გრიგოლ ბუხნიკაშვილი პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებში მუშაობდა ხელმძღვანელ თანამდებობებზე (იყო ხაშურის რევკომის მდივანი, გორის სამაზრო ადმინისტრაციული კომიტეტის მდივანი და სხვ.).

1926 წლიდან კი იგი საქართველოს ხელოვნების სხვადასხვა დაწესებულებებში მოღვაწეობდა (ზ. რუსთაველის სახ. თეატრის დირექტორი, თბილისის სამხატვრო აკადემიის დირექტორი, „მეტეხის“ მუზეუმის დირექტორი და სხვ.), 1939 წლიდან დღემდე გ. ბუხნიკაშვილი საქართ-

ველოს სსრ თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორია.

გრიგოლ ბუხნიკაშვილი პირველი ქართული საბჭოთა კომედიის ავტორია („შემინებული ანთიმოზი“ — 1921 წელი). ეს კომედია წლების მანძილზე იდგმებოდა საქართველოს მრავალ სასოფლო კლუბში და თვითოქმედ წრეებში. იგი ოთხმოცამდე აგიტ-სატირული პიესის ავტორია. თავის დროზე ამ პიესებმა გარკვეული წვლილი შეიტანეს საბჭოთა ქართული თეატრის განვითარებაში. მისი პიესები „ასეც იყო“ (1927 წ. დაღვა თბილისის მუშათა თეატრმა), „კი, მაგარამ...“ (1929 წ. დაღვა კ. მარჯანიშვილმა ქუთაის-ბათუმის თეატრში) წარმატებით სარგებლობდნენ.

ალბათ, ბევრმა არ იცის, თუ რა დიდი საქმე გააკეთა გ. ბუხნიკაშვილმა 20-იან წლებში სააგიტაციო თეატრების განვითარებისათვის. ეს იყო სოციალისტური მშენებლობის მღვდლვარე წლები. საჭირო იყო როგორც მუშა-მოსამსახურეების, ისე გლეხების ფსიქოლოგიის გარდაქმნის კომუნისტური პარტიის იდეების სულისკვეთებით, საამისოდ თეატრს განსაკუთრებული მისია ეკისრებოდა, ამიტომ მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა გ. ბუხნიკაშვილის ინიციატივით და ხელმძღვანელობით დაარსებული ორი თეატრი; სატირა-აგიტაცისა (1928 წელი) და სასოფლო მოძრავი თეატრები (1929 წელი). ორივე თე-



ატრის რეპერტუარი სააგიტაციო ხასიათისა იყო და მათი უმრავლესობის ავტორი გუგული იყო. ორივე თეატრმა თავის დროზე წარმატებებსაც მიაღწია. სატირის თეატრში დაიწყო მოღვაწეობა შოთა მანაგაძემ (რეჟისორი), მიხეილ გოგიაშვილმა (დრამატურგი), კორნელი სანაძემ (მხატვარი), ვანო მურადელიმა (კომპოზიტორი) და სხვ.

გ. ბუნჯიაშვილი, უპირველეს ყოვლისა, ქართული თეატრის მემისტორი... მას უყვარს ქართული თეატრი, მისი ისტორია და მთელი მისი შემოქმედება და მოღვაწეობა მას მიუძღვნა. იგი 500-მდე სტატიისა და გამოკვლევების ავტორია.

თეატრზე გამოქვეყნებული მისი შრომები: „გორის თეატრი“, „მხარაძის თეატრი“, „ქიათურის თეატრი“, „ქუთაისის თოჯინების თეატრი“, „ქუთაისის თეატრი“, „გაბრიელ სუნდუკიანი“. „ოსტროვსკი ქართულ სცენაზე“, „რუსული თეატრი 100 წლის მანძილზე“ და სხვ. დიდ დახმარებას უწევს ქართული თეატრის მკვლევარებს.

მეტად დასაფასებელია მის მიერ შედგენილი „ქართული თეატრის ბიბლიოგრაფია“ 1850-დან 1917 წლამდე, რომელიც დაცულია საქართველოს სსრ თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმში.

ამჟამად გ. ბუნჯიაშვილი ამთავრებს რევოლუციამდელი ქართული თეატრის ისტორიას, სადაც დაწვრილებით იქნება გაშუქებული საქართველოს ყველა თეატრის ისტორია დასახამიდან 1917 წლამდე.

გარდა ამისა, გ. ბუნჯიაშვილი წერს საბჭოთა თეატრის დაწყებით პერიოდის ისტორიას (1922-1926 წლები).

დაბადების 80 წლისთავზე ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და დაუღალავ შრომას ქართული თეატრის საკეთილდღეოდ.

## პირველ იყო საქმე

პროსპერ მერიმეს უთქვამს: „ბედნიერი თუ უბედური შეყვარებულის მოსმენა ერთნაირად მოსაწყენიაო“. იქნებ ზოგისთვის ეს ამბავიც მოსაწყენი გამოდგეს, მაგრამ ადამიანებმა ერთმანეთს უნდა მოვუსმინოთ.

იოსებ გრიშავილი, სხვა სიკეთესთან ერთად, ქართული თეატრის მოჭირნახულე, ერთგან წერდა: „ღმერთმა, როცა ყველა სულდგმული გააჩინა, ბრძანა: შრომითა და რუდუნებით ისაზრდოეთო“.

რუდუნებით, რუდუნება, რუდუნებს, რუდუნი— იზიათად გაისმის ეს ნაფერები და მოვლილი სიტყვა თეატრის კაცზე. ეტყობა მისი მისადაგება პიროვნების თვისებათა უპირველეს სამკაულად საქნელოა და ამიტომაც არის გამოზოგლი ასე მომჭირნად.

ჩემთვის კი, როცა წინადადებიდან სიტყვა რუდუნებას ამოვარჩევ, არა მხოლოდ შინაარსობრივი მნიშვნელობით, არამედ მისი სიღრმისეული, ხელშესახები თბილი ხასიათით, მუსიკალური მომზიდველობით მოვარაუბლუს, წამსვე კონკრეტულ მისამართს დებულობს.

დიმიტრი ჭანელიძეა ეს მისამართი. თუ დღეს ქართული თეატრმცოდნეობის კანონიერი ადგილი სათუბობს და ექვს აღარ იწვევს, — ეს, პირველყოფისა, დიმიტრი ჭანელიძის რუდუნებითი დგაწლის მონაგარია.

ქართველი ხალხის, საქართველოს ისტორიის ანალებში სათუთად, კაკაღაკაღ გამოარჩია ჩვენი თეატრის დასახამი და მისეული დაუღალავი ნაბიჯით საუკუნეების გაუთავებელ გზას დღემდე ჩამოყვავა.

მხოლოდ სიყვარულს შეეძლო ესოდენი საქმის აღსრულება და სიყვარული — ეს მეორე სიტყვაა, რომელიც, მის სახელს მრავლისმომცველობით შეეფერება.

ქართული თეატრალური ნიღბები, მათი საიდუმლო და შინაარსი, აქა-იქ ალაღბებულ შემორჩენილი ხალხური თამაშობანი სამგონოვ გამოაფინა და ქარმაგობის უმასაც არ გაძნელებია მათდამი უჭრადღება. კახეთი, სვანეთი, მესხეთი დალაშქრა მოწაფებთან ერთად. კვლავ ჩაიწერა ბევრი რამ ახალი, სასარგებლო, ჭერაც ხელშეუხებო.

ესლა ზაფხულის არდადეგებზე, ალბათ მონაშნული აქვს საკვლევი კუთხეები და იქითკენ გაუწევს გული. შედეგიც ღირსეული იქნება, ვინაიდან მიზანი და უდეგი იშვიათად დაცილებია ერთუროს მის ცხოვრებაში.

იგი დეწლმოსილი მკვლევარია — ფუძემდებელი და აღმშენებელი ქართული თეატრმცოდნეობის მეცნიერული შენობისა, ამასთან ამ შენობის თითქმის ყოველი მკვიდრი მოსახლე მისი მოწაფეა.

მისი მეცნიერული ნაღვაწის მარტო ჩამოკვლა შორს წაგვიყვანდა ან მათი ერთად აკინძულის წარმოდგენა ფიზიკურად გადააქარბებდა თავმდაბალ და პულგარძელ ავტორს, რომელსაც არა მარტო თავისი, სხვისი ნაშრომების მოვლპატრონობაში არა ერთი ღამე გაუტეხია.

დმიტრი ჭანელიძე სულით მკვლევარია. მისი ფუნდამენტური მონოგრაფია „ქართული თეატრის ისტორია უძველესი დროიდან XVIII საუკუნემდე“ ის მონაგარია, რომელიც მხოლოდ ერთსაკაცის მონდომების, თავდაღების ზარსხსნი განიწომება.

რეისორი რომებერ სტურუა მოახერხებდა „ყვარყვარ თუთაბერში“ შექსპირისა და ბრეტის შეტანას და ამით პიეტის ინვარიანტულობის დარღვევას? ცხადია, რომ ასეთ „ახლებურ წაიხიხვას“ დრამატურგი პ. კაკაბაძე არ დეთანხმებოდა იმტომ, რომ დათანხმება მისი, როგორც ავტორის, ხელშეუხებლობის პრინციპის შელახვა იქნებოდა. ეს მაგალითები აშკარად გვეუბნებიან, თუ პრაქტიკულად რა საკანალიზაციო შედეგი მოსდებდა პიეტის „ახლებურ წაიხიხვას“. ცხადია, რომ ასეთი სიხალდე არავის არ სჭარბებდა. ეს სასულ თეორიულ დაბნეულობას ნიშნავს და ვარიანტულისა და ინვარიანტულის ურთიერთობის არასწორ გაგებას.

რა გამოასწორებს ასეთ მდგომარეობას? პირველ ყოვლისა, პრაქტიკიდან უნდა ამოიხიროს ნაწარმოების თეორიული „ახლებურად წაიხიხვის“ მოთხოვნა. ყოველ მხატვრულ ნაწარმოებში, რომელი უანრისაც უნდა იყოს იგი, ის უნდა იქნას ამოკითხული, რაც მასში არის წარმოდგენილი ინვარიანტული სახით ავტორის მიერ. ისტორიულად მკითხველი იცვლება, მაგრამ ამ ახალ მკითხველს ცვლილება არ შეაქვს ნაწარმოებში. ნაწარმოები, თუ ის კლასიკური ნაწარმოებია, მუდამ უცვლელი რჩება. რასაკვირველია. ახლანდელი განათლებული მკითხველი და რეისორი უფრო ღრმად წაიკითხავენ ნაწარმოებს, მაგრამ საბოლოოდ იმას ამოკითხავენ, რაც მასში წერია, ავტორის „ჩაუღვია“ და ინვარიანტულად მიიქცევა.

კი მაგრამ, მაინც რატომ ხდება, ზოგიერთი მხატვრული ნაწარმოების გააქტულება, გაცივრება, წინ წაშორება და თანამედროვეობის ცნებების დადგობა, რითაც უფრო აქტიურად იზიდავს მკითხველსა და მაყურებელს? ასე იმიტომ ხდება რომ მოქმედებს ანალიზის პრინციპი. ამ პრინციპს, ამ კანონს, რომელსაც ქართულად მსგავსებს კანონი ეწოდება, ნაკლებ უფრადებს აქცივენ მშონი, როდესაც ეს კანონი ხელოვნების მარადული კანონია.

ეს კანონი უმდებრივ მდგომარეობას: როდესაც თანამედროვე ცხოვრებაში შეიქმნება ისეთი სოციალური სიტუაცია, რომლის ანალიზი, მსგავსი ვითარება გამოხატულია უწინდელი ეპოქის რომელიმე ნაწარმოებში, მშონი ეს ნაწარმოები უფრო მჭიდროდ ეხმარება თანამედროვე დაშინების სულისა და გულს, მის ესთეტიკურ მოთხოვნილებას და ამტომ ეს ნაწარმოები იქნეს ახალ სიცოცხლეს. გვერდში უდგას თანამედროვე მკითხველი, ამხნევის მას, სწმენდს მის სულს, აძლევს ბოროტებას და აყვარებს სიყვითელს.

აი, ამის რამდენიმე მაგალითი: დიდი ხანია წავიდა ის ეპოქა, რომელიც დაიწერა ლამავე ვეგას უკვდავი ღრმად „ცხვრის წყარო“. მიუხედავად ამისა, იგი ჩვენი დროის, მეოცე საუკუნის ოცანე წლებში საქართველოს სახელმწიფო თეატრების რეპერტუარში ბრწყინავდა. მას უმარტივო მაყურებელი ესწრებოდა და დიდი წარმატებით იღებებოდა. თითქმის ახალი სიყვალუ შეიძინა. გამოადინენ თეორეტიკოსები, რომლებმაც პიეტის ახალი დაბადება ახსნეს ვარიანტულობის მომხივრებით: მოვიდა ახალი მკითხველი და მან ახლებურად წაიკითხა დრამატული ნაწარმოები, რეისორმა ეს ვარიანტული გააცოცხლა და ამით პიეტა უკვდავი გახდა.

ნამდვილად კი უკვდავი და მარადიული იმთავითვე იყო პიეტაში მოცემული ინვარიან-

ტული სახით და აქ ვარიანტულობა არაფერ შუაშია. ეს რომ ასეა, „მას“ დავანახებთ ნაწარმოების მოკლე მიმოხილვა.

დრამის შინაარსად აღებულია ესამაგალიტო იყო სოფელი, რომელსაც ეწოდება „ფუტენტე ოცენუნა“, ე. ი. „ცხვრის წყარო“, ამ სოფელში 1476 წელს გაიხსნა გლეხების აჯანყება სოფლის კომანდორის გომესის წინააღმდეგ. ეს გომესი იყო თავები მშართველს, განსაუბრებით ცუდად თაქრობდა გლეხის გოგონებს, იჭერდა მათ და ძალით მამებს ხდიდა. გომესმა საქარწინი პროცესიდან გაიტაცა გლეხი ალიკანა ქალ-შვილი ლაურენსია, აღმოუთებულმა ხალხმა მოკლა გომესი, მისი თავი სარზე წაოაკო და ასე დაატარდა სოფლის ქუჩებში, გლეხებმა გამოიჩინეს პრინციპულობა და არ ვასცენ საქმის მოთავენი: სოფელმა, „ცხვრის წყარო“ მოკლა. მეფე დარწმუნდა გლეხების სიმართლეში და თვით იესრის სოფლის კომანდობა.

ეს პიეტა მნიშვნელოვანია მით, რომ გომესს გათავებდებულ მშართველს, რომელიც ხალხს ტანჯავს აყენებს. პიეტის მორალეა: ხალხის მტრები არ არის დასაძინო, მათ ხალხი იჭრუნდა ანადგურებდეს, როგორც გაანადგურებს „ფუტენტე ოცენუნას“ მშრომელმა გლეხობამ კომანდორი გომესი.

აი ეს არის ინვარიანტული, რომელიც ავტორმა მოკვდა აღნიშნულ დრამაში. ყოველი ეპოქის მკითხველი, რეისორმა მხოლოდ ეს უნდა ამოკითხოს ამ პიეტაში, ამ ინვარიანტულს არ შეიძლება ვარიანტი ჰქონდეს, სწორედ ამ ინვარიანტულმა გამოიწვია ამ პიეტის აქტულობა. იმ დროს მიუღის საბჭოთა კავშირში და ეკრძოდა საქართველოს სინამდვილეში ადგილი ჰქონდა მშრომელი მასების დიდ რევოლუციონურ გაქცევას. ხალხის რისხვა თავს დაატყდა ბურჟუაზიას, ხალხის რევოლუციური აღქმუნდა უსახლოვო ენერჯიტი გამოვლიდა, კულეტიტორიამ, დარაწმულობა ბოროტებს მოსასობადა და საიეთის განსარჩებლად პირველად ჩვენს ისტორიაში მოგვა ნამდვილი განხორციელება. ასეთივე სამართლიანი საქმე შესაძლებელია „ცხვრის წყაროს“ მშრომელმა ხალხს და სწორედ ამ ანალიტიკურმა საზოგადოებრივ ვითარებამ გამოიწვია პიეტის „ფუტენტე ოცენუნას“ წარმატება.

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დროს სწორად იღვებოდა ნაწარმოებები ვიორგი საუკაძე, კუტუშოვზე, ჰებერ პირველზე და ეს იმის შედეგი იყო, რომ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი (1941-1945) იყო ანალიტიკური რუსი ხალხის გმირული ბრძოლის 1812 წელს ნაპოლიონის წინააღმდეგ. უცხოელ დაბურბობთა წინააღმდეგ საერთოდ. მან გამოიწვია ისტორიულ თემებზე დაწერილი ნაწარმოებების აქტულობა და არა ახლებურად წაიკითხა, რეისორი ძველებურად წაიკითხავს, თუ ახლებურად. მაინც ეს უნდა ამოკითხოს, რაც მართლმითქმულად არის მოცემული, რაც ინვარიანტულია, რასაკვირველია, არ შეიძლება რეისორის როლი თეატრში და კინოში დაჟიუჯანო უბრალო ინტერპრეტაციის ფუნქციებამდე. რეისორი დიდი ფეფურა თეატრში. მისი მთავარი ამოცანაა ღრმად ჩაიხედოს პიეტაში, დაეხმაროს მასობრივ ლიტერატურულ ხაზე აქციოს სცენურ სახედ, მან უნდა გამოქმენოს და შეარჩიოს სათანადო გამომხატველობითი საშუალებები და ამით გამოავლინოს პიეტის ღრმა იდე-



ლამარა ბურჯანაძე

# ახალგაზრდა დრამატურგთა თათბირ-საშინარი

ური შინაარსი, ამიტომ არის რეჟისორობა ხელ-  
ღონების დარგი, მაგრამ რეჟისორმა არასო-  
ლეს არ უნდა დაიწყოს, რომ იგი მაინც პიე-  
სის ავტორის მიერ დადგენილ ჩარჩოში ჩა-  
სმულა, რომელსაც არასოდეს არ უნდა აძლევ-  
დეს, დღეს შემჩნეულია, რომ ნ. გოგოლის  
„მკვდარი სულების“ მკვიხველთა რიცხვმა იმა-  
ტა. ბიბლიოთეკის მონაცემები ამას ადასტურებ-  
ენ და ეს ბუნებრივად არის, რადგან „მკვდარ-  
ი სულები“ ისეთი ნაწარმოებია, რომელშიც  
აღწერილობა მოვლენებმა ანალოგია მკვდარ  
ჩვენს დღევანდელ ცხოვრებაში. ისეთი ნეგა-  
ტიური მოვლენები როგორცაა: მკვდარი სუ-  
ლების შეტანა ხელუფლის უწყისებში, მიწერე-  
ბით გეგმების შესრულება, (ჩიჩიკოვს ხომ არც  
ერთი ცოცხალი უმა გლები არ ჰყავდა, უბრა-  
ლოდ მაკვდარ სულებს, რომლებიც სარევიზო  
წიგნში ცოცხლებად ეწერა). სახელმწიფო აპა-  
რატის ბიუროკრატიაში დანაგვიანება და სხვა  
მოვლენები მთელი მხატვრული ოსტატობით  
არის დაგმობილი გოგოლის „მკვდარ სულებ-  
ში“ და ამით ეხმარება იგი თანამედროვე სა-  
ქოთა ანდამანის განწყობილებას, რასამაგ მას  
ასეთი ნეგატიური მოვლენების აღმოაფხვრე-  
ვლა.

„ვეფხისტყაოსნის“ თანამედროვე მკვიხველ-  
მა მხოლოდ ის უნდა ამოიკითხოს, რაც მასში  
„ჩადო“ უკვდავმა რუსთაველმა: საშობლონ  
შტრების განადგურება, უანგარო გმირობა და  
შეგობრობისათვის თავდადება, ამაღლებული სი-  
ყვარულის ქება-დიდება, — აი, ის ინვარიან-  
ტული, რომელიც მოცემულია „ვეფხისტყაო-  
სანში“.

რა შეიძლება იყოს ვარიანტული ხელოვნე-  
ბის ისეთ ძეგლებში, როგორცაა: ნიკორწმინ-  
დის ტაძარი, ვარძია, როდენის ცხვირმოტეხილი  
მამაკაცი, რუმბრანტის, ტიციანის, რეზინის, ფი-  
როსმანის, გუდიაშვილის სურათები. „დაისი“,  
„ახტალაში“ და თიერი“, ბეჰოვენის მეცხრე  
სიმფონია. ამათი უყვალფერი ინვარიანტულია,  
ხელოვნების რომელი დარგიც არ უნდა ავიღო,  
მასში არაფერია ვარიანტული და არც შეიძლე-  
ბა იყოს, რადგან მათში ვარიანტული ცვლილე-  
ბების შეტანა სპობს ძეგლის თვითმყოფე-  
ბას. დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ გარდა-  
სულ დროთა კლასიკურ მხატვრულ ლიტერატურ-  
ულ ნაწარმოებებში მთავარია ინვარიანტული,  
რითაც განხორციელებულია მათი უკვდავება,  
რაც შეტად აქტუალური და სასარგებლო ხდე-  
ბა ანალოგიური სოციალური ვითარებაში, რას-  
თანაც დაკავშირებულია მათი ესთეტიკურ  
მნიშვნელობა.

1. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი,  
პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით,  
ტ. VII, 1962 წ. გვ. 310.

2. Краткая Литературная энциклопедия,  
ტ. 5, გვ. 829.

2 ივნისს აფხაზეთის მწერალთა კავშირის  
სხდომათა დარბაზში გაიხსნა საქართველოს  
ახალგაზრდა დრამატურგთა თათბირ-სემინარი,  
რომელიც საქართველოს თეატრალური საზო-  
გადოების დრამატურგიისა და სოციალური  
კაბინეტის ინიციატივით მოეწეა.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა აფხაზეთის მწე-  
რალთა კავშირის მდივანმა, საქართველოს თე-  
ატრალური საზოგადოების აფხაზეთის განყოფი-  
ლების თავმჯდომარემ გენო კლანდიაშვილმა. მან  
აღნიშნა, რომ ახალგაზრდა დრამატურგთა თათ-  
ბირ-სემინარის სხდომებში გამართვა კარგი წაო-  
წყებაა, და აუცილებელია ქართულ დრამატურ-  
გაზე გაუმართოს სერიოზული საუბარი, რად-  
გან დაგროვდა ბევრი ისეთი საკითხი, რომე-  
ლიც გადაუდებელ გადაქარას მოითხოვს.  
მოსუნება თქმაზე „დრამატურგიის მომავალი“  
წიკითხა მწერალმა გ. ხუბაშვილმა.

გ. ხუბაშვილმა ვრცლად მიმოიხილა ქართუ-  
ლი საბჭოთა დრამატურგთა, ელამარაქა დრა-  
მატურგიისა და მწერლობის, დრამატურგიისა  
და თეატრის ურთიერთობის საკითხებიც. ხაზ-  
გასმით აღნიშნა, რომ ამ უანრში ძნელად  
ჩნდება ანტიტრეუს მხატვრული ინდივიდუა-  
ლობის მქონე მწერლები, თანამედროვე ქართუ-  
ლი დრამატურგთა ეპოქაურად მონაწილეობის  
როგორც ლიტერატურის, ისე თეატრის ცხოვრ-  
ებაში. დრამატურგები ცალ-ცალკე, ერთმანეთი-  
საგან მოწყვეტილად მუშაობენ, ნაკლებად  
იგრძნობა ამ უანრის განვითარების ერთიანი  
ლიტერატურული პროცესი, გამძვინვარება პიე-  
სების როგორც ბეჭდვა, ისე მათი დროული  
დადგმა. თეატრებს ზოგჯერ გაუმართლებელი  
კაპრიზები აქვთ დრამატურგიული მასალის  
მიმართ, ხოლო ლიტერატურული ორგანოებ-  
თავს არიდებენ პიესების ბეჭდვას. ეს ორი  
ფაქტორი თითქმის გადაუჭრელ სინდელემა  
ქმნის, როგორც გამოცდილი. ისე დაწყება  
დრამატურგებისათვის. ამ უანრში მუშაობა აღ-  
ბათ, ამიტომ გარკვეულ ლიტერატურულ რაჟ-  
თან არის დაკავშირებული, ამ რისკზე უველა  
არ მიდის, ამიტომ დრამატურგთა რიცხვი დღე-  
თიდელ მცირდება. დღევანდელი დღე უ დრამა-  
ტული მწერლობის წინაშე აყენებს სერიოზულ  
პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტის გარეშე  
ძნელი წარმოსადგენია, როგორც თანამედროვე  
მწერლობის, ასევე თანამედროვე თეატრის გან-  
ვითარება.

მაქსიმალურად უნდა პოვდოთ, შევქმნაო  
ყოველგვარი პირობა, რათა რაც შეიძლება მე-  
ტი ნიჭიერი ახალგაზრდა მწერალი დავაინტე-  
რესოთ დრამატული მწერლობის ზედ-იღბლით.  
კამათში პირველი გამოვიდა აფხაზეთის მწერალი  
ჭუმა ახუბა. მან ილაპარაკა აფხაზეთის დრამა-



ტურგის ტრადიციებსა და პერსპექტივებზე და სამართლიანად მიიჩნია აფხაზური და ქართული ლიტერატურის დრამატურული ნიმუშების გასაცნობად შეიღრო მთარგმნელობითი ურთიერთობა. ჭეშუა ახუბამ აღნიშნა, რომ აფხაზეთშიც გამოჩნდა ნიჭიერი ახალგაზრდა დრამატურგი ანზორ შუკა, მისი პიესების გაცნობა ქართული თეატრისა და მწერლობისათვის საინტერესო იქნება.

სიახლეების ძიებასა და დრამატულ მწერლობაში შექმნილი სირთულეების შესახებ ილაპარაკა მწერალმა აკაკი გეჯაძემ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახალგაზრდობასა და საშუალო ან ძველ თაობას შორის უფრო მეტი დრო კავშირია საჭირო, რადგან მათ შეუძლიათ ურთიერთზე სასურველი ზემოქმედება იქონიან, ამგვარი ზემოქმედების მოხდენა კი სასარგებლოა როგორც ახალგაზრდა, ისე გამოცდილი მწერლისათვის, რადგან მწერლობა მულდავი შინაგანი ახალგაზრდობის შენარჩუნებაა.

ელშა თაბუაშვილმა აღნიშნა, რომ დღევანდელ ახალგაზრდა მწერალს დიდი სულური შემართება უნდა გააჩნდეს, რათა თანამედროვე დრამატურგიაში იმუშაოს. არ არსებობს რაიმე გარატია არათუ ახალგაზრდა მწერლისათვის, არამედ გამოცდილი მწერლისათვისაც. ყველა-ლემების გაძლეუბულია პიესების დადგმაცა და დაბეჭდვაც. ამიტომ საჭიროა სკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ მაქსიმალურად ავითვისოთ და აუცილებელი პრობლემების გადასაჭრელად გამოვიყენოთ.

გურამ ბათიაშვილმა თავის გამოსვლაში აღნიშნა თანამედროვე დრამატურგის ავტორიტეტისათვის ერთობლივი ზრუნვის აუცილებლობა. მან თქვა, რომ დრამატურგია, უპირველეს ყოვლისა, ლიტერატურის ფაქტია, ამიტომ ის უნდა არსებობდეს მწერლობაში სხვა ფარგლებთან გათანაბრებულ უფლებებში, ხოლო დადგმას თუ არა თეატრი პიესას, ეს სხვა, პრაქტიკული საკითხია. ამიტომ ჩვენ უნდა იბრძობოდეთ დრამატურგის წამდგომ ლიტერატურული დონის შესანარჩუნებლად.

მოსაზრებები თანამედროვე დრამატურგიაზე, თეატრთან მის ურთიერთობაზე გამოთქვეს ჩანი ჩანელიძემ და ბადრი ჭოხნელიძემ.

თათბირში მონაწილეობდნენ სოხუმის ქართული დრამატული თეატრის რეჟისორი დავით ცისკარიშვილი და მახარაძის საბავშვო თეატრის რეჟისორი ვასლ ჩიკვაძე.

რეჟისორთა მოსაწოდებლად თათბირ-სემინარში ბუნებრივად წამოჭრა დრამატურგისა და თეატრის ურთიერთობის მნიშვნელოვანი პრობლემები. დავით ცისკარიშვილმა თქვა, რომ დრამატურგი უნდა ეძებდეს თავის თეატრს და თეატრი უნდა ერთგულედებს დრამატურგს.

აღნიშნა ისიც, რომ ამგვარი შემოქმედებითი კონტაქტები უფოდ ნაყოფის მოძახისა და თანაბრად სასარგებლოა როგორც რეჟისორისათვის, ისევე დრამატურგისათვისაც.


თათბირ-სემინარზე ერთსულოვნად იქნა მოწოდებული ყოველწლიური თათბირ-სემინარის განხორციელება ქ. სოხუმში, ოცნებები წაწარმოების დაშეშვება-გაღრმავების მიზნით. დრამატურგთა მომავალ თათბირ-სემინარზე ასევე მინაწიწნილად იქნა მიჩნეული მომე რეპუბლიკების გამოჩენილი ოსტატების მოწვევა გამოცდილების გაზიარებისა და ლიტერატურული ურთიერთობის გაღრმავების მიზნით.

# ყველაფერი უნდა შეგვეკლოს

„თანამედროვე თეატრი“ პირველი რეპერტუარი გახლავთ. გასოცარია ის უზარმაზარი ნახტომი, რომელსაც განხორციელდა თეატრში სკკ რადაც ოცდახუთიოდ წლის მანძილზე. ვიკონებთ რა ომისშემდგომ სექტაკლებს და ვაღრებთ მათ დღევანდლებს, უნებურად გვაოცებს განხვავება. თუმცა, მათი შედარებაც კი არ შეიძლება. აშუაად თეატრში ბევრი რამ შეიცვალა, და რაც მთავარია, თვით მხატვრული აზროვნების პრინციპიც, რომელიც ნებისაძლებს რეჟისორებსც და დრამატურგებსც გამოიყენონ სტილისტური, უანრლო წყობის თავისუფლება ერთი ნაწარმოების ფარგლებში. თეატრში რადაც მეტი სიახლეთაი იგარდაცა.

მსახიობებსაც არ შეუძლიათ არ იგრძონ ეს კოლოსალური ცვლილებები. აქტიორული ხელოვნება, რასაკვირველია, უფრო საინტერესოა, უფრო მრავალმხრივი გახდა, იგი ახალი სკენური პრინციპებით გამდიდრდა, და, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ბრეტის თეატრალური ესთეტიკით. თუმცა უნიშნებურად ყველაზე მიუკიდებლეს მსცენიერებად მსახიობისათვის სახილავსკის სისტემა რჩება. მასში პროფესიონალიზმის სათავე, მასში ჩამოყალიბებული სამსახიობო შემოქმედების უცვლელი კანონები. მაგრამ მათ არ უნდა მიუღდეთ, როგორც რადაც ურევეს. ისინი მძიარანი არაინ: ძველი იდეების ახალი იდეებით გამდიდრებაში მდგომარეობს შემოქმედების არსი.

ამიტომ მე არ ვგნობ მსახიობთა კლასიციკლის მიმართულებითა და სკოლათა მიხედვით. ეს ხომ სიდატაკე და შუღლდღულთბაა ჩემოაზრით, აშუამდ ეს შემოქმედება ისევე, როგორც მსახიობთა დაყოფა აშლუბს მიხედვით. ააღეთ რომელიმე თანამედროვე დიდი მსახიობი. მის თამაშში თითქმის მიუცოდებლად გადახლართულია კემარტი განცდები და ჩვენის ელემენტები, უღრმის ოსტილოვოგში და აშკარა პრობოთობა. მეტ-ნაკლებად, მაგრამ აშუამდ მსახიობი უნდა ფლადეს ყველაფერს. რა მანერითაც უნდა თამაშობდეს. ყარგი მსახიობი, მუდამ გვეჩრდ მისი, ხოლო აშუად ჩქნის მისა გარეგანი მონახაზი შეიძლება შეიკად ოსციენტრეული იყოს. ყველა ყარგად ნათამაშევი როლის ფესვები ცხოვრებაშია, მაგარი ეს ფე-



სვები მსახიობის „მეობაშია“ გატარებული. დანარჩენი კი ყველაფერი დამოკიდებულია დრამატურგაზე, რეჟისორულ გადაწყვეტაზე; დაბოლოს, უმსრუტავლობის ინდივიდუალობაზე; დატოვის სახეში თავისი ინდივიდუალობის ნაწილი თუ მთლიანად ინდივიდუალის მასში. ჩემი აზრით, აქ არ არსებობს გარკვეული ტენდენციები, ამა თუ იმ მიმართულებით და, რა თქმა უნდა, არც შეიძლება იყოს რაიმე რეცეპტები იმისა, თუ როგორია საქორი და როგორ არაა საქორი. პირადად მე ძალიან მომწონს, როცა შემშილია ვითამაშო ჩემი დამოკიდებულება პერსონაჟისადმი, რაიც სახეს პუბლიცისტურ სიმწვავეს ანიჭებს. მაგრამ ჩემს თავს არავითარი შემთხვევაში „პუბლიცისტ-მსახიობი“ რიცხვს არ ვაყოფებ. და მე გგონია, რომ „მსახიობი-მხატვარი“ და „მსახიობი-პუბლიცისტი“ უნდა ერთ სახედ გაერთიანდეს, ეს უფრო საინტერესოა. ხატოლად, მე არ მაქმეყოფილებს ცალმხრივობა ბელოვებაში. ცალმხრივი ტალანტიც გამოდის ცირკივით: ეს უნდა გგონია, ეს კლოუნია, ეს — მავთულზე მოხარული. ხოლო თანედროვე მსახიობი, თუ კი მას მაინც და მაინც ცირკს შევადარებთ, უნდა იყოს ისეთი, როგორიცაა ოლეგ პოპოვი, უნდა ყველაფერი შექმლოს.

და ამასთანავე მუდამ საკუთარი მეობიდან უნდა გამომდინარებოდეს. ყოველი ადამიანი განუმეორებელია, ყველას თავისი საკუთარი ქეუა, თვალები და უკული აქვს. და ამ საკუთარ ხედვის შენარჩუნება, დამოკიდებულება აზროვნების აღზრდა ყველაზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან ხელოვნებაში საინტერესოა მხოლოდ უნიკალობა. საქორა კიდევ ნერვული სისტემის აღმქმელობის განუდებელი ტრენაჟი, რეაქციის სიმწვავის გამოწვევა. მე არ მესმის იმ აქტიორების, რომლებიც ვულგარული არიან გარემოსადმი. ეს გამოვტოვებ ხალხია! მათ ცოტა რამ აღუდებთ ცხოველებაში ხოლო ყველაზე ნაკლებად — თავიანთ მოძქეთა მუშაობა. ზის ასეთი მსახიობი სექტატულზე, დარბაზში იცინიან, განიცდიან, — ის კი ზის მუშაობით, ისეთი გამოძევებული, თითქმის ამბოხებს: — ვიცი, როგორ ქვდება ეგ! თუ ადამიანს არაფერი არ იტყობს, მან როგორ უნდა გაიტაცოს სხვები? აქტიორული ხელოვნება კი გატაცების გარეშე არ არსებობს.


თუმცა, აქ პროფესიული ცინიზმიც გამოსქვივის. დიან, ძნელია ყოველ სადამოს სცენაზე გამოსვლა და გულის გადაშლა, ბოლოს და ბოლოს ეს ჩვეულებრივ მუშაობად ხდება და საქორა ყოველნაირად ეცდები, რათა არ დაქვედნდარი ყოველდღიურ უფარყოლობას. მსახიობი ვალდებულია ცხოვრების ორმოტრიალში შეინარჩუნოს თეატრისადმი შინაგანი პატივისცემა, თუ გნებავთ მოწონებაც კი ეს ვლინდება არა მთავარადგან სიტყვებში, არამედ სრულიად შეუმჩნეველად — დისციპლინაში, თავის საქმისადმი კეთილსინდისიერ დამოკიდებულებაში. სწორედ ამაშია, ჩემი აზრით, პროფესიონალიზმის უმადლოესი გამოვლინება.

რაც შეეხება აქტიორულ პროფესიონალიზმს ვიწრო პრაქტიკული გაგებით, აშკარაა, რომ მისი საშუალო დონე უფრო მაღალი გახდა. ახლა აქტიორი ბევრად უფრო აქტიური, მოქნილი და მრავალმხრივია. და მართლაც, აქტიორები გამოდიან არა მარტო თეატრის სხვადასხვა უანრში, არამედ მოერგნენ კინოსაც, რადიოსაც, ტელევიზიასაც. აქვე უნდა აღვნიშნო,

რომ ხშირად გვისაყვედურებენ — ფუნქციონალურად, დარბიხარი ხან გადაღებაზე, ხან წმის ჩაწერაზე, ხან დუბლირებაზე და თანაგრძობაზე ტკალისათვის კი განწყობილებიან შექმნას ვერასრულობა. მაგრამ რას ნიშნავს განწყობილებიან შექმნა? დაქვე, თავზე ხელები შემოიღო და ქერის მიახტურებ? ალბათ, ეს სხვაინარად ხდება. თუ იცი, რომ სადამოვე სექტატული გაქვს, მაშინ მთელი დღის განმავლობაში მომზადება ხშირად ქვეცნობიერად მიმდინარეობს ამ სექტატულისათვის. დროა და დრო ახმევე შენს თავს, რომ რომელიღაც სცენის შესახებ ფიქრო, შინაგანად მის გათამაშებას ახდენ. ხოლო სექტატულის დაწყებამდე ერთი საათით ადრე, უკვე თეატრში მყოფი, სავსებით განწყობილი ხარ სცენაზე გამოსასვლელად. მაგრამ საშინელება ისაა, თუ ხუთი წუთის წინ სექტატულის დაწყებამდე ვეცდებიან, რომ ამ სექტატულის მაგერი სხვა სექტატულები უნდა თიამაშო! მე არ მესმის იმ მსახიობებისა, რომელთაც ერთი დღის დასვენება სჭირდებათ სექტატულის წინ. რას აყოფებ ისინი ამ დროს — სერისონებს, რაღაც განსაკუთრებულად სუნთქვენ თუ სძინებთ? არ ვიცი. მე გგონია, მსახიობს ერთი საათის დასვენება უნდა მაკონცედა, — ყველ შემთხვევაში, თავი უნდა მივაჩვიოთ ამას.

აღვნიშნე რა აქტიორული პროფესიონალიზმის ამაღლება, აქვე უნდა ვაღიარო, ისაც, რომ საერთო დონე ყველაფერი როდია. ჩვენს საქმეში მთავარია არა საშუალება თუნდაც მაღალი დონისა, — არამედ აქტიორული ინდივიდუალობა, განსაკუთრებულობა. სასურველია, რომ სცენაზე რაც შეიძლება მეტი იყოს განუმეორებელი, თავისი პიროვნების მიზიდველობით დამატკვევებელი მსახიობი. ალბათ, სწორედ ასეთ მსახიობებს გულისხმობს თანამედროვე რეჟისორული თეატრი, სადაც გამობავის ყველა საშუალებათა მკაცრ შერწყვაში მკაფიოდ და ნათლად ისახება შემსრულებელი — ვინაიდან უმსახიობოდ გენიალური რეჟისორული გადაწყვეტაც კი არავითარ, უტოლა! სიცოცხლის მთავრება სექტატულისადმი, მაყურებელამდე ჩანაფიქრის მშვენიერების და მრავალწახნაგვანების მიტანა მხოლოდ სასწორთაშუაში შეუძლია. ამგვამდ რეჟისურა დიდ მოთხოვნებს უყენებს მსახიობს, რთულ და სერიოზულ ამოცანებს უსახავს. რეჟისორის თეატრი პიროვნების ნიველირების საფრთხეს შეიცავს, თუმცა, მთავრე მხრივ, იგი სწორედ პიროვნების იმედითაა. იმისათვის, რომ სახე არ დაქარგოს, მსახიობს მართებს იყოს პრა მარტო უბრალო შემსრულებელი და ავიტოს ის, რასაც ეტყვიან. არამედ თავისი საკუთარი მეობაც შეინარჩუნოს. ეს ხელს უწყობს აქტიორის აღზრდას, აიძულებს მას რეჟისურის განვითარების ტემპებს არ ჩამორჩეს.

აქტიორის პროფესიაში სულ უფრო დიდ როლს იქნის საერთო და მხატვრული კულტურა. ფართო ერულაცია, ხელოვნების სხვა დარგებთან დაახლოება, მაგრამ, ჩემი აზრით, აქაც ყველაფერი შესს პიროვნებაში უნდა გატარდეს, რათა სხვების ხელოვნება შენც გადკლებდეს. რაღაც ასოციაციებს გიღვიძებდეს. ცოდნა, რომელიც მხოლოდ თავში ილექება, მკვდა-ლი ტვირთია. მსახიობს არ სჭირდება ცივი გონებრიობა, მარტო გონებით ნაშობი ხელოვნება არ გავლავებს. შეიძლება გამოვიგონოთ როლისათვის არჩვეულებრივად საინტერესო რამ. თავს მოვახვეთ მას „ფილოსოფიური ფენები“,



ყოველგვარი ინტერკლასობრივი, მაგრამ აქტიურულ საქმეში ეს ჭრტ კიდევ არაფერს ნიშნავს. საკითხი მდგომარეობს იმაში, თუ როგორ გამოვსახოთ მთელი ჩანაფაქრი. ნებისმიერი ეკონომიკური ფილოსოფიური მხარელობა შენობობა სანის ბუშაღა იქცეს; თუ შინაგანად ვერ შეივარდნენ შინი გმირი, თუ იგი არ დაიბადა შინი მძლეობიდან და სიხარულიდან. ცარქმოდან და ტაქტიკიდან, — მაშინ ვერაფერი კეთილშობილური იღვა ვერ გაცოცხლებს პერსონაჟს, — იგი უსიცოცხლო მანეკანად დარჩება.

ყოველი რომი დასაბამს უნდა იღებდეს თავში კი არა, არემდე სულში, — და მასზე მუშაობა უნდა იწყებოდეს გატაცებითა და სიხარულით. ზოგი მსახიობი კი ათას რამეს მოიგონებს და მოიფანტავს, უცებ მთელ ტონას დაუარს თავზე, ხვეშის, ოფლში იწურება და მერე უკვე იწყებს განცვირთვას. და რბატიციების გავლით შეიდანს სექტატკაში უკვე საბოლოოდ ქანცამოდებული, ამა რა შემოქმედების სიხარულზე შეიძლება აქ ლაპარაკი. არ შეიძლება რომელ მუშაობას დაძაბული-დაქაშული მუშად, — წელს მოიწყვეტ. ფიგურირადად რომ ვთქვათ, ჭრტ უნდა კოლოგრაფი ასწიო და შემდეგ თანდათან უმატო. მე მგონია, რომ აქტიორი, რომელმაც ზედმეტად იმუშავა რომელი, არ უნდა გამოდიოდეს სცენაზე, ვინაიდან იგი იმ მევილინის მგავს, რომელსაც ზედმეტი დაცვირის გამო ხელი გადაედება, ვერც ერთი და ვერც მეორე ვირტუოზული დერ იხელოვდება. ნაწევრებად გაყოფებული როლი, გარეგნულად რომ გამოიყურებოდეს, უსიცოცხლო შინაგანად მას არ ძალუბს აგვაღივოს და გავგაცაცოს. ყველაფერი. რაც ნიკიტრია, ერთი ამსუხუთქითაა შექმნილი და ამიტომ არის მწველი და ცეცხლოვანი.

მე სრულიად ვარ მივსალბები იოლ დამოკიდებულებას საქმისადმი, უბრალოდ, ჩემი გამოცდილებიდან ვიცი, რომ შემოქმედება იბადება სიხარულიდან, როცა თეატრში მოვდივარ, რეპტიკაზე თუ სექტატკაზე, ვცდილობ თავიდან გავდევნო ყოველგვარი უსიამოვნება. მუშაობის დაწყების წინ თავს უნდა ბედნიერად, ჯანმრთელად და დასვენებულად ვგრძნობდე. თუ ზემოთხსენებულიდან რაიმე მაკლია — მუშაობა მიმძიმს.

შემოქმედებითა სიხარული საქაროა შევასწავლით ახალგაზრდებსაც. ჩვეც კი, ჩემი აზრით, ვაშინებთ მათ. დღე მომავლმა მსახიობებმა პირველ კურსიდანვე უფრო თამამად იმუშაონ, სცადონ, უფრო რთულ როლებს მოკიდონ ხელი. იმას მნიშვნელობა არა აქვს, რომ ეს იქნება ჭრტრობით არასრულყოფილი ქმნილობანი, სამაგიეროდ ეს დაეხმარება ახალგაზრდებს განვითაროს შეგრძენის უნარი. გამოიმუშაოს საკუთარი შეხედულება საგნებსა და მოვლენებისადმი, შეიცნოს თავის შესაძლებლობათა ფასი. თორემ ახალგაზრდებს ბავშვობიდანვე უნერგავენ შიშსა და ძრწოლას „ოცნოს“, „პამლეტის“, „რიჩარდის“ სახელებისადმი, თითქოს ამ როლების თამაშია ძნელი, სხვა როლების კი ადვილი. ყველაფრას კარგად თამაში ძნელია, განსაკუთრებით სუსტად დაწერილი როლები, რადგან ისინი ჭრტ უნდა მწერ როლებად ვაქციონ, ავტორის მაგიერ უნდა სრულყოფილ და შემდეგ უკვე კარგად ვითამაშონ. სამწუხაროდ, თეატრში ზოგ-

ჯერ სხვადასხვაგვარად ეცილებიან კლასიკური და თანამედროვე პიესების დადგმას. თუ გულს მოკიდებენ შენისარს, ხდება ყველას მისობი. ზაცია — რეჟისორის, მხატვრის, მსახიობებისა, — ყველანი იწვიან, გატაცებით ფანტაზიორბენ, კამათობენ, ებიებენ. ზოგი პიესა კი სწორად გარდამავალ პიესად ითვლება, მასზე უხალისოდ მუშაობენ და გამოდის სექტატკალი „გეგმისათვის“. არაა თეატრში იოლი სამუშაო, არაა იოლი როლები, არის „ოლი“ ანუ არაპროფესიული დამოკიდებულება. ახარგია, რომ ასეთი „ოლი“ არ შენოს ახალგაზრდობის ისინი ყოველ როლს აწაუდებდნენ ისე, როგორც პამლეტს. შეზოქილობა და შიში უნდა მოვიშოროთ თავიდან, უნდა გავწვდევნოთ შიშს, თუმც, რა თქმა უნდა, მთლად არა, თორემ სცენაზე ავსია თავხედები დაიწყებენ გამოვლას. მდგომარება აუცილებლად უნდა დარჩეს, — შიში კი არა. თორემ ზოგჯერ უფრო ახალგაზრდა აქტიორის და გცოდება, — იგი ისეა გზობილი შიშით, რომ ძლივს ამბობს სიტყვას. კიდევ ერთი რამ, რასაც ახალგაზრდობაზე ჩამოვარდა ლაპარაკი. ყველა იმას გაიანბინა, რომ მსახიობმა უნდა აიმალოს კულტურის დონე, ერუდელია. და მომავალი მსახიობები სწავლება წლებში მართლაც ბევრ რამეს ასწრებენ. დელაპარაკები ახალგაზრდებს და ყველაფერი ციან — ვინ, როდის და როგორ ითამაშა პამლეტი, რა ხასიათისაა უხალისი ლიტერატურა და დრამატურგია, რა ფილოსოფიური მიმდინარეობანი არსებობს. მოყუდე, ნამდვილი ბრძენები არიან! მაგრამ აი გამოდის სცენაზე ზოგი მათგანი და ამ სიხარების შინა-წყაუდად აღარ არება. მეტად სასურველია, რომ ახალგაზრდები იყენებენ არა მარტო ერუდიტები, არამედ თვითმყოფად, მკეთრად გამოსახული ინდივიდუალობის მქონე ადამიანებიც, რათა სცენაზე გამოვლანას ხადლაც ამოიხუთულ განმარტებებსა და ინტერპრეტაციებს კი არ ეფარებოდნენ, არამედ აოცებდნენ მაყურებელს შეხედულების სიხალისით, ზროვნების ორიგინალობით, ფანტაზიის გაქანებით, მსუბუქი და თავისუფალი იმპროვიზაციის უნარით.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, თუ საკუთარ თავში არ აღვზარდეთ და არ შევიწარმნეთ ინდივიდუალური საწყისი, ის, რაც შეადგენს პიროვნებას. ზოგჯერ ჩვენ მეტისმეტად უფურადღებონი ვართ მსახიობის, განსაკუთრებით ახალგაზრდა მსახიობის, თავისებური ნიქისადმი. ეხლა ხომ იშვიათად დგამენ სექტატკას აქტიორისათვის. მე, რა თქმა უნდა, არა ვარ, იმის მომხრე, რომ ვებრძოლოთ რეჟისორის კონცეპტუალურ თეატრს და ფართო გასაქანი მივცეთ აქტიორულ, ხშირად მართლაცდა ეკონიტურ სურტივებს. მაგრამ იმის მომხრე კი ვარ, რომ მსახიობს უფურადღებო როგორც მხატვრულ თვითღირებულებას! ასეთი დამოკიდებულება სექტატკას უფრო ღრმას და ორიგინალურს გახსნის.

ქურნალი „ტეატრი“, № 4, 1977 წ.



# თეატრალური ინსტიტუტი

15 მარტს ტელესარტისსორო ფაკულტეტის V კურსის სტუდენტმა გოგი თოდაძემ კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრში წარმოადგინა სადიპლომო სპექტაკლი „ეწოში ავი ძალია“.

20 მარტს წარმოდგენილი იქნა სამსახიობო ფაკულტეტის (მუსკომედის განყოფილება) IV კურსის საკურსო და V კურსის სადიპლომო სპექტაკლი — „ჩვენი მასკარადი ღამურა ანუ როგორც ვნებათი“, ჭგუფის ხელმძღვანელი დარეჟისორია ტ. ბუხნიანერი.

21 მარტს ინსტიტუტის კოლექტივმა მოუწყო შეხვედრა გორის გ. ერისთავის სახ. სახელმწიფო დრამატულ თეატრში შომუშვეც თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულებს. ნაჩვენები იქნება დ. კლდიაშვილის „უბედურება“ და „მხვერვალი“. სიტყვეთი გამოვიდნენ ინსტიტუტის პრორექტორი დოც. ვ. კიკნაძე და პროფესორი დ. ჭანელიძე. სტუდენტებმა თაიგულები მიართვეს მსახიობებს. თეატრის მთავარმა რეჟისორმა ხელ. დამსახურებულმა მოღვაწემ ი. კაკულიამ მადლობა გადაიხადა გულთბილი შეხვედრისათვის.

25 აპრილს შედგა თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოსთან არსებული კულტურის უნივერსიტეტის მორიგი მცადონიება.

უნივერსიტეტის მსმენელებმა შეხვედრა მოუწვეს რეჟისორ ირ. კვიციანიის ახალი ქართული მხატვრული ფილმის — „ქალი იან არა“ გადაღებ კოლექტივს. შესავალი სიტყვით გამოვიდა უნივერსიტეტის პრორექტორი დოც. შ. გოგიძე. ფილმის შესახებ ისაუბრა კინო-მცოდნე ირ. კუჭუხიძემ. ფილმის ჩვენების შემდეგ მსმენელთა მრავალ შეკითხვაზე უპასუხა რეჟისორმა და მსახიობმა რ. ესაძემ.

26 აპრილს ჩატარდა სახმატვრო აკადემიის კონსერვატორიისა და თეატრალური ინსტიტუტის თეორიული კონფერენცია თემაზე — „ხელოვნების ახალგაზრდა კადრების იდუარ და პროფესიულ აღზრდში ქალაქ თბილისის შემოქმედებით უმაღლესი სასწავლებლების როლია და ამოცანების შესახებ“. სპეც ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით „შემოქმედების ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ“ შეუქმ.

12 აპრილს შედგა თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოსთან არსებული კულტურის უნივერსიტეტის მორიგი მცადონიება. უნივერსიტეტის მსმენელებმა შეხვედრა მოუწვეს რეჟისორ რ. სტურუას სპექტაკლ „კავკასიური ცარცის წრეში“ მონაწილე მსახიობებს: შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის რექტორმა პროფ. ე. გუგუშვილმა. სპექტაკლის შესახებ ისაუბრეს თეატრმცოდნეებმა დ. მუხომეძემ და ვ. ქართველიშვილმა, მსახიობმა ჯ. ლალანიძემ.

15 აპრილს ნაჩვენები იქნა კინოსამსახიობო ფაკულტეტის III კურსის სპექტაკლი — მ. გაფარიძის „ჩვენებურები“. რეჟისორი თ. მესხი.

18 აპრილს მეტეხის ახალგაზრდული თეატრის სცენაზე წარმოდგენილი იქნა სამსახიობო ფაკულტეტის I კურსის IV ჭგუფის სტუდენტთა ნაშრომები „ერთი ღამის ღამა“.

28 აპრილს ჩატარდა კონსერვის მხატვრული კითხვაში თემაზე: — „პარტია, ლენინი, რექტორები“.

I ადგილი დაიკავეს მ. კუჭუხიძემ და მ. ვაშაქიძემ.

II ადგილი დაიკავეს მ. ბერიკაშვილმა, ნ. მაისურაძემ, ნ. ქანკვეტაძემ.

III ადგილი დაიკავეს ა. დუღაძემ, ა. სახამაძემ, ი. ნივარაძემ, გ. თოთბერიძემ.

25-24 აპრილს გაიმართა პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო სესია, მიმდინილი დღი რექტორების 60 წლისთავისადმი.

30 აპრილს გაიმართა „დაი კარების დღე“. ინსტიტუტის სპეციალისტთა და იმ მუშაობის შესახებ, რომელიც აქ ტარდება ისაუბრეს პრორექტორმა, დოც. ვ. კიკნაძემ, დოც. ბ. ნიკოლაიშვილმა და კინომოდელ ლ. თაბუკაშვილმა.

31 მაისს კინოს სახლმა ჩატარა ინსტიტუტის კინოსარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტთა საკურსო ფილმების ჩვენება (კურსის ხელმძღვანელი სპეც. სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწე ლანა ლოდობერიძემ). ნაჩვენები იქნა რ. ლორთქიფანიძის „ფაცურა“, მ. გორჯაძის „გარდატეხვა“, ა. ქიაურელის „კვირა დღე“, ნ. მოძაძის „თუ და არა თუ რა“, ი. კვაჭავაძის „არქიტექტორები“, გ. ჩოხენაძის „ადგილის დედა“ და „სიტყვა კეთილ ადამიანებზე“, გ. დანიას „ფლოტა“, მ. ხონელიძის „პატარა შეგობრები“, გ. პეტრიაშვილის „კატუსი“.

12 მაისს წარმოდგენილი იქნა სამსახიობო ფაკულტეტის III კურსის XV ჭგუფის საკურსო სპექტაკლი — ევგ. შვაციის „ჩრდილი“. კურსის ხელმძღვანელი მასწავ. გ. ანთაძე.

12 მაისს დუშეთის რაიონის კულტურის სახლში ნაჩვენები იქნა სამსახიობო ფაკულტეტის IV კურსის XXI ჭგუფის სადიპლომო სპექტაკლი, ვუა-ფშველას „მოკეთილი“ (რეჟისორ-პედაგოგი ნ. გაჩავა). და კინო-სარეჟისორო ფაკულტეტის საკურსო ფილმები.

29 მაისს ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრში მოეწყო ინსტიტუტის კურსდამთავრებულ ახალგაზრდა მსახიობებთან შეხვედრა, განხილული იქნა მათი შემოქმედება. მოხსენებები წაიკითხეს ინსტიტუტის პრორექტორმა დოც. ვ. კიკნაძემ და თეატრმცოდნე ნ. შვანიტაძემ.

30 მაისს ინსტიტუტის ახალგაზრდობას თავის დიდ გამოცდილებაზე უსაბუთო სსრ სახლობ არტისტი ა. ვასაძე.

30 მაისს ინსტიტუტში პარტელად შედგა დაცვა ხელოვნებაში ცოდნეობის კანდიდატის სამეცნიერო წარისხის მოსაპოვებლად. დასტურტაცია თემაზე: „დაავით თყარაძის რეკლუციური თეატრი (1920-30 წწ.)“ დაცვა ლგოველმა თეატრმცოდნე ნ. არსენიუკმა.

I 0351ს ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭომ გამართა სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა შემოქმედების ფსიქოლოგიის თანამედროვე ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკას. მოხსენებები წაიკითხეს გ. მჭედლიშვილმა, ზ. ევანიაშვილმა, მ. ჩიგოვიძემ, მ. ონაშვილმა, თ. თოფურაძემ, თ. ზაქარეიშვილმა, ქ. ნადარეიშვილმა.

მერი ტორაძე



საქართველოს  
წიგნითმწიფის  
კავშირის

## მიხეილ იარაღის ხსოვნას



მართული თეატრალური ხელოვნების მოღვაწეთა რიგებს გამოაქვდა მსახიობი და რეჟისორი მიხეილ ბოგდანის ძე იარაღი.

მიხეილ იარაღი დაიბადა სიღნაღში. ჭირ ქედვ საშუალო სასწავლებელში სწავლის დროს იყო გატაცებული თეატრალური ხელოვნებით, ეს გატაცება საბოლოოდ განუმტკიცდა სიღნაღში დიდი ქართველი მსახიობის ლადო მესხიშვილის გამოჩენის შემდეგ.

1920 წელს ქართული თეატრის ცნობილი მსახიობის ნიკო გვარამის ინიციატივით სიღნაღს საგასტროლოდ ეწვია ლადო მესხიშვილი. ერთ-ერთი წარმოდგენის დროს ნ. გვარამემ მიხეილ იარაღს ფარდის გახსნა დაავალა, მიხეილმა დაავალბა ზუსტად შეასრულა. მერე მსახიობებს ეხმარებოდა, ეს გარემოება ლადოს მხედველობიდან არ გამოიჩინა და გვარამეს პიქოსა: — ვინ არის ეს ყმაწვილი?

— ოო, ეს აქაური სცენისმოყვარეა... გუშინ რომ სასკოლო წარმოდგენაში მთავარ როლს ასრულებდა, ეს იყო, მაგის ხელმძღვანელობით არის დადგმული!

ლადო მესხიშვილმა მიხ. იარაღი მოიხმო, თავზე ხელი გადაუსვა და თან ღიმილით დასძინა. — შენ, ქაჯან, კარგი მსახიობი გამოხვალ, მაგრამ ბეგითად უნდა იმუშაო, თუ გინდა, რომ ნამდვილი თეატრალი გახდე!..

დიდი ხელოვანის ამ სიტყვებმა მიხ. იარაღი აღაფრთოვანა. ამის შემდეგ მოხდენება დაკარგა, დღედაღამ სულ თეატრზე და მსახიობობაზე ფიქრობდა.

მიხეილის მოღვაწეობა დაიწყო, იმით რომ სიღნაღის ბაღში რომელიც იმხანად საზაფხულო თეატრის წარმოდგენდა, მოწაფეთა საღამო-საღამაობა გამართა.

1922 წელს სამუშაოდ ლაგოდეხში გადადის, იქ სახალხო თეატრის ხელმძღვანელობა აღ. ჯაყელმა მამინე თეატრში მიიწვია და ცვაკარლის „ლევის ქალი გულგაჯარვი“ რამაზის როლის შესრულება დააკისრა.

1923 წელს ისევ სიღნაღს უბრუნდება და ადგილობრივ თეატრში იწყებს მუშაობას. მანვე წლის დამლევს თეატრალური ხელოვნებით გატაცებული ახალგაზრდა თბილისში ჩამოდის სასწავლებლად. თეატრალურ სტუდიაში სწავლის დროს მონაწილეობს რეჟისორ ვ. გარაკის მიერ დადგმულ საქტიკეტებში, რომლებიც მუშათა წითელ თეატრში მიდიოდა. აქ იგი ყურადღებამ იქცევს უღაო ზოკიერებით.

მაგრამ მიხ. იარაღის მოწოდება მაინც რეჟისორობა იყო. 1926 წელს, როგორც კი სტუდია დაამთავრა, სიღნაღში სათავეში ჩაუდგა ადგილობრივ თეატრს. ირგვლივ სიღნაღელი

ახალგაზრდები შემოიკრიბა და შეუდგა წარმოდგენების რეგულარულად დადგმას. ამ დღეებში თვითონ მთავარ როლებსაც ასრულებდა.

ამ ხანებში განახორციელა ტრ. რამიშვილის „გაქირვების ტალყვისი“, შ. დადიანის „გემბეჟიკორი“, ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“, უ. მაჭიბეგოვის „არმინ-მალ-ლანი“ და შრ. სხვა.

1927 წელს მანწარულში მანწვეულ იქნა თეატრის თეატრის რეჟისორად.

1929—1941 წლებში მუშაობს ლაგოდეხის, სიღნაღის, ყვარლის, წითელწყაროს, საგარეჯოს თეატრებში. შემდეგ მუშაობა უხდება ხულოს, ქობულეთის, ონის, გურჯაანისა და ველისციხის თეატრებში.

სამკოთა ხალხის დიდი სამამულო ომისა და მომდევნო წლებში მ. იარაღი ხელმძღვანელობს სიღნაღის თეატრს, 1958 წლიდან კი თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის თეატრალური კოლექტივის ხელმძღვანელი იყო, სადაც პენსიაზე გასვლამდე ააგრეთი საინტერესო დადგმა განახორციელა.

მიხეილ იარაღს თავისი სათეატრო მუშაობის 50 წლის მანძილზე შეუსრულებია ასზე მეტი როლი და დაუდგამს ას ორმოცდაათამდე პიესა. მათ შორის შაღერის „ყმაღები“, ლოკ დე ვეგას „ცხვრის წყარო“, პ. კაქაბაძის „ყვარე ვარე თუთაბერი“, აკოლქუერის კორწინება“, შ. დადიანის „გემბეჟიკორი“, ს. შანშაშვილის „ანზორი“, „არსენა“, ბ. ლავრენციის „რღვევა“, აღ. კორნეჩოვის „პლატონ კრემტი“, ა. ცაკარლის „ხანუმა“, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, ი. მოსაშვილის „სადგურის უფროსი“ და სხვა.

1972 წელს გამოაქვეყნა შრომა „სიღნაღის სახალხო თეატრი“.

მიხეილ იარაღი იმ უჩინარ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელნიც უმხაუროდ, მთელი გატაცებით ემსახურებიან თეატრალურ ხელოვნებას და მადლიერი მავურების გულწრფელ სიყვარულს იმსახურებენ.

ნიკო კაპლიშვილი

# პრიტიკოსის ორი წიგნი

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება მომავალი თაობის ესთეტიკურ აღზრდას. იმ პრინციპების ჩამოყალიბებას და განალიზებას, რაც უნდა ახასიათებდეს ჩვენი საზოგადოების ღირსეულ წევრს, მრავალმხრივ განვითარებულს და პარზონალულ ადამიანს. სწორედ ასეთ კეთილშობილ მიზნს უმსახურება გვიპარაბამის წიგნი „მშენებლობა — ესთეტიკური აღზრდის საფუძველი“, რომელიც „განათლებამ“ გამოსცა (რედაქტორი მ. ძიმიტარაშვილი).

წამრბი, უპირველეს ყოვლისა, ინტერესს იწვევს თავისი თემატიკით. მასში მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის საფუძველზე დაურდნობით მშენებლობა განალოზრებულია, როგორც ესთეტიკური აღზრდის უმნიშვნელოვანესი ასპექტი.

წიგნი საში ძირითადი თავისაგან შედგება: „ესთეტიკა და მისი ძირითადი კატეგორია — მშენებლობა“, „განათლებლისეული სამყარო და მშენებლობა“ და „მშენებლობა და ხელოვნება“. ეს თავები კი რამდენიმე ქვეთავებად იყოფა, რომელთა მიზანია, რაც შეიძლება კონკრეტული განადოს ავტორისეული მსჯელობა.

სარეკენიო წიგნის უდავოდ ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ავტორი ერიდება განყენებულ მსჯელობებს მშენებლობასა და ესთეტიკურ აღზრდაზე და ესთეტიკის ამ ძველისეველ, სადავოსა და მუდამ აქტუალურ პრობლემებს განიხილავს სინაღდლისეთან, ადამიანის იდეური და სოციალური ზრდის პროცესთან ცოცხალ და უშუალო კონტაქტში. საგულისხმოა, რომ სწორედ ამავე განსაზღვრა მართობის პოლემიკური ხასიათი — ქვემარბიტების ობიექტური ძიებისათვის ავტორი ზოგჯერ თითქმის საყოფიერ თავსაც კი ეკმათება და ამდენად, ზოგი რამ შემდგომ სრულყოფასა და აღგვიწა-დაზუსტების მოითხოვს.

გ. ბარამიძის წიგნი, რომელიც უხვად დარაციონალურად არის გამოყენებული საბჭოთა და უცხოელი ავტორების ესთეტიკური ნაწარევი, ნამდვილად დიდ ნაშარბებს გაუწევს ესთეტიკის საკითხებით დიფერენსებულ ფართო საზოგადოებას. განსაკუთრებით სტუდენტებსა და საერთოდ, მოსწავლე ახალგაზრდობას.

ამ წიგნში დასმულ პრობლემურ საკითხებს ეხმაინება და რამდენაღმე აფართობს და აღრმავებს გვი ბარამიძის მეორე ნაწარბში, რომელიც ახლახან მიაწადა მკითხველს გამომცემლობა „ხელოვნებაში“ — „სცენისა და ეკრანის მოზარა“ (გამომცემლობის რედაქტორი მ. მჭედლიშვილი). მასში შესულია ავტორის სტატიკი თეატრის, მუსიკისა და კინოს საკითხებზე.

დამახასიათებელია, რომ გვი ბარამიძე სულცარ იყვარება მარტო ქართული თეატრით. აქრედილ და საინტერესო საუბარია ავტორის რუსული დრამატურბრის კლასიკოს ალექსანდრე

ოსტროვსკიზე, მოსკოვის მინიატურების თეატრზე. ეს თემატური მრავალფეროვნება მარტო თეატრის განყოფილებაზე როდი ითქმის, არცე მასშტაბურად არის წარმოდგენილწიგნის ნოხელოვნებაზე, თანამედროვე ქართული კინემატოგრაფიის მწვეველ საკითხებთან ერთად მკითხველი გაეცნობა საყოფადღეო სტატიებს ალექსანდრე დივენიცკოსა და მიხეილ შოლოხოვზე, სოფი ლორენსა და უერარ ფილიპზე, ბულგარულ კინემატოგრაფიაზე და ა. შ.

წიგნში წარმოდგენილია რეცენზიები მ. რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლზე „საბრალდებო დასცენა“, მარჩანისეულითა სპექტაკლზე „მოსაბართლე“, ისტორიულ ასპექტში განხილული თუ როგორ ასისა ნორჩი თაობის ცხოვრება ქართულ სცენაზე, განათლებულთა ცნობილი თეატრალური მხატვრების დ. თავაძისა და კ. კუკუციაძის შემოქმედება, აქვეა საუბარი „ვეფხისტყაოსნის“ აკაი ფაღავსეულ ინცენირებაზე.

ცხოველ ინტერესს იმსახურებენ სტატიებია, რომლებიც ქართული თეატრის ისტორიის საკითხებს ეხება. ეცენია: „კოტე მარჩანისეულის ესთეტიკური შეხედულებანი“, განსაკუთრებით კი „ივანე მაჩაბელი და ქართული თეატრა“. ავტორი სამართლიანად შენიშნავს, რომ ივანე მაჩაბელი მარტო კარგი მთარგმნელი როლი შექსპირისს, ამავე დროს იგი მისი უდღესი რეტრატორიც იყო. „შექსპირის სწორუპოვარი შესრულება შეუძლებელია, — მიუთითებდა ივანე მაჩაბელი. — თუ აღმსრულებელს არ ახლავს მშადვირი, მადლიანი და გაბრწუნებულ ტემპერამენტი. მართალია, შექსპირს სჭირდება დიდი შესწავლა, დიდი სულიერი გაუქრობელი ცცხბლი, გაუნელებელი ცახცახი, წვაგულიანი, დაუსრულებელი უტყუარების მოლოდინი და შიში... მარტო უზრთა ვარჯიში, ხელოვნური ტრაფატიკონი გაზომილს და გათვალისწინებულის ტექნიკით, ღმარწი ფორმებით ნამდვილ შექსპირის ვერ მოცემს არტისტს“.

გ. ბარამიძის მაჩაბლისეული სხვა საინტერესო ნაწარევიც მოაქვს თეატრის საკითხებზე და სამართლიანად დასაცენის, რომ ივანე მაჩაბლის თეატრალური შეხედულებანი დღესაც საყოფადღეობა და საგანგებო მონოგრაფიულ შრომას მოითხოვს.

ვიმეორებთ, ეს შენიშვნა სახელობის სამართლიანია და რაკი საკითხი დასვა, ეგებ თვით ავტორმა მოჰკიდოს ხელი ასეთი მონოგრაფიის შექმნას. ეს ხომ მისი, როგორც თეატრმცოდნის, სასაოპონო მოვალეობაა, მოვალეობა, რომელსაც ზემოთი მიმოხილული საინტერესო ნაწარომების ავტორი ნამდვილად ღორსეულად გაართმევდა თავს.

რაკი ესთეტიკაზე ვსაუბრობთ, ეგებ ისიც აღგვენიშნა, რომ ორივე წიგნი, როგორც პოლიგრაფიული ერთეული, სასაოპონო შთაბეჭდილებას ტოვებს, ეს კი ერთხელ კიდევ მოგვინშნებს რაოდენ ამაღლდა ჩვენი გამოცემლობის პროფესიული დონე ამ მხრივ. მხოლოდ აღვლი წარმოსადგენია ავტორის, რედაქტორისა და საერთოდ გამომცემლობის სანაწილო ერთერთ მათგანში („სცენისა და ეკრანის თეატრა“) ილუსტრაციების, უფრო უხვებად, წარწერების არევის გამო. ცხადია, ეს შესებური, ეგერფორდებული, ტექნიკური წუნია და ჩვენც ამიტომ მივანიშნებთ, რომ ეგებ მკითხველმაც გაითვალისწინოს ეს გარემოება.

გიორგი დოლიძე



**შ ი ნ ა ა რ ს ი**

ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუცია . . . . . 3  
 მუხისა და შრომის ერთობა . . . . . 5  
 მიქძღვნა დიად იუბილეს . . . . . 10  
**შამში ბადალბეილი** — დიადი ოქტომბერი და აზერბაიჯანული  
 თეატრი . . . . . 10  
 ახალგაზრდობა — იმედი ხეალის . . . . . 14  
 მანანა კორძაია — „მთვარის მოტაცება“ დიდი თეატრის სცენაზე 19

**რასუპულიძის თეატრალურ აზიზასთან**

მანანა ამაშუკელი — „ეზოში ავი ძაღლია“ . . . . . 22  
 შერაბ გეგია — „სამოთხის ვაშლები“ . . . . . 24  
 რამაჰ კუპრავა — სიმართლისა და ადამიანურობის დამკვიდრე-  
 ბისათვის . . . . . 27  
 რუსთაყის თეატრის ორი სპექტაკლი  
 ლამარა ღონდაძე — „რევიზორი“ . . . . . 28  
 მზია ხეთაგური — „ცილინდრი“ . . . . . 31  
 ციხანა კუხიანიძე — ორი სპექტაკლის მხატვრული გაფორმება 34

**გულახდილი საუბარი**

გურამ ბათიაშვილი — მოვილაპარაკოთ ანშლავის თაობაზე . 36

**ჩვენი იუბილარები**

ნათელა ლაშხია — ქართული თეატრის მემკვიდრე . . . . . 39  
 ვაჟა ბრეგაძე — პირველი იყო საქმე . . . . . 40  
 ნაზი ელიაშვილი — გრიგოლ კოსტავა . . . . . 42  
 ჭიმშიტ მუჭიერი — სტეფანე ჯაფარიძე . . . . . 45  
 ნელი სირაძე — შეხვედრა მსახიობთან . . . . . 47  
 თამარ გომართელი — თეატრის მსახური . . . . . 48

**ღვაწლმოსილთა გახსენება**

ერემია ქარელიშვილი — რომანტიკული პათოსის მსახიობი . 49  
 ლილი კობლაძაძე — აკაკი ხორავას სახლ-მუზეუმი . . . . . 53  
 აშოტ ჰაირაპეტიაძე — ჩვენი მეგობარი . . . . . 54  
 გივი ჯაოშვილი — ი. გრიშაშვილისა და მარიჯანის თარგმანები . 56

გულიკო მამულაშვილი — შეხვედრა რუსთაველის თეატრთან . 58  
 ია დოღბია — ქართული თეატრალური მხატვრები მოსკოვში . 59  
 ალექსანდრე ჩავლეიშვილი — ვარიანტული და ინვარიანტული  
 მხატვრული ნაწარმოებები . . . . . 61  
 ლამარა ბურჯანაძე — ახალგაზრდა დრამატურგთა თათბირ-სე-  
 მინარი . . . . . 64  
 რამაჰ ჩხიკვაძე — ყველაფერი უნდა შეგვეძლოს . . . . . 65  
 შერი ტორაძე — თეატრალურ ინსტიტუტში . . . . . 68  
 ნაყო კველიშვილი — მიხეილ იარალის ხსოვნას . . . . . 69

**თეატრალური წიგნის თარო**

გიორგი დოლიძე — კრიტიკოსის ორი წიგნი . . . . . 70

0 3 0 4 4 7 0 F

გარეჯანის პირველ გვერდზე:  
სცენა რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის  
სპექტაკლიდან „დასაწყისი“  
მთავარ როლებში: ეროზი მანჯგალაძე და ჟანრი ლოლაშვილი  
შეოთხე გვერდზე: სცენა ცხინვალის სახელმწიფო ქართულ  
თეატრის სპექტაკლიდან „რწმენა“, მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო  
აკადემიური თეატრის სპექტაკლიდან „იეთიმ გურჯი“.  
იეთიმ გურჯი — ირაკლი უჩანეთიშვილი  
სცენა ა. გრიბოედოვის სახ. სახელმწიფო თეატრის სპექტაკლიდან  
„სამი მუსკეტერი“

## ВЕСТНИК

ТЕАТРАЛЬНОГО ОБЩЕСТВА ГРУЗИИ

(на грузинском языке)

Тбилиси — 1977

№ 3 (97)

ფასი 40 კაპ.  
Цена 40 კაპ.

გადაეცა წარმოებას 26/V-77 წ.  
ხელმოწერილია 19/VII-77 წ.  
ნაბეჭდ თაბახთა რაოდენობა — 6  
სააღრიცხვო-საგამომც. თაბახი 6,77  
ქალაქის ზომა 72X108/16

